

ლიტერატურული გაზეთი

№43 11-24 თებერვალი 2011

ბამონის ორ კვირამი ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

სიცოცხლე

ბალახზე წამით მოციმციმე ცვარი.

ორომასტიკა

ეს სიტყვა სახელთა წარმოებას თუ სახელდებას ნიშნავს ბერძნულად.

რუსები დიდხანს „ტიფლისად“ („Тифли́с“) იხსენიებდნენ თბილისს.

„Tiflov“ (ტიფლოს) „ბრმას“ ნიშნავს (ესეც ბერძნული სიტყვაა).

ბრმის მეტი ვინ მიეკედლებოდა ჭიჭყინებითა და ხამსებით მუცელამოუყორავ ვეშაპს?

(თუმცა ვითარება იყო ისეთი).

„თანასწორობა“

უფლებრივი თანასწორობა ქონებრივი უთანასწორობის პირობებში წმინდა წყლის ფიქციაა.

ღისაროპოცია

ბრძენკაცის ერთი დღე ბრიყვის ას ნელზე მეტია.

SIC TRANSIT GLORIA MUNDI

როდესაც არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ეგვიპტის ძველმოსილი ფარაონის — რამზეს II-ის (1317—1251 ძვ. წ. ა.) დაბალ-ზამბეული გული, გაზეთ „ტიმისის“ ფურცლებში გახვეული ეტლით ჩაიტანეს ქაიროში. საბაჟოს მოხელემ ანონა და რაკი ტარიფთა ცხრილში შესაბამისი ნიხრი ვერ გამოუძენა, პირობითად მიუსადაგა გამხმარი ვირთევზას შეტანისთვის დანესებული ფასი.

ბრკენაკაცზე „ბრკენი“

ვინც არაფერი არ იცის, არაფერში არ შეცდებო, — უთქვამს მენანდრეს.

სადავო

აბრეშუმის სადავო სადავედვე რჩებო, — უთქვამს XVIII საუკუნის ერთ ინგლისელ ავტორს.

„საბჭოეთის დიად ქვეყანაში“ ტირანული რეჟიმის მომხრე ხელოვანთა სადავო აბრეშუმისა იყო, რეჟიმის მონინააღმდეგეთა კი — რკინის.

ნაღმა-უკუღმა

ებრაელებმა ნალკოტად აქციეს უდაბნო. ჩვენ — პირიქით.

სიკვდილი

მისი სიკვდილი, ვინც უკვდავ საქმეს აკეთებს, ყოველთვის ნაადრევიაო, — ამბობს პლინიუს უმცროსი.

მეხსიარება

სულის საკუჭნაო.

შაკითხვა მჭადალს

რა უფრო მალე ცვდება — ურო თუ გრემლი?

დღევანდლობა

დაყოვნება სიკვდილსა ჰგავსო, — უთქვამს პეტრე დიდს.

მთელი ჩვენი დღევანდელი ყოფა სხვა არა არის რა, თუ არა დაუსრულებელი ყოყმანი და, მაშასადამე, დაყოვნება.

სიკვდილად მინურვილი სინამდვილე.

მასწავლებელი

(ფრაგმენტი ნიკოლოზ რერიხის ესსე-დან „სინათლის სამეფო“, სადაც ავტორი ამ სიტყვებს მოიხმობს აღმოსავლური წიგნიდან — „ცეცხლოვანი სამყარო“)

„სირცხვილი იმ ხალხს, სადაც მასწავლებლები ცხოვრობენ სიღარიბესა და გაჭირვებაში. სირცხვილი ყველას, ვინც იცის, რომ მის შვილებს ასწავლის ულუკ-მაპურო და გაუბედურებული ადამიანი. არა მარტო სირცხვილი ხალხს, რომელიც არ ზრუნავს მომავალი თაობის მასწავლებლებზე, არამედ — უზრდელობის ნიშანიც. განა შეიძლება ბავშვები მიანდო დაბეჩავებულსა და დათრგუნვილ ადამიანს? განა შეიძლება არ იცოდეს, რას ასხივებს

ბაჩანა ბრეგვაძე

ბოლო წლების ჩანაწერები

სიმწარე? განა შეიძლება არ იცოდეს, რომ დათრგუნვილი სული აღტაცებას ვერ გამოიწვევს? განა შეიძლება მასწავლებლობა უბადრუკ საქმიანობად მიგაჩნდეს? განა შეიძლება ბავშვების სულის გასხივოსნება, თუ სკოლა იქნება დამცირებისა და შეურაცხყოფის ადგილი? განა შეიძლება მოელოდე გულანთებულთა სიხარულს, როცა დღეს სული? ამას ვამბობ და ამას ვამტკიცებ: ხალხი, რომელმაც დაივიწყა მასწავლებელი, თავის მომავალსაც ივიწყებს. ფუჭად ნუ დაეკარგავთ დროს, რათა აზრი ვაზიაროთ მომავლის სიხარულს. ახლოვდება დრო, როცა სული უნდა ნათობდეს და ხარობდეს ჭეშმარიტი შემეცნებით“...

ვნერ ამას და თანაც მწარედ ვფიქრობ: შეაყარე კედელს ცერცვი.

აქვე მინდა მოვიხმო ცნობილი ამერიკელი სწავლულის ალფრედ უოლესის სიტყვები: „ვერცერთი დამპყრობელი ვერ შეძლებს შეცვალოს მასების არსი; ვერცერთი სახელმწიფო მოღვაწე ვერ შეძლებს მონიფულთა იმ თაობების იდეებსა და შესაძლებლობებზე მალა ასნიოს მსოფლმხედველობის დონე, რომლებთანაც მას საქმე აქვს. მაგრამ მასწავლებელს — ამ სიტყვას მე ყველაზე ფართო მნიშვნელობით ვხმარობ, — შეუძლია გაცილებით მეტი, ვიდრე დამპყრობლებს და სახელმწიფოს მეთაურებს. მასწავლებლებს შეუძლიათ შექმნან ახალი წარმოსახვა და გაათავისუფლონ კაცობრიობის ფარული ძალები“.

პარალელური აზრები

სენეკა, „ქველმოქმედებისათვის“, II, 6: „რა ტკბილია და ძვირფასი ქველმოქმედება, როცა ქველმოქმედი არაფერს იღებს სანაცვლოდ, და როცა გასცემს, მყის ივიწყებს, რომ გასცა“.

მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, VII, 73: „თუ შენ ჰქმენ სიკეთე, ხოლო შენმა მოყვასმა მოისთვლა ნაყოფი მისი, რაღას დაეძებ, რეგვენთა მსგავსად, რაღაც მესამეს, რასაც კეთილმოქმედის სახელსა თუ სიკეთის ჯილდოს უნმობენ კაცნი?“

მათე, სახარება, VI, 3: „ხოლო შენ, რაჟამს ჰყოფდე ქველის საქმესა, ნუ სცნობ მარცხენე შენი, რასა იქმოდის მარჯვენე შენი“.

აბსოლუტური მზარა

არ შეეშლია: არა მარტო აბსოლუტური სმენა, აბსოლუტური მზერაც არსებობს თურმე.

სახელგანთქმულ ინგლისელ მხატვარს ჯოშუა რეინოლდსს (1723—1792) ჰყოლია ერთი შეგირდი, რომლისთვისაც საკმარისი იყო ნახევარ საათს დაჰკვირვებოდა მოდელს, რათა შემდეგ, მისთვის თვალშეუვლებლად, აბსოლუტური სიზუსტით გადაეტანა ტილოზე თვით უმცირესი დეტალიც კი.

თუმცა აბსოლუტური სმენის პატრონისაგან განსხვავებით თავისი უნიკალური ნიჭი ძალიან ძვირად დასჯდომია საბრალოს: კარგა ხნით საგიჟეთში ამოუყვია თავი.

SIMILITUDO

დრო უფრო სწრაფად გადის ლხინსა თუ სიხარულში, ვიდრე მწუხარების ჟამს ან მოლოდინში.

ისევე, როგორც სხვადასხვა მთის მდინარის დინება სათავსთან და შესართავთან — გაშლილ ტრამალზე.

აუტოსკოპია

ეს ბერძნული სიტყვა „თვითხილვას“ ნიშნავს.

ერთ ჩემს ძველ ჩანაწერში: „S et“ — „სუბიექტი და ობიექტი“ — ვკითხულობთ:

„წარმოადგინეთ ქუჩაში მიმავალი ადამიანი, ვის შესახებდრადაც მისივე ორეული მოემართება.“



ეს შეიძლება თავზარდამცემი და საბედისწეროც კი აღმოჩნდეს მისთვის“.

თავისი ორეულის ხილვა მართლაც რომ საბედისწერო შეიქნა რუსეთის იმპერატორის — ეკატერინე II-სათვის...

ერთხელ, თავის ბაღში მუშაობისას, — წერს დოქტორი ედვარდ პოდოლსკი, რომელიც კრებს და იკვლევს ამნაირ ფაქტებს, — ქალაქ სიეტლში მცხოვრებ სემიუელ ვ-ს დაუნახავს თავისი ორეული, განსაცვიფრებელი სიზუსტით რომ იმეორებდა მის მოძრაობებს.

შინ დაბრუნებულ ფრანგ მწერალს გი დე მოპასანს თვალი მოუკრავს სავარძელში მჯდომარე მისი საკუთარი ორეულისთვის; გაოგნებული კარგა ხანს ვერ მოსულა გონს. თავისი საკუთარი ორეული დაუღანდავს გაოგნებაც სტრასბურგის გარეუბანში.

S=O

სუბიექტი უდრის ობიექტს. ამ უჩვეულო ტოლობას ადამიანის ცხოვრების „ოქროს ხანაში“ — ბავშვობაში გადავყავართ, ფეერიულ სინამდვილეში, სადაც რეალობა უშუალოდ ერწყმის წარმოსახვას; სადაც მზე „იციინს“ ან „პირს იბანს“ და ცისარტყელას ფერებით ეალერსება მზერას; სადაც ხეები კი არ შრიალებენ, არამედ „მღერაინ“ ქარში, ხოლო მდორე მდინარე თავისით კი არ მიედინება, არამედ „თევზებს მიჰყავთ“...

ეს არაა გრძნობებით აღქმადი და შემეცნებით სანდომი სამყარო, ობიექტებად განსხეულებული და სამუდამოდ ჩამქრალი ჩვენთვის.

დაკარგული სამოთხე.

სული

„სული სუნთქვას ღვთისაო“, — ამბობდა წმიდა გრიგოლ ნაზიანზელი.

ცრემლი და სიცილი

მტრისაგან დარბეულ-დაქცეული და დაქუცმაცებული ქვეყნის შვილს, თუნდაც პირადად ბედნიერს, ისევე არ შეშვენის სიხალისე, სილაღე, ლხენა, როგორც მოქელქეს — სიცილი.

აკი ეკლესიასტეც ბრძანებს:

„ჟამი არს ტირილისა და ჟამი სიცილისა, ჟამი ტყეებისა და ჟამი როკვისა“ ... დღეს სწორედ „ტირილისა და ტყეების“ ჟამია.

პარალელური აზრები

პოლ ვალერი. „რელიგია რომ არ არსებულყო, ალბათ, არც მეცნიერება იარსებებდა, ვინაიდან ადამიანის თავი ვერ შეძლებდა აბსტრაქტირებას იმ უშუალო და მუდმივი ემპირიზმისგან, რასაც მას უსაზღვრავს რეალობა“.

ემილ ლიურკეიმი. „არ არსებობს ისეთი

რელიგია..., იმავდროულად კოსმოლოგიაც რომ არ იყოს. ფილოსოფია და მეცნიერებები რელიგიიდან იშვებენ, რადგანაც რელიგია იმთავითვე ენაცვლებოდა მეცნიერებას და ფილოსოფიას“.

ოლიმპიადა

ბოლო ოლიმპიური თამაშები ჩინეთში ჩატარდა.

ტელევიზორი გვიჩვენებს ოლიმპიადის საზეიმო გახსნას.

ახოვანი სპორტსმენები კოლონებად დარაზმულნი მოაბიჯებენ. გრგვინავს ორკესტრი.

გადავწყვიტე, ბოლომდე მეყურებინა და თავი შემემომზებინა, რა ვიცი თვითეული ქვეყნის შესახებ, ან ვის ვიცნობ, თუნდაც მხოლოდ სახელით, მის სახელოვან შვილთაგან.

როგორც მახსოვს, 104 ქვეყანა დაე-თვალე.

ოციმდე ქვეყნის გამოკლებით, მთელი დანარჩენი მსოფლიო ჩემთვის „terra incognita“-დ დარჩა.

მწარედ ჩაფიქრებული გადავწვი საქართველოს.

დავუშვათ და ყველა ქვეყანაში ერთი კაცი მანც თუ უყურებს-მეთქი ამ ცერემონიალს ჩემი თვალსაზრისით?

რამდენ დიდ ქართველს გაიხსენებდა თვითეული მათგანი?..

ბოლო ორასი წლის მანძილზე „თეთრი ვეშაპის“ მიერ შთანთქმულ ზანტად გვიხსენებს მთელი დანარჩენი მსოფლიო. ზანტად, ნელ-ნელა და თანდათან.

VICE VERSA

გეშინოდეს სიცოცხლის და არა სიკვდილის.

„შინაირი“ ღმერთი

მშვენიერია ჰანს დენკის სიტყვები, მოხმობილი ოლდოს ჰაქსლის მიერ მის არანაკლებ მშვენიერ წიგნში „მარადისი ფილოსოფია“:

„ო, ღმერთო ჩემო, რა ხდება ამ სანყალ ბებერ სამყაროში? შენ ისე დიადი ხარ, მაგრამ ვერავინ გამჩნევს; შენი ხმა ისე მქუხარეა, მაგრამ არავის ესმის, შენ ისე ახლოს ხარ, მაგრამ ვერავინ გგრძნობს; შენ ეძლევი როგორც ყველას, ისე თვითეულს ცალ-ცალკე, მაგრამ არავინ იცის შენი სახელი; ხალხი გაგირბის და თანაც ამბობს, რომ არავის უნახავს შენი კვალი; ზურგს გაქცევენ და თანაც დრტვინავენ, რომ ვერავინ ვერ მოგკრა თვალი; ყურებს იცობენ და თანაც ამბობენ, რომ შენი ხმა არავის ესმის“.

ორმაგი ხაღვა

ვინც ადამიანის სულს იკვლევს, მისთვის თანაბრად საჭიროა არწივის მზერაც და თხუნელას თვალიც.

ფსიქოანალიტიკოსებს კი მხოლოდ თხუნელას თვალი აქვთ.

(კარლ იასპერსს მსოფლიო კულტურის ანტაგონისტურ მოვლენად მიაჩნდა ფსიქოანალიტიკოსთა მეთოდოლოგია, რომელიც ადამიანის ხორციელ ვენებათა თუ ქვენა გრძნობათა აბსოლუტიზაციას ახდენს).

წილალი

ტოლსტოი წილადით გამოხატავდა ადამიანის ფასსა და ღირებულებას: მრიცხველი ისაა, რადაც ის ჩანს სხვების თვალში, მნიშვნელი კი — ის, რადაც თვითონვე მიჩნევს საკუთარ თავსო.

„აღბილზე ნაბიჯით იარარ!“

„ვერ გაგვიცა, ამირან, არგამარჯვების ნიშანი? მესამედ იქვე მოვედით, გუშინ რომ დავკარ ისარი!“

ხალხური „ამირანდარეჯანიანი“ მესამედ კი არა, მოდით, დავეთვალოთ, რამდენჯერ მივედით ერთსა და იმავე ადგილას ერთ საუკუნეზე ნაკლები ხნის გან-



ამას ცხრაას სამოცდახუთი წელი იყო, მე და მამამ მარტოებმა რომ გავატარეთ ზაფხული. მომდევნო წელს დედაც გვახლდა, ინგლისიდან მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ტელერეპორტაჟებსაც გადმოსცემდნენ, მაგრამ გავიდა დრო და აღმოჩნდა, რომ წინა ზაფხული უფრო მკაფიოდ, უფრო ღრმად ჩაიბეჭდა მეხსიერებაში.

იმხანად მამაჩემი სარწყავი არხის მშენებლობაზე მუშაობდა ქართლში და საცხოვრებლად ერთ პატარა სოფელში ჰქონდა ნაქირავები ბინა — მოზრდილი ოთახი ხის დიდი აივნით, საიდანაც ვრცელ დაბლობზე განოლილი მტკვარი და მის გასწვრივ აღმართული მოლურჯო-მომწვანო მთაგრეხილი მოჩანდა.

სახლი ფერდობზე იდგა, ტყის პირას. გახვიდოდი უკანა ეზოში, გადაძვრებოდი ხის ღობეზე და ტყეში იყავი. იქ კიდევ ფიჭვები ცას წვდებოდნენ და მინა ტოტებიდან ჩამოცვენილი გამხმარი წიწვებით იყო მოფენილი. სიარულის დროს ისეთი გრძნობა გეუფლებოდა, თითქოს კაუჩუკზე მიაბიჯებდი. ჯიბეში მუდამ მდებოლომკაუჭებული და წვეტგაბრტყელებული ლურსმანი, რომლითაც ფიჭვების ტანზე ჩამოვლენით ფისის ბურთულებს ვაგროვებდი. ყველაზე მკვრივ და გამჭვირვალე ბურთულებს კოკრებს ეძახდნენ სოფლის ბიჭები. სწორედ კოკრების გაღებვით მზადდებოდა ღია ვარდისფერი, სურნელოვანი კევი, რომელიც დიდხანს, თითქმის მთელი დღე ინარჩუნებდა დრეკადობას და გემოს.

ტყეში ხეტიალი თუ მოგებრდებოდა და თან ხელ-პირიც მაგრად მოგეთხუპნებოდა წებოვანი ფისით, უეჭველად მტკვრისკენ გავიწვავდა გული. რა უნდოდა იქ ჩასვლას — არც არაფერი. ერთი გრძელი დაღმართის ჩარბენა, გავაკება და ჯერ სარკინიგზო და შემდეგ საავტომობილო გზის გადაკვეთა. გადაჭრიდი მოასფალტებულ გზას და გაერეოდი რიყეზე მოჭრიამულე, ტრუსებისამარა ბიჭებში.

ყველა კარგად ვცურავდით, თუმცა გამორჩეულ მოცურავედ ის ითვლებოდა, ვინც დინების სანინალმდეგოდ ყველაზე შორს აუყვებოდა მდინარეს, ანდა მორევში ჩაყურყურულაგებული, ფსკერიდან ფეხის ერთი დაკვრით ამოყვინთავდა წყლის ზედაპირზე. ორნაირად ვცურავდით, სადაც დინება მდორე იყო — ბაყაყურით, სადაც სწრაფი — მკლაურით. ცურვის ტერმინოლოგიით ბაყაყური — ბრასია, მკლაური კი — კოლი. იშვიათად, მაგრამ ხდებოდა ხოლმე, რომ ნაპირთან ახლოს, რაღაც ცივის და სლიპინას შეხებას იგრძნობდი ფეხზე. შიშისგან ფერდაკარგულს რომ დაგინახავდნენ მზეს მიფიცხებული ბიჭები, უმალ მიხედებოდნენ, რაც გჭირდა და გამოგძახებდნენ — რა იყო, შემოგეხვია ძია სისოო?! „ძია სისო“ გველი იყო, წყლის ანკარა, ხვლიკივით უვნებელი არსება.

კიდევ ერთი ადგილი, საითკენაც ისევე მიმინევდა გული, როგორც მდინარისა და ტყისაკენ, ძველი ციხე-სიმაგრე იყო, ქონგურებჩამორღვეული კოშკი ალაგ-ალაგ დაბზარული აივნით და გალავნის შიგნით მოქცეული ვეებერთელა ეზოთი, სადაც მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში აგებული ორი შენობა იდგა. ორივე პირქუში, სქელი კედლებითა და გისოსებში ჩასმული ფანჯრებით; ერთი დიდი, ორსართულიანი, მეორე, შედარებით მომცრო — ერთსართულიანი.

ერთსართულიანი შენობაში მაღაზია იყო, რომელსაც ყველა „ეფრემას მაღაზიას“ ეძახდა. ეფრემა, სურამელი ებრაელი, შუახნის მსხვილი, მელოტი კაცი ამ მაღაზიის გამყიდველიც გახლდათ, საწყობის გამგეც და დირექტორიც. იდგა ხოლმე დახლს მიღმა, დიდჯიბეებიან, ლურჯ ხალათში გამოწყობილი და მისი დანახვა კრძალვას აღვიძრავდა მის სამფლობელოში მოხვედრილ ბავშვებს. ეფრემასთან ისეთი რამეები იყიდებოდა, როგორცაც გორისა და ხაშურის კი არა, თბილისის უნივერსიტეტშიც ვერ გადაწყვიტავდი. ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის საყიდლად საიდან აღარ ჩამოდიოდა ხალხი. იმ დროს მოდაში იყო ჩინური წარმოების ნეილონის პერანგები და „ცეპოს“ მარკის ჩეხური „ტუფლები“. ჩვენ, თორმეტი-ცამეტი წლის ბიჭებს სათამაშოები გვიზიდავდა — პლასტმასის პატარა, ასანთის კოლოფისხელა ავტომობილები,

ზაალ სამადაშვილი

ტყეზე, მდინარესა და სოფლის ბიბლიოთეკაზე

ბრტყელ პატარეებზე მომუშავე და ორლილაკიანი პულტით წინ და უკან სატარბელი კოსმოსური ყველგანმავლები და პისტოლეტები, ზოგი წყლის ჭავლს რომ ისროდა და ზოგი პინგ-პონგის ბურთს. მამაჩემი ყოველ დილას მანეთს მაძლევდა, მანეთად კიდევ ორი პატარა ავტომობილის ყიდვა შეიძლებოდა, სამ დღეს თუ მოვითმენდი და ფულს არ დავხარჯავდი — პისტოლეტის, ხოლო უცხოურნარნერებთან, პრიალა ყუთში მოთავსებულ ყველგანმავალს ერთკვირიანი თავშეკავება სჭირდებოდა...

მეორე შენობაში ფოსტა, კლუბი და ბიბლიოთეკა იყო. ფოსტაში მარკების ყიდვაც შეიძლებოდა, ნერილების გაგზავნაც და დარეკვაც საქართველოს ნებისმიერ კუთხეში. ამისთვის მიხვიდოდი თავსაფრიან, ცხვირზე სათვალედასკუპებულ ბეზოსთან, რომელიც ხის თეჯირის მიღმა იჯდა, ეტყოდი სასურველ ნომერს, გადაიხდიდი ფულს; დაატრიალებდა ბებო ძველისძველ, ლამის კარადისხელა აპარატის სახელურს, დაუკავშირდებოდა კომუტატორს და არცთუ ისე ხანმოკლე გადაძახილ-გადმოძახილის შემდეგ ახრიალებულ ყურმილს მოგაწვდიდა — თბილისისა ხაზზეო!..

კლუბს ცალკე შესასვლელი ჰქონდა და ვიდრე დიდ, მოგრომ დარბაზში მოხვედებოდი, სადაც კინოებს უშვებდნენ, ვინრო დერეფანი უნდა გაგველო. დერეფნის ერთ მხარეს პატარა, გისოსებიანი სარკმელი იყო. სარკმელს ფირნში ჰქონდა თავზე, წარწერით „სალარო“. ბილით ოცი კაპიკი ღირდა, ბავშვებს ათ კაპიკი გვახდებდნენ და მხოლოდ დღის სეანსებზე გვიშვებდნენ. დღის სეანსის დროს დარბაზის ფანჯრებს მუქი, ალაგ-ალაგ დალაქავებული ფარდებით ახნებდნენ. კინოფირები — თუნუქის მოვერცხლისფრო, მრგვალ ყუთებში ჩალაგებული ლენტები — რაიონულ ცენტრად წოდებული დაბიდან ამოჰქონდათ. სოფლის აღმართებში შაბათ-კვირაობით ამოარახახებდა თავის დანჯღრეულ „ვილისს“ კინომექანიკოსი, შუახნის სქელი, ნითელცხვირიანი კაცი. დავედევნებოდი ბიჭები ყვირილით, — ქართულია თუ ომზე? ქართულია თუ ომზე?.. და თუ ან ერთი აღმოჩნდებოდა, ან მეორე, ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ყველაზე მეტად „ბაში-აჩუკი“ გვახარებდა; „ბაში-აჩუკი“ და „გიორგი სააკაძე“, რადგან ორივე ქართული იყო და ორივე ომზე.

ფოსტის მსგავსად, ბიბლიოთეკაშიც ბებო იჯდა და ისიც თეჯირის მიღმა, ოღონდ მას თავშალის ნაცვლად მოლურჯო ბერეტი უფარავდა თეთრ, კეფასთან შეკრულ თმას და სათვალეც უფრო დიდი

და სქელშუშებიანი ეკეტა. როცა არ უნდა მივდგომოდი თეჯირს, რომელიც მკერდამდე მწვდებოდა, ბებოს მუდამ გადაშლილი წიგნი ედო პატარა, წვრილფეხებიან მაგიდაზე და კითხულობდა. ფეხის ხმას გაიგონებდა თუ არა, თავს მოატრიალებდა, სათვალის ზემოდან გამომხედავდა და ჩამეკითხებოდა — ბოლომდე თუ წაიკითხე და თუ მოგეწონა, რაც გაგატანო. სულ სათვალედასავლო წიგნები მიმქონდა ბიბლიოთეკიდან, ისეთები, სადაც თითქმის ყველა გვერდზე ერთიმეორეზე საინტერესო და სულისშემძვრელი ამბები ხდებოდა, სადაც ბუნების აღწერებს ცოტა ადგილი ეთმობოდა და მეც მეტი რა მინდოდა? მომწონდა რომელია, ზოგიერთის მეორედ გადაკითხვასაც ვასწრებდი ხუთ დღეში. ხუთ დღეზე მეტი ხნით წიგნის შინ წაღება არ შეიძლებოდა და ამ პირობას არ ვარღვევდი.

მაინ რიდი, ჟიულ ვერნი და კონან დოილი მოგვიანებით წავიკითხე, ერთი-ორი წლის შემდეგ. იმ ზაფხულს ბერეტიან ბებოს სხვა წიგნები გამოჰქონდა ჩემთვის თეჯირის გასწვრივ ჩამწკრივებული მაღალი — ზედა თაროდან წიგნის ჩამოღებას კიბე რომ სჭირდებოდა, ისეთი მაღალი — სტელაჟებიდან. ეს წიგნები გახლდათ: ელიზბარ ზედგენიძის მოთხრობების კრებული, სადაც ერთი მოთხრობა ჩემსხელა ბიჭზე იყო, თბილისის ძველ უბანში მცხოვრებ ბიჭზე, რომელიც მამას, თამბაქოს ქარხნის მუშას პაპიროსების გახვევაში ეხმარებოდა. გახვევა-გახვევაში მოწევას ერგებოდა ვიღაცებს იავადებდა და ამ დაავადებით იღუპებოდა.

სოსო იორამაშვილის პატარა, თხელყდიან წიგნშიც ბიჭის ამბავი იყო მოთხრობილი, უსამართლოდ დევნილი, უდანაშაულო მამის საძებნელად, მეგობრებთან ერთად მტკვარს რომ დაუყვებოდა ტივით მდინარის შუაწელიდან მინგეჩაურის წყალსაცავამდე. გზაზე ათასი რამ რომ გადახდებოდა თავს და ბოლოს მიზანს რომ მიაღწევდა — მამას იპოვიდა.

„კლამაზების ფეხბურთელთა კლუბის“ ავტორი ვინ იყო, არ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ ის, რომ ჩეხი გახლდათ. ჩეხები იყვნენ კლამაზებიც, მამა და თერთმეტი შვილი, ბიჭები, რომლებიც ფეხბურთის თამაშს მშობლიურ სოფელში იწყებდნენ და მამის ხელმძღვანელობით მსოფლიოს ყველა უძლიერეს ნაკრებს ამარცხებდნენ, თანაც, ინგლისელებს — „უემბლიზე“, ბრაზილიელებს — „მარაკანაზე“, იტალიელებს — „სტადიო ოლიმპიკოზე“ და ა.შ.

„მე, პელეც“ ფეხბურთზე იყო, დაწერილი თავად პელეს — ედსონ არანტეს დონასიმენტოს მიერ. ეს გახლდათ ზღაპარივით ამბავი ფეხსაცმელების მწმენდავ




მუქკანიან ბიჭზე, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები — ფეხბურთის მეფე ხდებოდა, ჩვეულებრივ მეფეებზე გაცილებით ცნობილი და ზოგიერთ მათგანზე არანაკლებ მდიდარი.

„საბლიტგამის“ მიერ ათას ცხრაას ორმოცდაცხრამეტ წელს გამოცემული წიგნაკი, რომლის გარეკანსაც ვირზე ამხედრებული ჭილისქუდიანი ყმანვილი ამშვენებდა, ვინმე ლაზარული ტორმესელის ცხოვრებას აღწერდა. ვინაობა ავტორისა, რომელიც შორეულ მეთექვსმეტე საუკუნეში ესპანეთის სამეფოში ცხოვრობდა, დაუდგენელი იყო. მოთხრობა რამდენიმე თავად გახლდათ დაყოფილი და თითოეულ მათგანში ერთიმეორეზე თავმესაქცევ ამბავს ამოიკითხავდი. ყველაზე მეტად ის თავი მომწონდა, სადაც საბრალო ლაზარული პურით სავსე კიდობნის გასაღებს ჰპარავდა ძუნწ ბატონს, რომელიც დღემდე მხოლოდ ერთ თავ ხახვს იმეტებდა მძიმე შრომით ქანცანყვეტილი მსახურისთვის.

წიგნი, რომლის არა მხოლოდ ერთი, არამედ თითქმის ყველა ეპიზოდი დღემდე მახსოვს, ნიკა აგიაშვილს ეკუთვნოდა და ისიც მეთექვსმეტე საუკუნის ესპანეთის ამბებს, უფრო ზუსტად ყველაზე გამორჩენილი ესპანელი მწერლის ბიოგრაფიას მოგვითხრობდა. ამ მწერლის სახელი და გვარი ისე ამაყად ჟღერდა, რომ მისი ხმამაღლა წარმოთქმისას თვალწინ ფათურაკების მაძიებელი უმამაცესი რაინდი წარმოგიდგებოდა. სინამდვილეში ასეც გახლდათ, მიგელ დე სერვანტესი საავტორო ლეკანტოს ომის გმირი იყო, მონაწილე დიდი საზღვაო ბრძოლისა, სადაც ესპანელთა ფლოტმა დონ ხუან ავსტრიელის მეთაურობით თურქეთის არმადა დაამარცხა. ამ დიდ შეტაკებაში სერვანტესი მკერდსა და მარცხენა ხელში დაიჭრა და სამუდამოდ დაინვალიდა — ხელი გაშეშებული დარჩა. სანამ „დონ კიხოტს“ დაწერდა, ალჟირელ მეკობრეთა ტყვეობაც იგემა და ერთი აუნერელი ტანჯვანამებაც, ტყვეობიდან თავის დაღწევის არაერთი წარუმატებელი მცდელობის გამო...

ღამ-ღამობით ვკითხულობდი. მთელი დღის ნაწინალები სახლში საკმაოდ გვიან, დაბინდებისას ვბრუნდებოდი, ჭრიჭინობლებს ხმა რომ გაისმებოდა ორღობებში, იმ დროს. სასწრაფოდ ვნთქავდი დიასახლისის მიერ დახვედრებულ ვაშლს — დაბრუნდებოდა, სურნელოვან პურს, წვრილნასვრეტებიან კრაჭუნა ყველს, პიტნის ჩაის და საბნის ქვეშ მეგორებული, იდაყვით ბალიშს დაყრდნობილი, გადაშლილ წიგნს ვაპყრობდი მზერას. მამაჩემი ნაშუაღამევს ბრუნდებოდა და შუქის ჩაქრობა ყოველთვის მას უწევდა, რადგან კითხვას მხოლოდ ძილი, ან მისი მოსვლა მანყვეტინებდა...

როგორც უკვე ვთქვი, იმავე სოფელსა და იმავე სახლში გატარებული მომდევნო ზაფხულისა ბევრი არაფერი მახსოვს, მხოლოდ ის თუ ამოტივტივდება ხოლმე მეხსიერებაში, როგორ ტოვებს მოედანს დამარცხებული ფეხბურთის მეფე — კოჭლობს, მუხლი აქვს შეხვეული და სახეზე ხელებაფარებულს მხრები უცახცახებს. იმ, ათას ცხრაას სამოცდაექვს წელს ხომ მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ტელერეპორტაჟებს გადმოსცემდნენ ინგლისიდან.



ციკლიდან: წვიმა მოთიხულ მდელოზე

ღვთისმშობლის ტაძართან

მირონმდინარი სუნთქვა ღვთისმშობლის მოდის შენიდან, ძველო ტაძარო, ქარი ცრემლიან თვალებს მიშრობს და ცეცხლის ალს აჩენს, რომ არ დაკრძალოს მშვენიერება შემოგარენის, ჩუმად დაფერფლოს, სუნთქვით დაფანტოს, იღება ტაძრის მძიმე კარები და ზეციური ჩნდება საბადო. თითქოს უდაბნოს მცემდეს ქვიშრობი, სარძლოდ მკაზმავდნენ თითქოს საჯაროდ... მირონმდინარი სუნთქვა ღვთისმშობლის მოპქრის შენიდან, ძველო ტაძარო...

შობა

ვარსკვლავებმა მასწავლეს შენი თაყვანისცემა, იესო, ცა რომ მიწას შეერწყა, თვალეები ამიცრემლდა, იესო. ფიფქებით დაიხატა ნაძვის ტოტი ზეცაზე, იესო, შობის ღამის სიტკბო ხომ ნაზი თრთოლვით მეც მავსებს, იესო. მოკაშკაშე ბეთლემშიც ცაზე გადაწერილა, იესო, თითქოს ყველა ვერთდებით და მზე ვართ და მწველი ვართ... იესო. შობის ტკბილი ღამეა, ვარდი ყინულს მოცლილი, იესო, დადნება და იწყება ცის მიწასთან ქორნილი, იესო, დაღლილ მხევალს შემხვდება, უცნობი გზით როს ვივლი, — იესო — ღვთისმშობელი მარიამ, თეთრი კაბით მოსილი, იესო.

ქველი ციხე

ლიბომორღვეულო ციხევე, — მაინც ეჭიდები ლოდებს, თითქოს მტერი ახლა გიღებს, ქონგურებით ისე ჰგოდებ. ისე მშვენიერი ჩანხარ, შენი ვაჟკაცობით ვტკბები, დრო და ჟამი ვერ დაგმარხავს, ხსოვნის გზას ვერ გაუდგები, ლიბომორღვეულო ციხევე, ერთხელ ისევე აშენდები, მუდამ მომავლისკენ ივლი, არასდროს არ გაჩერდები...

უნწყლო ხეობასავით ვარ და პოლარულ ღამეს ვუძღვებ, ცაში აჭრილ ჩიტებს ვატან ამ ლექსებით სავეს ფურცლებს, ერთს ასკილის ყვავილს ვუძღვნი, ერთს გამოჭრილს კლდეში დილეგს, სადაც ქალი უფლისათვის ქარგავს ულამაზეს ლილეებს, მოლოდინებს ვერ გაუძღვებ, აუყვება ბილიკს მზისკენ, გული ამ სტრიქონსაც უცემს, გასაჩენად რომ გავრისკე... შენ, უფალო, გიძღვნი ამ სულს, ლოცვით სავეს სიმბუზვალეს, მარტო შენ თუ გადაგვარჩენ, მარტო შენ თუ გვიმკურნალებ...

წმინდა ლექსები

წმინდა ლექსები, აქ რომ წერდნენ, საქართველოში, ნატანჯი სულით გამომწვარი წმინდა სიტყვები — მერე რა, ახლა თუ არავის აღარ ჭირდება!.. რა იქნებოდა ეს ქვეყანა უამსიტყვებოდ, უამლექსებოდ ეს მხარე ხომ დაბნელებოდა, საუკუნეთა ჩაგვიტანდა შური და მტრობა... ანათე მარად, სიყვარულით დამწვარო სულო, უფალო, შენი სიტყვის ძალით გამოაფხიზლე, არ დააძინო პოეტები ჩემს ქვეყანაში!..

„მტრედის ფრთებს ვერცხლით დაფარულს ჰგავხართ და იმის ნაკრტენს მოოქვრილს ჰგავხართ.“ ფსალმუნი 67, 14

ვერცხლით დაფარულ მტრედის ფრთებს ჰგავხარ და მოოქვრილ იმის ნაკრტენებს, დგახარ კართან და შიგ შესვლა გიჭირს, არც იმჩნევ ტკენას, სულს რომ გატკენენ, ბუნების ნაქსოვს ჩუმად ჩაშლიან, ცხოვრების წესებს თვითონ ადგენენ.

ცაზე იმედი გადმოეშვება და ცისარტყელის შუქით გვატყევეებს, ის მოდის, როცა ამათ ეშვებათ, სულზე იმედის გვაფენს ფანტელებს, ველარაფერი ვერ მოგვერევა, გატეხილ გულსაც ღმერთი ამთელებს...



დოდო ჭუმბურიძე

ვერცხლით დაფარულ მტრედის ფრთებს ჰგავხარ და მოოქვრილ იმის ნაკრტენებს...

„ჩემი ფარი უპყრია ღმერთს, გულმართალთა მხსნელს...“ ფსალმუნი 103, 35; იერემია 11, 20

ფარი, რომელიც გადამფარავია, უპყრია უფალს... მისი ფარია, თუ რამეს ვიტყვი, მან უნდა მითხრას, რა შეუძლია უმისოდ სიტყვას. ხან ჩიტად მაქცევს, ხან ღამაზ ტიტად, ხან ცხოვრების ზღვის ტალღით მომწისლავს ის, ვინც ახამებს მტერისფერ ტაძრებთან ნამჯისფერ მინდვრებს შემოდგომისას. იგი მეფეა, მე — პატარძალი, ჩემი ქვეყანა არის ტაძარი, გულის კანკალით ველი ჯვრის წერას, სხვა მოლოდინის აზრი არც არის. ასე ვინ მორთავს სხვა ამ დარბაზებს, გააკაშკაშებს ჭაღით ნატაძრალს, ვინ შეაერთებს შემოდგომასთან სიძის ლოდინში გამშრალ პატარძალს. მაღლი მმოდა, რწმენა მწყუროდა, ვის არ აქვს ცრემლი წლებთან ნალესი, რომ იმედი არ გადამწურვოდა, არ ჩამქრობოდა ბრწყინვა თვალებში. ბევრმა დრომ მნახა, ჩაიმდინარა, ჩაინანკარა სულის ბზარებში, და მამშვიდებდა ზარი მტირალა, გამორჩეული უფლის ზარებში. ია, ტყისპირი, ყანა, ვენახი და ღობემძვრალა ქერის მარცვლით — ერთი მთელი ვართ: ჩემი ქვეყანა, ჩემი მეფე და მე — პატარძალი... უფალო, ძლევის ფარი გიპყრია, რომ გულმართალნი იხსნა სრულიად, ნამცეცცი კი არ გადაგვიყრია, ისე გიმარცვლავთ ალილუიას. დიდება შენდა, დიდება შენდა, ალილუია, ალილუია!..

მარიამ მაგდალინალი

ამიცრემლდა თვალი უცებ, ის საუნჯეს არ ეძებდა, კაშკაშებენ ვარსკვლავები უფლის მხევლის სარეცელთან; სამეფო ბაღს აშრილებს, ყვავილებს ჰფენს ქარი ნისლად, ეს სამოთხის ვაშლი არის, თუ შობაა სამოთხისა. განშორება შემოდგომის შავი როიალით უკრავს, მტრედი სიალაღით მოდის, შაშვს გაუყოფს ჩიტის ლუკმას. ბალი გეტისინმანისა იქცა უფლის ოაზისად, გადმოათოვს ნამქერს სიზმარს ყოვლისშემძლე ნება ცისა, ჟამი ათას კითხვას მისვამს, ასიათას პასუხისას. ცრემლით ფეხს ჰბანს უფალს ქალი და უმშრალებს თმებით ნაზად, თაფლისფერად დნება ღამე, ღამეც მაგდალინელს ბაძავს, ბალის ფოთოლივით თრთის და სითბოს უფლისათვის ხარჯავს, ო, მარიამ, მეც მასწავლე

ამგვარ სიყვარულით ტანჯვა... მარჯანს დაუქარგავ კვართზე, უფალს არ მოვაკლებ გარჯას... მშვენიერი დგახარ ტაძრად სიყვარულით ნაღვრელ ცრემლთან, კაშკაშებენ ვარსკვლავები უფლის მხევლის სარეცელთან...

„დაე, დაბრუნდნენ საღამოობით, იყმუვლონ ძალღივით და გარს შემოუარონ ქალაქს...“ ფსალმუნი 58, 15;

ცხოვრება ძვირია, და რადგან ძვირია, ჩვენ კი სულ იაფად გვინდოდა მიგველო, რადგანაც ყველა კაცს მეფობა უნდოდა, ქალებს კი დედოფლობა, — დახურეს ქალაქი მონათმფლობელებმა, გალავნით მოზღუდეს და რკინის ჭიშკართან ლომები დააყენეს... იყმუვლებენ ძაღლები დილაამდე, ათასჯერ შემოუვლიან ქალაქს, სადაც აღარ არის სინათლე და სადაც ჩემნაირ მეოცნებეთ ძალა დაეშრიტათ. გალავნის მიღმა ბალებია და ვენახები, გალავნის მიღმა ჭარხალი მოჰყავს დიოკლეტიანეს, — რომელიც შუბით უნდა განეგმირა წმინდა გიორგის და განგმირა კიდეც. გალავნის მიღმა წყაროა, რომელიც იღვრება ხახაში მიწის და არასოდეს არ იცლება, ვერც მიწას ავსებს და ვერც თავს იცლის... ნახვალ აქედან, ნაზლის ყვავილთა სუნს გაჰყვები, ამ ქალაქში კი კვლავ იცხოვრებენ, შორსნასულნიც დაბრუნდებიან, ოღონდ მწუხრის ჟამს, იყმუვლებენ ძაღლებივით და გარს შემოუვლიან ქალაქს...

12 მაისი, ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე

თითქოს განათდა უცებ სამყარო, ფრთები მოესხა ციურ იკაროსს, აჭარისწყლიდან მზე ამოვიდა, წვიმამ რომ უნდა გადაიკაროს, მოციქულები ნისლებს ანქრევენ, მთამ დარდი უნდა გადაიტანოს, შიშის აჩრდილმა არ იკანკალოს, ბნელმა ნათელი არ დაიტანოს... სხალთის ტაძრიდან ვინ მეჩვენება, წმინდა ანდრია თუ კანანელი, შავშეთის მთებმა შავი ღრუბლები გადაიყარეს, წმინდანთ კვლავ ელის — ქვეყანა ასე ტანჯვით ნაგვემი, გადარუჯული ხანძრის ალებით, ქრიან ქარები, ცრიან წვიმები და ლოცულობენ ღვთისთვის ქალები... დიდაჭარიდან ამ უწმინდესი მიწით და სულით ისე ავივსეთ — ისე ღამაზად ელავს მიდამო, მდინარეების ტირილს არ ისმენს, ფარისეველები ვერ მოგვწვდებიან, გაბადრულია სული მთვარისებრ, წმინდა ანდრია ჯვართით შემოდის, უფალი მოდის დღეს აჭარისკენ...

ოკეანის წყლებსა და ქარებში, ხშირ ტაიგებსა და ტროპიკებში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებულ კრეტულ და მიწისურ ეპოქებში, ფარაონთა სარკოფაგებში და თრიალეთურ ყორღანებში, რაც ყოფილა, რაც არის თუ — რაც შეიძლება იყოს ქვეყნად, — ყველგანაა ჩემი წილი, უამრავი ვინმე და რამე ჩუმად შეამკობს ჩემს სიყვარულს, მიუსაფარი და ობოლი რომ მოჩანს ახლა...

ქარები ბნელ ღამით ზეციდან ვარსკვლავებს ჰყრიან და ლიმონის ფოთლები, ლურჯ-მწვანედ პრიალა რბილდება, ქურუმი ქალები ლოცვებს ალაველენ კნოსოსს და აგია-ტრიადას და ჩემი ანგელოზი ამ ლაბირინთიდან გაყვანას მპირდება...

გუდარეხი

„მისი საძირკველი წმინდა მთებშია“...
ფსალმუნი 86, 1;

შემოდგომის ოქროვანი და წვიმისფრით ნაფერავი,
ქართლის ფერმკრთალ სანახების ბრწყინავს
ნაზი გობელენი,
საკმეველით დაკმეულა თრიალეთი ნაქერალი,
სოფლები და წყაროები გვიტყუებენ მოფერებით.
სულში სიტყბოს ჩაგვანვეთებს მდელი ასე მშვენიერი,
ციდან, როგორც მეტეორი, თითქოს გუშინ ჩამოვარდა,
გუდარეხი მოგვიყვება: ანგელოზებს ფერიები
როგორ მოჰყვებენ და დაჰკიდეს პორიზონტზე
ნაზი ფარდა.
ტყე უღრანი ზეცისაკენ მორჩილებით ანგელოზი,
კაკალია დაცვენილი, ქვევრი იწყებს დაღვინებას,
აქვე ლაშა-გიორგის და რუსუდანიის არდილია,—
ბედისწერით დაჭრილ შვილთა დაბნეული გაღიმება...
დანგრეულა სასახლე და ეკლესია ნაფერები,
ხუთჯვრიანი დროშის რხევას
ძველ კედელზე გაშლილისას —
ეფინება წუხილი და ოცნებები ქართველების,
სადაც ნაბანაკევია გმირი ჩოლოყაშვილისა.
წვიმაა და ღვართქაფია, მთებში ზოგჯერ ისერის მეხი,
მორწმუნენი ამოსულან ქალაქიდან სალოცავად,
მეცამეტე საუკუნეს შერჩენილი გუდარეხით
გული რომ ვერ დაინყნარა, დარდი რომ ვერ გამოცალა...
ჩემო წმიდა სალოცავო, სული შენს ქვეს შემოველო,
მონაზვნების გალობა ჟღერს ამ კედლებში სულ ახალი,
შენთან რომ არ მოვსულიყავ, შენს სახლში
არ შემომველო —
მოვეკვდებოდი ამ მიდამოს და ამ ტაძრის უნახავი.
წვიმა მოდის და მზე რჩება ნისლის გუნდთან მორკინალი,
მდელი ფეხქვეშ გაგვეგება და გვამშვიდებს მოფერებით,
ნაზი შემოდგომის გზით და უნაზესი ერკვემალით,
გვამშვიდებენ ქარები და ბრწყინავს მინის გობელენი...

მატარებლის სტვენა ისმის ბნელში,
ხმა აჰყვება მოუსვენარ ქარისა,
პატარა ბუ ნანგრევებში კენესის,
ცხოვარი ვარ დაკარგული ფარისა.
ბნელში სულის სანთებელა კვესავს,
„ეს საყდარი მაღალია...“ —
წიგნში ადგილს ჩავნიშნავ,
აქ ვარ დრომდე, ვერ მივდივარ ვერსად,
ცოცხალი ვარ, რაც ყველაფერს არ ნიშნავს.

ამ კარით გადი...
გარეთ სუროებს და კატაბარდებს უჭირავთ ეზო,
ბებერი ცაცხვები და მუხები დროს დარაჯობენ,
ხეებზე გასული ვენახები ბაძავენ სუროებს,
სუროები — ვენახებს,
კატები — ვეფხვებს,
ძაღვები — მგლებს,
მე — ჯულიეტას,
რომეოს — არავინ,
ცრემლიან ზოლს ჰგავს კოინდარი,
ჭიშკრიდან გზა კი — გამალებით მიჰქრის
მორეთისკენ...

ალვის მოჭრილი ტოტი,
როგორც მოჭრილი ხელი,
მზეში გამხმარი გლია,
და კლასიკური ნოტი,
რალაც ძალიან ძველი,
ისმის შაშვების ხმაში
და უცხო ნაღველს მგვრიან,
ჭრიჭინებისგან რეტიით
მანც რალაცას აღწევს,
ფიქრები ცამდე ჰქრინან,
მინდა ვიცოდე მეტი
ამ ჩიტებსა და ბაღზე,
მზეზე, რომ ჩადის გვიან...

კოცონი

კოცონი ანთია შუა ეზოში
და შემოდგომის ფოთლები იწვის.
მე ვფიქრობ ჯორდანო ბრუნოზე,
იან ჰუსსა და ჟანა დარკზე,
კიდევ გაზაფხულზე, როცა ეს ფოთლები გაჩნდნენ...
რა არ შეუძლია დროს და ბედისწერას,
ფოთლებთან ერთად იწვიან პეპლებიც...
რითი ვარ ამ პეპლებზე ლამაზი,
ან თუნდაც ჭკვიანი,
მათზე რომ არაფერი ვთქვა,
ვისაც ასეთ კოცონებზე წვაგდნენ
და კუდიანების არულით მიერეკებოდნენ
წუთისოფლიდან მარადისობაში...

დახიუბი



მარი თინაშვილი

სიტყვილი

იმ ჩვენს სახელებს,
პირველი რიგის მესამე მერზე
ამოკანრულებს,
კალმის წვერით ამოჩიჩქნილებს,
კარგა ხანია გადაუსვს მეორე ფენა
და სქელ საღებავს ახლა ვინმე
თავიდან კანრავს.
ქარია ალბათ და ოთახის ფანჯარას აღებს.
არ ვიცი გზამდე სულ რამდენი ნაბიჯი დარჩა,
ფეხი დაგვიცდა თუ უბრალოდ ჩამოვრჩით სადღაც.
ზოგი კი იხე ჩამოგვცილდა, ვერც შევამჩნიეთ,
მერე ვახშამზე სურათები გადავარჩიეთ —
ვითომ რომელი გავადიდოთ, რომელი ჩავსვათ
ჩარჩოში, სადაც ჩავატიეთ ერთ დროს ღიმილი.
ახლა ვინ იცის, ქუჩებში რომ ვხვდებით ერთმანეთს,
თავს ძირს რატომ ვხრით,
რატომ ვცვიტავთ ასფალტს ყურებით
ან სხვა ქუჩაზე რატომ ვცდილობთ ასე გადასვლას,
რატომ აღარ ვართ ძველებურად მხიარულები?
ან ეს სიცივე, ასე როგორ შევისისლხორცეთ,
ჩვენ ხომ თვალბეჭდით ვიტყვით ზეცას მუჭებით.
ქარია ალბათ და ოთახში ფანჯარას აღებს,
ვზივარ, ფურცლებზე ვჯიუტობ და ბავშვობას ვკანრავ.

ნითელი. დედა. სოსხში.

თავიდან რა იყო, აღარც კი მახსოვს.
ზღვასაც ისე იშვითად გავხედავდი,
რომ არსებობდა, სულ არ მახსოვდა.
ვიჯექი ჩემთვის, ფეხიოას ხეებთან ახლოს
და მწიფე ნაყოფს სევდიანი თვალბეჭდით ვჭამდი.
დედა ამბობდა, რომ ფორთოხლებს სულ სხვა ფერი აქვთ
და ჩვენი აფხაზი მეზობელიც,
რომელმაც მერე გვამებთ სავსე
მანქანებით გამოგვაპარა,
უდასტურებდა.
გზადაგზა კი დაცხრილული
ალვის ხეები მიგვაცილებდნენ.
რა ტკივილი უნდა მეგრძნო,
როცა აქამდე არ ვიცოდი როგორი იყო?..
სხვის ქალაქში კი, როცა დედა იხსენებს ხოლმე,
რომ ფორთოხლებს სულ სხვა ფერი აქვთ,
მე ოთახიდან გავდივარ
და ვცდილობ წარმოვიდგინო ქუჩა,
ნითელ სახურავიანი სახლები,
ჩვენი აფხაზი მეზობელი,
რომელიც მერე ჩვენს სახლში გადასახლდა,
შვილებთან ერთად.
ძალიან ვცდილობ,
მაგრამ ვეღარაფერს ვეღარ ვისხენებ.

დედის ლოცვა

გათეთრდა შენი შავი კაბა საოცრად, დედი,
სხვები იტყოდნენ რეცხვისგანო, მე ვამბობ — დარდით.
გეუბნებიან ნაცნობები — „გიცანი კაბით“,
-“როგორ ხართ სახლში“?
იღიმები:
„სად არის შვილი?“
გპირდები, დილით
ავდგები და ვილოცებ სისხამ.
ეს დაპირება ახლა შენთვის ყველაფერს ნიშნავს
და მეც გპირდები,

ყოველ დილით ისევ და ისევ
გავიმეორებ შენს საყვარელ ფრაზებს და სიტყვებს.
მაგრამ შენ იცი, დილის ძილი შენს შვილს რომ უყვარს
და "დედის ლოცვას" ჩასჩურჩულებ მძინარეს ყურთან.
.....

გათეთრდა შენი შავი კაბა საოცრად, დედი,
სხვები იტყოდნენ — რეცხვისგანო, მე ვამბობ — დარდით.

მიყვარდი ანუ განმარტოვები

იქნებ ქუჩაში სულ უბრალოდ ავცდით ერთმანეთს
და ჩატოვებულ ჩაის ფერზე მეტად შეგვცვივდა.
შემოდგომაზე თეთრ ფილაქანს უფრო ემჩნევა
სიყვითლე სულის, ძნელი არის მარტო ერთმხრივაც,
როცა სავსე ხარ დედამინის ღერძის ტრიალით...
სეზონზე უფრო სიყვითლეა შენი თანმდევი...
გცივა და მერე ეუბნები, სივრცეს ზმორებით,
რომ ჰორიზონტზე ვეღარ ხედავ
ჩიტებს და ფიქრობ,
როგორ დაგასწრეს გადაფრენა... განმარტოებით
დეგახარ და ისმენ
სიჩუმეში საკუთარ ფეთქვას...
გიკვირს, გაქვს გული, უფრო მეტად — სატუმბი სისხლის.
სულ აღარფრად აღარ გიღირს ცხოვრება ახლა,
არყოფნაზე წუხს ვილაცა და შენ ყოფნა გიჭირს.
ასეა მართლაც...იქნებ ავცდით ქუჩაში, როცა
ყვითელ ფოთლებში შემოდგომა ხელებს ურევდა
და ჩაი უფრო მიტოვებულს გავდა ქალბატონს,
რომელიც ღამით კლემბონსა და შოპენს უსმენდა.
დაორთქლილ მინას კუთხის კაფის ჰქონდა აურა
რატომღაც ძველის... გამახსენდა ბავშვობის სახლი.
ძლიერი იყო დედამინის მიზიდულობა,
მაგრამ ჩვენ მაინც,
სულ შემთხვევით ერთმანეთს ავცდით

უბრალოდ ერთად

რა მარტივია, ვიყო შორს და ძალიან ახლოს.
ვდგებოდეთ ერთად სანოლიდან ყოველ ცისმარეს;
ვხედავდეთ ზეცას, სულ სხვადასხვა ქალაქის ზეცას,
წარმოვიდგენდეთ ღრუბლებისგან გემებს, ნიჟარებს.
და რა რთულია, რომ არ ვიყოთ, რომ სულ არ ვიყოთ,
ან ვიარსებოთ ფერგადასულ მოგონებებად,
დასაოებლად ჩაყრილებმა ზანდუქში სხვენზე
და როგორც მზეზე გამოტანილ დაჩრდილულ სამოსს,
ანიავებენ და თოკზე ფენენ, ჩენც გადაგვფინონ,
რა იქნება და, მზე მოგვიხედეს?
ამაზე უფრო რთული არის, ვინვეთ გვერდიგვერდ
და ვთამაშობდეთ — "ყველაფერი კარგად იქნებას".
ვარწმუნოთ თავი არ არსებულ კარგად ყოფნაში
და ბოლოს ჩვენვე ვეღარ შევძლოთ გადაფიქრება.
რა მარტივია, იყო შორს და ძალიან ახლოს,
როგორც ახლა ხარ, როგორც გუშინ ან ხვალ იქნები.

მიზიდულობა

და განა რამე?
სიამოვნებით დავწვებოდი შენი სანოლის ცარიელ მხარეს.
ისე უბრალოდ სისულელეებს მოგიყვებოდი,
თუნდაც კვადრატულ განტოლებას აგისხნიდი
და მოძრავი პუნქტიდან პუნქტისკენ მიმავალი
მატარებლის მსგავსად შემცირდებოდა მანძილი
სხეულებს შორის.
მოგიყვებოდი თუნდაც ჭორებს საკუთარ თავზე,
ეჰ იმდენია.
შენ კი იცინებდი და თავს მხარზე დამადებდი.
გამოზომილი სუნთქვით შენს ყურთან განვიხილავდი
სამი იმპერატორის ომს,
გენიალურ მხედართმთავრებს,
დავცინებდი კარის მხატვრებს.
მერე თითებსაც დავატოლებდით, ისე უბრალოდ
მიზიდულობის კანონსაც გაგახსენებდი.
შენ კი ამომხედავდი და მეტყობდი :
— მაკოცე რა..
და განა რამე?
სიამოვნებით დავწვებოდი შენი სანოლის ცარიელ მხარეს.



დასაწყისი № 42

ბექა ქურხული

ორი მთვარის ამბავი

„ღმერთო, ჯერ სხვას მიეცი და მერე მე მომეციო...“

პაპაჩემ ფირუზ ლევანიჩი ქურხულის ნათქვამი ყოველ დღით, როცა ავლაბარში ელიაზე საკუთარ იტალიურ ეზოში ონკანზე პირს იბანდა.



თმბ გასცვენოდა და სულ მამამის ოთარას დამსგავსებოდა. ათ წელზე მეტი იქნებოდა ერთმანეთი არ ენახათ. არა, ზუსტად რვა წელი. ბოლოს მამამისის დასაფლავებაზე იყო ჩამოსული 2000 წლის ივლისში. ბიძაშვილები იყვნენ, ერთად გაიზარდნენ, მთელი ბავშვობა ერთმანეთს ხოცავდნენ. თვითონ ეს იყო მანაკი ბავშვი, უმცროსი იყო და არაფერს უთმობდა. ისხდნენ ახლა პირისპირ და ერთმანეთს ათვალეობდნენ.

- გაჭალარავებულხარ, - უთხრა უფროსმა ბიძაშვილმა და გაცივება სცადა, - კარგადა ხარ შეთეთრებული. რამდენი წლისა ხარ?..

- ოცდაათობმეტის. ორი წლითა ვარ შენზე პატარა.

- ჰო, ეგრეა. შენ ის გახსოვს, ბავშვობაში გოჭს რო გეძახდით მე და მამაშენი, რო გაბრაზებდით - როგორ არის გოჭი?.. არ მოშივდა გოჭს?.. ვინ გააბრაზა გოჭი?.. სად წავიდა გოჭი?.. - შორს. შორს წავიდა და გამხდარ, ბებერ, ავ და ეშვებიან ტახად გადაიქცა - შენ რას შვრები?

- რავი, რალა უნდა ვქნა, ამის დედაც... კაცი რო ორ ძმას დამარხავს... მე და შენ და დავრჩით უფროსები, აზრზე ხარ?.. გვარში რომ ყველაზე უფროსები ოცდაათეკვსმეტი და ოცდაათობმეტი წლისები იქნებიან...

- კიდევ კარგი, ეს ბავშვები მაინც მოგვესწრნენ - ოთო და ლექსო...

უფროსმა ბიძაშვილმა ხელი ჩაიქნია და ღვინო დაასხა. მოყვითალო მოთაფლისფრო თვალებში ერთნაირად ჩასხდომოდა დარდი და სიგჟიყე.

- როდის მოუვიდა? ხუთი თვის წინ ველაპარაკე ვენახის საქმეზე ტელეფონით - „ისე ხო არ უნდა დავიხოცოთ, ერთმანეთი ვერ ვნახოთ-მეთქი“ - ვუთხარი - „არა, რას ამბობ, ჯვარი გვენერიაო“ და... არაფერი არ უთქვამს.

- არ გეტყვოდა. არ იცი, როგორი იყო? რას გეტყვოდა. ბოლომდე ფეხზე იდგა. სანამ ობსილა ჰქონდა, იდგა. ორი წლის წინ დაეწყო - ზურგი მენვისო. ჯერ ფეხებზე დაიკიდა. მერე, ძალიან რომ შეწუხდა, გაესინჯა. არაფერი. ვერაფერი ვერ გაიგეს. არ იცი, ამათი ამბავი, ამათი მკითხავი დედაც... ბოლოს, ძმაცატი ჰყავდა არამიანცში, იმასთან მივიდა. გასინჯა და ეგრეო, ფილტვის კიბო გაქვსო. ეწეოდა მაინც. მეც ვანევივინებდი. ქალები ჩხუბობდნენ, ნუ ესწევო. ერთი თქვენიც, მაინცა ვკვებობო... ვანევივინებდი ჩემი ხელით და სულ მამაშენზე ვლაპარაკობდით. ვკვებობდით სიცილით.

- ველოსიპედი რომ ჩამოუტანა, „არლიონოკი...“ თან რომ დაუშალა. ამან კინაღამ რომ იტირა: „რა უყავი, ბიჭო, ჩემი ველოსიპედიო?..“

- მაგასაც და სხვა ისტორიებსაც. არ იცი, ამათი ოინებისა და ქალების ამბები? ვყვებოდით, თან ვასკდებოდით ერთმანეთს სიცილით...

- მამაჩემიც სუ თქვენზე ლაპარაკობდა და სულ ერთი და იგივეს. როგორ უყიდა ველოსიპედი, მანქანას რომ ჰყიდდა და ამას კიდევ არ უნდოდა, რო გაეყიდა და ხუთ კაპიკიანით რომ ამოუკანრა ბავაშნიკზე: - „ვიც ეს მანქანა იყიდოს, მე იმის დედაო...“

- რავი, ამოჭამეს კი ერთმანეთი, თან სულ ტყუილად. რა უნდოდათ?.. აგე წავიდნენ...

- სხედან ალბათ და ეგები კიდევ ჩვენზე ლაპარაკობენ.

- ჰო, ალბათ. თუ არი იქ რამე...

- არი. დიდი მსხალი რო იდგა, რა იქნა?.. ყვითელ მსხლებს რომ ისხამდა?..

- რავი, ერთი მსხლის დედაც... ამოკრავ ხოლმე შენც, რა დროს მსხალია, - უცებ თვალები გაუბრწყინდა, - გახსოვს აქედან ველოსიპედებით რომ დავეშვით, კახეთის გზატკეცილი რომ გადავჭერით და კინაღამ დავით-გარეჯაში არ გავედით? მთელი ღამე რომ გვეძებდნენ... ბალის საჭმელად რომ წავედით და სახლამდე ძლივს მოვალნიეთ?.. ჰა, ისევე ისეთი გიჟი ხარ?..

- არა, ვეღარ...

ისევე დადარდიანდა.

- კაცი რომ ორ ძმას დამარხავს, შუბლი არ უნდა გაუხვრიტო?..

გაბზარული კედლიდან მშობლიური ქვების სითბო და სუნნი ატანდა. მაინც უცხოვდ გრძნობდა თავს. არადა აქ იყო მისი საკუთარი სახლი და ყველაზე საიმედო თავშესაფარი, სუ ამ რიყიან მინაში უნდოდა ჩამოხრება, იმიტომ, რომ იცოდა

სამუდამოდ იყო დაკარგული. ნარსულში დაბრუნება ყოველთვის ძნელია, მით უფრო თუ საკუთარ სახლში ბრუნდები.

ღვინოს სვამდნენ, პამიდვრის მწნილს ატანდნენ და უფროს ძმასა და ბიძაშვილს დარდობდნენ.

- აგნესა რას შვება?..

- რავი „პოპულში“ მუშაობს და ბავშვებს უვლის. განვალდა ეგეც. ჩამოვა და ვნახავთ.

- ჰო, განვალდა ეგეც...

- აჩიკო იყო?..

- ნუხელვე ჩამოვიდა და დარჩა. დილას წავიდა საქმეზე, საღამოს მობრუნდებოდა. რა ყველანი რალაცნაირადა ვართ, აჭრილები და არეულები. აჩიკოსაც აგე, ჯერ ძმა მოუკლეს, მერე ამდენი იომა, იბრძოლა და ზის ახლა სახლში, ყოველ დღით ტყუილად იპარსავს წვერს...

- ეგ კიდევ გადარჩენილია. სხვები უფრო უარესად არიან. არჩილა აზრზე მაინც არი...

- სუ კარგი და მაგარი ბიჭები ჩაიხოცნენ...

- ეგ არი ომი... ეს დიდხანს ინვა?

- არა. ბოლოს სასაფლაოზე ვილაცქეებოდა ჩვენი საფლავების ახლოს რეშოტკები მოიპარეს და ჯვრები დაამტვრიეს. მაშინ გავიდა. დაღამდებოდა, აიღებდა ავტომატს, ნაუყრიდა ფლოსტებში ფეხს, ჩაჯდებოდა მანქანაში და ადიოდა. მთელი ღამე ეგრე იჯდა, დილით ჩამოდიოდა. ერთი კვირა იარა. - ბიჭო, ვინმე არ მოკლაო. არ არა, ყველა იქა მყავს, მეც დღედღეზე მივდივარ, მთავარიანებს ერთი სასაფლაო და გვარჩა იმასაც გვიმტვრევენ, რა არაო... კიდევ კარგი არავინ გამოჩნდა.

- ეტყობა გაიგეს...

- შეიძლება. ბოლოს რომ ჩამოვიდა და მორჩა... ჩანვა და ჩანვა. კაცი რო ორ ძმას დამარხავს, მოსაკლავი არ არი?..

სვამდნენ. ბევრს ისხამდნენ წიქებში და დიდი ყლუპებით სვამდნენ. გარეთ ქარი ღმუღდა. აქამდე ვერ გაიგო, ახლა მიხვდა, რომ ქარი ამოვარდნილიყო. დაშხუოდა და სახლებს შორის, საკუთარ კუდს დასდევდა. ამ ბოლო დროს მყუდრო ადგილებს ეძებდა, იკეტებოდა, როგორც ბერი სენაკში, იხსენებდა წარსულს, დარდობდა და გარბოდა. არ იყო ბერი, უბრალოდ მაგრად დარდობდა, მაგრად დაილაღა და მერე დაღლილობისგან დაილაღა. ბერები არასოდეს იღლებიან. დაღლილობა წარმართების დაავადებაა.

ისხდნენ და სვამდნენ. თანდათან შემჩნევილად თვრებოდნენ. უფროსმა ბიძაშვილმა, ვისი ძმაც მოკვდა, ტირილი დაიწყო. თვითონ ვერ ტიროდა. რალაცნაირად გამშრალი იყო. ბიძაშვილს ცრემლიანი თვალები და თვალები სასვე. მერე უცებ გამწარებით გაიქნია თავი და მონყვითით დალია.

- კაცი რომ ორ ძმას დამარხავს, დედა არ უნდა უტირო?..

როგორც ორმოში ჩავარდე, მერე მალა აიხვდავ, მიხვდები საბოლოოდ გათავისუფლებული არხეინად მიაციდნობ ფეხებგამოჩრილ შავ მინას ზურგს. მშვიდად შეხედავ შენს მოპირდაპირედ აზიდულ შემობრუნებულ სარკესავით შავ სიბნელეს.

მერე მაინც იწყებ ამოსვლას და ამოხ-

ვალ, მა რას იზამ, მაგრამ ყველაზე კარგად სწორედ ამოსული გრძნობ, რომ ერთხელაც იქნება და ვეღარ ამოაღწევ. ველარასოდეს... მაგრამ მანამდე დიდი გზაა. მაგ დღემდე. მანამდე ზიხარ ხოშიანად ზურგმიყრდნობილი და ხერხემალთან გრძნობ ორმოს შავ მინაში გამოჩრილ, გადაჭრილ ფესვს.

- მთავარმონამის საყდარი ისევა დგას?..

- ჰო, - ყვითელი თვალებიდან ცრემლი მოიწმინდა, - მა სად წავიდოდა.

- ისიდორე მღვდელი იქა მარხია ხო?..

- ჰო. რამ გაგახსენა?..

- მე სულ მახსოვს.

- ჰო, შენ ბავშვობიდან გიყვარდა ეგეთი ამბები.

- ჩვენია და მეყვარება მა რა... - რავი... მაგის, - მხრები აიჩჩა, ღვინო დაასხა და გამწარებულმა ამოიხვდა.

ამასაც ცრემლები გაშრობოდა, - ვინ დაგვწყევლა ეგრე - ორმოცდაათ წელს ვერავინ გააღწიეთო, მართლა აღის ჯიშებისა ვართ ეს ჩემისა?.. ვის რა დაეუშავეთ?.. რა დაგვწყველეს ეგეთი...

- კაი, რალა ვის რა დაეუშავეთ...

- ერთი მაგათი დედაც...

- მაგათი დედაც და ეგრე არ არი... ხო ხედავ, რა დღეში ვართ. წირავს ვინმე მთავარმონამში?..

- არა... იქ ვინ ავა. ერთი პერიოდი ის დადიოდა, ბიჭო, ისა, სახელი დამავინყდა. ერთი ყაჩაღი მღვდელი იყო, იმას უყვარდა იქ ასვლა და ლოცვა, ვილისით მოძრაობდა. ის ადიოდა, სანთლებს ანთებდა, საკმევებს აკმევდა. . . მერე პერესტრელკაში მოკლეს. ოთხმოცდაათშთმეტის დეკემბერში, მხედრონს რომ დაერივნენ. იმის მერე ჩვენს გარდა აღარავინ ადის. რა წირვა... - ჩვენი იყო ის მღვდელი?

- არა. აქაური იყო, მაგრამ ჩვენი არა. სუ იარაღში იჯდა. ავტომატს არ იშორებდა. აფხაზეთშიც ომობდა.

- და მღვდელი იყო, ტო?

- ჰო, ჩვეულებრივი... გვარი არ მახსოვს, აღარც - სახელი. მაგრამ აქაური იყო. ის უვლიდა ბოლოს მთავარმონამეს. ალაგებდა ასუფთავებდა.

ისაიო ადგილებში, სადაც ტბა და ტყეა, ბევრ თქმულებებს ჰყვებიან. ღამე ტბის ზედაპირზე ბევრი რამე შეიძლება მოგეჩვენოს, ბევრი რამე შეიძლება ანათებდეს. მით უფრო თუ იმის დროც არა გაქვს, კარგად დააკვირდე. თვალს მოჰკრავდი თუ არა, ზურგი უნდა შეგექცია და წამოსულიყავი, რაც უნდა გაგეგო, ან მომხდარიყო, არ უნდა შებრუნებულიყავი, თორემ თვალის დახამბამება და თუ მართლა ალი იყო, აღარ გამოგიშვებდა, ველარ დაეხსენებოდი. ძალიან ლამაზი იყო. ბევრი ბიჭი დაიკარგა უზიარებლად ტყეში და ტბის გარშემო. ადრე ხო სუ პანტაპუნტით იკარგებოდნენ. ცოცხლებიდან კი, ერთადერთი მესროფიანთ დათიკო გადაურჩა. სირბილით, ცივ ოფლში განწული მოვარდა სოფელში: - „რას გადავრჩი, ბიჭო, რას გადავრჩი, მომელანდა ეგ წყეული, ერთი რომ ამონათდა თეთრად, მერე აღარაფერი მახსოვს. მოვრბოდი და ეგ იყო.“ დაეხვია ხალხი: - „ჰა, რა იყო, როგორ იყო...“ ერთი, მთავარიანთ ერეკლე არ განძრეულა. თვალბმონკურული

ცუდად უყურებდა ზემოდან და გამხმარ ყბაზე ხელს ისვამდა. - „მოიცაო, ხალხო რა მოგიყვით, სულს ძლივს ვითქვამო“, - დათიკომ. „რა იყო, ბიჭო, რას მორბოდი, გამოგეკიდა და ვერ დაგენია?.. ტყუილად რა მოგარბენინებდაო“, - მთავარიანთ ერეკლემ ჰკითხა, თან ალმაცერად დაჰყურებდა. მესროფიანთ დათიკო გაჩუმდა. მთავარიანთ ერეკლე პასუხს აღარ დაელოდა, წავიდა შეერია სიბნელეს. სახლში არ წასულა, ტყეში გადაუხვია და ტბისკენ თავისსავე გაკვალულ ბილივს გაჰყვა - „რას ამბობ, განა თავი მაქვს შენსავით მოძულეულიო“, - უკვე წასულს გაეპასუხა დათიკო, თან გამოყოლილ კანკალს უძალიანდებოდა. შაბათის ღამე იყო, კვირა თენდებოდა და მთვარე კიდევ სულაც არ ჩანდა.

კარგა ხანს ჰყვებოდა მესროფიანთ დათიკო ამ ამბავს, როგორ გაეჩვენა ალი. ოლონდ მარტო მაშინ, როცა მთავარიანთი იქ არავინ იყო. მერე, თითქმის ერთი წლის მერე, შიშმა გადაუარა, იმასაც ჰყვებოდა ალი, როგორი იყო - „თეთრი იყო, ფიფქინა, მწვანე თვალები უელავდა, ხვეული წითელი თმა ეყარა მხრებზე...“ „მართლა შიშველი იყო დათიკოო?“ - ვინმე თუ ჰკითხავდა, სერიოზულად ბრაზდებოდა - „ენა გააჩერე, თორემ ერთ დილას დაბლუნძული რომ გაიღვიძებ მერე დაიგებ შენაო...“ თვითონ ძალიან მაგრად იყო შეშინებული და ეს შიში სიკვდილამდე გაჰყვა.

ის, რასაც დათიკო ჰყვებოდა და ისიც, რასაც არ ამბობდა, დიდი ხანია ისედაც იცოდნენ სოფელში. ასწლეულების განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემოდა, იმათი ნაამბობი ვინც ალის დანახვა და მისგან თავის დაღწევა მოახერხა: - თეთრი, თითქმის საფეთქლებამდე გაზიდული, მწვანე შუქით სავსე ირიბი თვალებით, მხრებზე დაყრილი გრძელი წითელი თმით - იმ თმაში გახვევაც შეეძლო, დიდი თეთრი მკვრივი ძუძუებით, აი ისეთით, ძველი ბერძნები მსხვერპლშესანორ თასებს რომ ასხამდნენ დელოუს მისნის თაყვანის საცემად, მერე იმ თასებს რომ ამტვრევდნენ და მინაში ფლავდნენ, საუკუნეების შემდეგ ამ გოიმ, ბნელ და ველურ ჩრდილო დასავლელ ევროპელებს რომ ეპოვათ და გახარებოდათ. ზოგს თავისი ირიბად გაზიდული, ანთებული მწვანე თვალების შუქით იზიდავდა, ზოგს ხმით, ერთნი ამბობდნენ, რომ ყინულის სიცივე მოდიოდა, სხვები აბრიალებულ ცეცხლის მხურვალეობად, ალი უნახვით მარტო, უფრო ხშირად მარტო ნახულობდნენ, უნახავთ ორნი, ერთხელ ერეკლე მეფის დროს, სამიცა ნახეს ერთად ლეკებმა...

ბუბუნი ისმოდა. ყველაფერი ზრი-ალეზდა. იქაურობა მართვადაკარგულ კოსმოსურ ხომალდს ჰგავდა. უცნაური და დამახასიათებელი ზუზუნი ისმოდა. ყველა ცეკვავდა, ბარაკონის როკაპეტივით მოძრაობდნენ - თითქოს უძველეს წარმართულ მსხვერპლშენივრის რიტუალს ასრულებდნენ. თეთრი შუქი რიალებდა, ინთებოდა, ქრებოდა, შუქი თითქოს გლეჯდა, აცალკევებდა მოცეკვავეების სხეულს, ცალცალკე ჩნდებოდა და ქრებოდა, ხელი, თმა, თეთები, ფეხები, ვიაც გოგოს ტუჩები, თეთრად აკრიალებული კბილები, შიშველი მუცელი, ჭიპი, თვალეები, თეთრი შუქი გადადიოდა ჭერზე, კედლებზე, იატაკზე, შიგადაშიგ ლანალუნის ხმა ისმოდა, ecstasy და LSD სულ უფრო და უფრო აგდებდა მოცეკვავეებს. ერთი წითელბენდენიანი თვალბდახუჭული გოგო თავს ისე იქნედა, თითქოს მისი მოშორება უნდა და ვერაფრით მოუშორებო. უფრიალებდა გრძელი შავი თმა. ძალიან კარგი გოგო იყო. ძალიან გათიშული და ძალიან კარგი გოგო.

ბიჭი და გიორგი დისკოთეკიდან გამოვიდნენ. ცოტა ხანს ჰაერზე გაჩერდნენ, სული მოითქვეს.

- ნამო რა, სადმე დავსხდეთ, დავლიოთ, - თქვა ბიჭმა.

- არ მეფასება ეს დისკოთეკები და უბედურება, - თქვა გიორგამ, - მაგარი ზემეკა პონტია, უნდა იჩინდრიკო სულელივი.

- რავი, მიშამ, გოგოები ჩითავენო, მაგრამ აღარც გოგო მინდა, აღარც არაფერი, დავყრუვდი, ტო...

- ტყუილად ჩამათრიე, რას დაგიჯერე... დაჯე რა, სადმე ადამიანურად დალიე, თქვი, რა გინდა. გოგოები არა ისა...

ლელა მეტრეველი

ჰაიკუს ოთხი პოეტი

ინაპონური ჰაიკუ — წარმოშობიდან მე-20 საუკუნემდე — ოთხ დედაბოძს, ოთხ დედ პოეტს ეყრდნობა. ეს პოეტებია: ბასილი, ბუსონი, ისა და სიკი.

ყველა ეს სახელი ფსევდონიმია, რადგან, იაპონური ჩვეულებისამებრ, როცა რომელიმე სკოლას მიეკედლებოდა და ლექსების გამოქვეყნებას იწყებდა, პოეტი აუცილებლად იღებდა ფსევდონიმს, რომელიც შეიძლება რამდენიმე შეცვლილიყო.

XVII საუკუნის იაპონიაში, როცა ჰაიკუ პოეზიის დამოუკიდებელ ფენად ჩამოყალიბებას იწყებდა, ბევრი პოეტური სკოლა არსებობდა, სადაც ახალბედებს რენგასა და ჰაიკუს თხზვას ასწავლიდნენ. ამ სკოლებს შორის გამოირჩეოდა ტიემონისა და დანრინის სკოლები. პირველი მათგანი დაარსა პოეტმა მაცუნავა ტიეტოკუშ (1571-1653). მანვე შექმნა ჰაიკუს თეორიული სახელმძღვანელო. დანრინის სკოლა დაარსა ნისიამა სონინმა (1605-1682), შთამომავლობით სამურაიმ. დანრინის სკოლა ტიეტოკუს სკოლის აკადემიზმს დაუპირისპირა უშუალოდ, შთაგონების, ექსპრომტის უპირატესობა. ორ სკოლას შორის გაჩაღებულ კამათში ბოლოს დანრინის სკოლა გაიმარჯვა. ამასობაში გამოიკვეთა და გაძლიერდა რენგას სახეის სტროფი — ჰოკუ, რომელიც თავიდან იუმორისტულ ელფერს ატარებდა. ის ლირიკული პოეზიის დამოუკიდებელ ფენად აქცია და აყვავების გზაზე დააყენა ბასიომ (1644-1694). ბასიო ითვლება ჰოკუს (თანამედროვე ტერმინოლოგიით — ჰაიკუს) ესთეტიკის შემქმნელად.

მაცუო ბასიო, რომლის ნამდვილი სახელის შესახებ სხვადასხვა წყაროში სხვადასხვა ცნობაა, დაიბადა ხელმოკლე სამურაის ოჯახში, სავარაუდოდ, ივას პრინციპში. მამამისი და უფროსი ძმა კალი-გრაფიას ასწავლიდნენ, ამიტომ ბასიომ ოჯახშივე კარგი განათლება მიიღო. 1644 წლიდან ის მსახურობდა მდიდარ და ცნობილ სამურაისთან — ტოოდ იოსიტადისთან, რომელიც თვითონვე ჰაიკაით იყო გატაცებული. ის ხშირად გზავნიდა ბასიოს კოტომო, ტიემონის სკოლაში, სადაც ბასიოს მასწავლებელი იყო ტიეტოკუს მიერ გამოზრდილი კიგინი. იოსიტადის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ბასიო გაემგზავრა ედოში (ახლანდელი ტოკიო) და შევიდა სახელმწიფო სამსახურში. მალე ეს სამსახური მიატოვა და პოეზიის მასწავლებელი გახდა. ედოში ბასიო დაუახლოვდა დანრინის სკოლის პოეტებს. მალე ის ცნობილი გახდა, როგორც რენგას ოსტატი.

ორივე სკოლის შემოქმედებით პრინციპების შედარებისას ბასიომ ნათლად იგრძნო მათი შეხედულებობა და საკუთარი გზის ძებნა დაიწყო. პოეტის როლი მისთვის გამოიკვეთა ტანას ეპოქის ჩინური პოეზიის შესწავლის შემდეგ. ბასიო დიდად აფასებდა ჩინელ პოეტებს: დუ ფუსა და ლი ზოს.

ბასიომ ღრმად შეისწავლა არა მარტო იაპონური და ჩინური პოეზია, არამედ დაოსიზმიც, რომელიც არსით ენათესავება ბუდისტურ ფილოსოფიურ მიმდინარეობას — ძენ-ბუდიზმს. საბოლოოდ ბასიომ ძენ-ბუდიზმის შესწავლა დაიწყო და მთელი მისი (და არა მარტო მისი!) შემდგომი შემოქმედება ამ ნიშნითაა აღბეჭდილი.

ხელმძღვანელობდა რა ძენის მოძღვრებით, ბასიომ ჰაიკუს თხზვას სათავედ დაუდო გასხვიოსნების პრინციპი (სატორი). სატორი ღრმა მედიტაციის შედეგად მიიღწევა და წარმოადგენს გზას, რომლითაც ადამიანს შეუძლია, ყოფიერებით გამოწვეულ ტანჯვას თავი დააღწიოს. ბასიომ იზოვა საკუთარი ადგილი პოეზიაში. მის თითქოს ერთი ამოსუნთქვით დაწერილ უზადო ლექსებში ავტორის დიდი შრომაა ჩადებული. მივმართოთ ბასიოს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ჰაიკუს "ბე-ტორი ტორი", რომელზედაც რამდენიმე ტომია დაწერილი. მიჩნეულია, რომ ამ ლექსში ბასიომ გამოხატა შუა საუკუნეების იაპონურ ხელოვნებაში გაბატონებული პრინციპი ავარა — საგნების ნაღვიანი მომხიბვლელობა და ადამიანის ბუნებასთან ერთიანობა:

ბე-ტორი ტორი.
წყალში ჩახტა უცებ ბაყაყი.
სიჩუმეში ჩქაბი გაისმა.

სხვადასხვა მკვლევარი მიიჩნევს, რომ ამ ჰაიკუს ნაკითხვისას იაპონელი მაშინვე წარმოიდგენს ბუდისტურ ტაძარს ან თუნდაც ქოსს, რომლის შორიხელოსაც



ტორი გარინდებულა. სიჩუმე იმდენად ღრმაა, რომ ბაყაყის წყალში ჩახტომის ხმაც კი ისმის და ა.შ. მაგრამ ეს ჰაიკუ ერთბაშად არ დაწერილა: ბასიომ ჯერ ბოლო ორ სტრიქონს მიაგნო და მონაფებთან ერთად დიდხანს ეძებდა პირველს. უარყოფილი იქნა ყველა სტრიქონი, რომელიც ჰაიკუს ნაღვიანი მომხიბლაობაში დისონანსს შეიტანდა. რამდენიმე დღის შემდეგ მიაგნეს გამოთქმას: ბე-ტორი ტორი.

აუცილებელი არაა, ყოველ ჰაიკუში ფარული სიმბოლური აზრიც იყოს ჩადებული, მაგრამ ბასიოს ბევრი ჰაიკუ ნამდვილად არ წარმოადგენს მხოლოდ ბუნების სურათს.

მოდით, იხილეთ მარტომა!
ხეზე ფოთოლი.

ერთადერთი ფოთოლი მხოლოდ, —
კითხულობ ამ ჰაიკუს, ეცნობი ბასიოს ცხოვრებას და ბუნებრივად ჩნდება აზრი: პოეტიც ფოთოლივით მარტოა, საკუთარ მარტოობაზე წერს.

ბასიოს პოეზიის მთავარი პრინციპებია:

— **საბი.** ეს სიტყვა პირდაპირ არ ითარგმნება. ის მარტოობით გამოწვეულ ნათვლას ნიშნავს, მაგრამ გულისხმობს აგრეთვე სილამაზის გამოვლინებას უბრალო, მკაცრ ფორმებში, ანუ დახვეწილ უბრალოებას — სწორედ ასეთია ჰაიკუ.

— **სიორი** ნიშნავს საბის უშუალო გამოვლენას ლექსში, მაგრამ არ ღიად, არამედ როგორც ფარულად, თვით ლექსის ნიშნავს, სიტყვიერ ქსოვილში.

— **ხოსომი** წარმოადგენს აგრეთვე ლექსის შინაგან მახასიათებელს. ლექსს აქვს ხოსომი, თუ ის მსმენელში აღძრავს თანაგრძობას, თანაღმობას.

— **ფუკიუკო** ჰაიკუს მთავარი პრინციპია, რომელიც ბასიომ სიცოცხლის ბოლო წლებში ჩამოაყალიბა. ის ნიშნავს მდგრადობასა და ცვალებადობას ერთდროულად, ანუ — პოეზიასთან მიმართებაში — ლექსის ცვალებად ფორმაში ტრადიციის მყარად შენარჩუნებას.

— **კარუმი** ნიშნავს სიმსუბუქეს, ბუნებრიობას, რომელიც ჩნდება ლექსის სიტყვიერ სტრუქტურაში პოეტის მიერ სამყაროს ბუნებრივი აღქმის შედეგად. ეს ცნებაც ბასიომ სიცოცხლის ბოლო წლებში შემოიტანა.

ბასიოს ლირიკა ასახავს იმდროინდელი იაპონიის სულს. ამას ხელი შეუწყო ბასიოს მოხეტიალე ცხოვრებამაც. მოხეტიალე ცხოვრება კი შემდეგნაირად დაიწყო:

ედოში ბასიო ცხოვრობდა უბრალო ქოხში, რომელიც ერთ-ერთმა მონაფემ აჩუქა. სახლთან ახლოს თვითონვე დარგო ბანანის პალმა და აქედანვე აიღო ფსევდონიმი: ბასიო "ბანანის ხეს" ნიშნავს. ეს ბანანი არაერთგზის გაიყვანეს ბასიოს პოეზიაში:

ბანანი დავრგე
და შემზივლდა
უკვე შამბნარი.

1662 წელს ბასიოს ქოხი ედოში გაჩენილი დიდი ხანძრის მსხვერპლი გახდა. ერთი წლის შემდეგ მან, მონაფეების დახმარებით, ახალი ქოხი ააშენა და ბანანიც ისევ დარგო, მაგრამ ეს არ იყო მკვიდრ ცხოვრებასთან დაბრუნება: აქედან სიცოცხლის ბოლომდე ბასიო მოხეტიალე პოეტად იქცა. მოგზაურობდა მარტო, ან ორსამ მოსწავლესთან ერთად. მისი პირველი მოგზაურობა 1664 წელს დაიწყო, როცა პოეტი უკვე 40 წლისა იყო. გარეგნულად ბუდისტ მომლოცველსა ჰგავდა: განუყრელად ეხურა ჭილის ქუდი, ეცვა ღია-ყავისფერი ბამბის ლაბადა, ხელში კი არგანი და კრიალოსანი ეჭირა. თან დაატარებდა აბგას, რომელშიც რამდენიმე ჩინური და იაპონური ანთოლოგია, აგრეთვე ფლეიტა და ხის გონგი იდო.

თუ მოღვაწეობის პირველ პერიოდში ბასიო ფილოსოფიურ პოეზიას ანიჭებდა უპირატესობას, მოგზაურობის დაწყების

შემდეგ კი ის წერდა მოხეტიალე პოეტებზე, მხატვრებზე, ვაჭრებზე — მოკლედ, გზად შეხვედრილ ადამიანებზე. უკუაგდო რა ტანკას არქაული სტილი, ბასიომ გააფართოვა ჰაიკუს ლექსიკა. სასიყვარულო თემებს ბასიოს პოეზიაში ვერ შეხვდებით — ამას ენაცვლება ბუნების მშვიდი, ობიექტური აღწერა. ბასიო არ მორიდებია დაწესებული ჩარჩოების რღვევასაც — მას აქვს ბევრი ჰაიკუ, რომლებშიც მარცვალთა კანონიკური თანაფარდობა დაცული არაა.

ბასიოს მოგზაურობა ხელს უწყობდა მისი სტილის გაფრთხილებას, რადგან იაპონიის ყველა კუთხეში პოეტები და არისტოკრატები მას პატივებდნენ, ყველგან ხვდებოდა გლეხებისა და სამურაების აღტაცებული კრებული, თვითონ კი ბუნებრივად იღებდა ძალას, შთაბეჭდილებებს. ბასიო პოეზიის თავისებური ელჩი იყო იაპონიის გზებზე.

1694 წელს, როცა პოეტი იმდროინდელა, გაეგრძელებინა მოგზაურობა ქვეყნის უკიდურესი ჩრდილოეთითსაკენ, ის უეცრად შეუძლოდ გახდა და 12 ოქტომბერს ოსაკაში გარდაიცვალა. იაპონური ჩვეულებისამებრ, სიკვდილის წინ მონაფეებმა სთხოვეს ბასიოს, შეეთხზა უკანასკნელი ჰაიკუ. პოეტის პასუხი იყო, რომ ყველა ლექსი უკანასკნელია, რადგან არავინ იცის, სად წამოენევა სიკვდილი. და მაინც, მან უკარნახა უკანასკნელი ქმნილება:

გზად ავად გავხდი.
დადამწვარ მინდვრებს
დასტრიალებენ სიზმრები ჩემი.

ბასიოს წერილებიდან გამოაქვთ დასკვნა, რომ ის იყო მშვიდი, ზომიერი, განონანსწორებული ადამიანი, ერთგული ნათესავებისა და მეგობრებისა. ღარიბულად ცხოვრობდა, მაგრამ ბუდისტური ფილოსოფიის გავლენით, ამ მდგომარეობას არ განიცდიდა. ჰქონდა სუსტი ჯანმრთელობა.

ბასიოს ლიტერატურული მემკვიდრეობა დიდი და მრავალფეროვანია: საკუთარი და მონაფეების მიერ შედგენილი 7 ანთოლოგია, ლირიკული დღიურები პოეზიის ჩანარებით, წიგნებისა და ლექსების წინასიტყვაობები, წერილები. ითვლება, რომ ბასიომ ხელი შეუწყო საგზაო დღიურების ფენის აყვავებასაც.

ბასიომ უდიდესი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეებისა და ახალი დროის პოეტებზე. მისი პოპულარობა იაპონიაში ისეთივეა, როგორც ჩვენში — რუსთაველისა.

ბასიოს სიკვდილის შემდეგ მისი სკოლა რამდენიმე მეტოქე ჯგუფად დაიშალა. ჰაიკუს დონე გაუარესდა, ამავდროულად, ცენტრიდან პროვინციებშიც გავრცელდა. სწორედ ეს უკანასკნელი მოვლენა გახდა ჰაიკუს აღორძინების ხელშეწყობი.

ახალი სიცოცხლე ჰაიკუმ შეიძინა იოსა (ჰსა) ბუსონის (1716-1783) მეშვეობით, რომელიც სიცოცხლეში უფრო ცნობილი იყო, როგორც მხატვარი და არა — როგორც პოეტი.

იოსა ბუსონი (ტანიგუტი) დაიბადა ოსაკას ახლოს, სოფელ კემამი. ბუსონის ოჯახი შეძლებულად ცხოვრობდა. მომავალი პოეტი და მხატვარი კითხულობდა ჩინელ და იაპონელ კლასიკებს, სხვაობდა ფერწერას. ბუსონმა ადრე დაკარგა მშობლები და 16 თუ 17 წლის ასაკში ედოში გაემგზავრა. შემდეგ დიდხანს ცხოვრობდა კიოტოში, მაგრამ მშობლიურ სოფელში დროებითაც კი აღარასოდეს დაბრუნებულა. რატომ? ეს მისი საიდუმლოა, თანაც, არა ერთადერთი საიდუმლო.

ედოში ბუსონი შეურთდა ხანძინის სკოლას, რომელიც იმ დროის ერთ-ერთ საუკეთესო პოეტად ითვლებოდა. ხანძინი იყო კიკაუსა და რანსეტუს მოსწავლე, ისინი კი, თავის მხრივ — ბასიონი. 1742 წელს ხანძინი გარდაიცვალა. ბუსონმა ედო დატოვა და 10 წელი ხეტიალში გაატარა. მას არ დაუტოვებია საგზაო დღიურები, მაგრამ თავისი შთაბეჭდილებები გამოხატა ესეში.

1753 წელს ბუსონი კიოტოში დასახლდა და სიკვდილამდე იქ ცხოვრობდა. კიოტოში ის იყო ცენტრალური ფიგურა ე.წ. "მხატვარი ინტელექტუალთა" შორის. მხატვარი ინტელექტუალები არსად მუშაობდნენ, თავისუფლად ცხოვრობდნენ და ხელოვნების ხუთივე სახეში (პოეზია, პროზა, კალიგრაფია, ფერწერა, ბეჭდების ტვიფრა) ცდიდნენ ძალეობს. ამ პირობებში, ლოგიკურად მოსალოდნელი ზედაპირულობის ნაცვლად, მათ ნამუშევრებში იგრძნობა პროფესიონალიზმი. ბუსონის დროს აყვავების გზაზე იდგა ჰაიგა — ტუმით ნახატი ზედ დაწერილი ჰაიკუთი. ჰაიგა ითვლებოდა ნახატი-სა და იეროგლიფის ერთიანობის გამომხატველად და აადვილებდა ორივე

მათგანის აღქმას. ადვილი წარმოსადგენია, როგორ ჰაიგას შექმნიდა ბუსონი.

ნახატებზე შეკვეთებმა უზრუნველყო ბუსონის სტაბილური მატერიალური მდგომარეობა და 44 წლის ასაკში ის დაქორწინდა. ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი — კუნო.

პოეზია ბუსონისათვის მთავარ საქმედ მხოლოდ 50 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ გახდა. 1770 წელს ის გამოაცხადეს 28 წლის წინ გარდაცვლილი ხანძინის მემკვიდრედ. სკოლის სათავეში ჩადგომისას მან მიიღო უფლება, ყოფილიყო მსაჯული პოეტურ შეკრებებზე. ასე შევიდა ბუსონი ცნობილი ოსტატების რიცხვში. ბუსონი ასწავლიდა და წერდა ჩაის სახლში, რომელიც დღემდე არსებობს.

ბუსონის დროს ჰაიკუ გადაქცეული იყო სავარჯიშოებად მოცემულ თემაზე. ამიტომაც მის შემოქმედებაში ხშირია წინათქმა: "შემხვდა თემა..." აუცილებელი იყო ჰაიკუს განახლება, რაც იაპონიაში ტრადიციასთან ახლებურად დაბრუნებას ნიშნავს. სწორედ ეს გახდა ბუსონის მისია.

თანდათანობით ბუსონი გახდა სული და გული მოძრაობისა "დაბრუნება ბასიოსთან!". 1776 წელს ბუსონმა მეგობრებთან ერთად ალადაგინა ე.წ. ბასიოს ქობი და იქ პოეტურ შეხვედრებს ატარებდა. ამან ბევრად შეუწყო ხელი ბასიოს იდეალიზაციასა და მის პოეტურ ესთეტიკასთან დაბრუნებას.

თვით ბუსონის პოეზია გამოირჩევა შინაგანი განცდების ჩვენებით (გული დამენვა./სანლო ოთახში მკვდარი მუღლის/სავარცხელზე დამედგა ფენი), ყოფის ასახვით (თესლიან ტომრებს/გაზაფხულის/ ასვლებს წვიმა), მხატვრის ხედვით (ბატების მწკრივი — ცაზე სტრიქონი/, დაბლა ბეჭედი —/მთის წვერზე მთვარე), აგრეთვე ბასიოსებრი ლაკონიზმით და სისადავით. ხშირად მიჩვენება, რომ ბუსონის ერთი ჰაიკუ საკმაოდ ვრცელი მოთხრობის 17-მარცვლიანი კონცენტრატია. მაგალითად, ჩვენც ხომ ბევრ რამეს გვახსენებს თითქოს სრულიად მარტივი ლექსი:

თავსხმა წვიმაა გაზაფხულის.
თვით უსახელო,
შეუმჩნეველი ნაკადული
გახდა საშიში.

ბუსონისა და მისის სკოლის მეშვეობით ჰაიკუმ შეიძინა ლირიულობა, რომანტიულობა. სამსტრიქონეში დამკვიდრდა სიყვარულის თემა, რაც ბასიოსათვის წარმოუდგენელი იყო. ამდენად, მიჩნეულია, რომ ბასიოს მზერა მიმართულია გარედან შიგნით, ბუსონისა — შიგნიდან გარეთ.

ბუსონი ახერხებს, არ იყოს ბერივით ასეკეთური, მაგრამ უბრალო მოვლენაში კი უსასრულობამდე განზოგადებული სახე დაგვანახოს. მაგალითად, ითვლება, რომ მისი ჰაიკუ:

პეპელა მუჭში.
ცხადია იგი,
თუ სული არის სიზმარული?

არის ერთდროულად: ნატურალური სურათი; ცხოვრების წარმავლობის გამოხატულება; გამოძახილი თქმულები-სა ცნობილი ჩინელი ფილოსოფოსის, ჩენძის (ჩვენს ერამდე IV-III სს.) შესახებ, რომელსაც დაეისიზმრა, რომ პეპელაა, გამოდგომილუმდა კი ვეღარ გაარკვია — ის ჩენ-ძი იყო, რომელსაც დაეისიზმრა, თითქოს პეპელა იყო, თუ პეპელაა, რომელსაც დაეისიზმრა, თითქოს ჩენ-ძი იყო.

ბუსონმა ჰაიკუში შემოიტანა პრინციპი: "დამორება ვულგარულთან", რაც, ძენის მოძღვრების მიხედვით, ნიშნავდა არა ვულგარულისგან გაქცევას, არამედ მის განსუფილესგან. ბუსონი უბრალოებასაც თავისებურად განმარტავდა: არა ის, რასაც ყოველ წუთს ვამბობთ ან ვაკეთებთ, არამედ ის, რასაც მთავრობების წუთებში ვგრძნობთ.

ბუსონის პოეზიაც მხოლოდ ძენის მოძღვრების საფუძველზე გაიგება. ის ქადაგებდა დაპირისპირებულთა ერთიანობას (რაც "ინისა" და "იანის" ერთიანობაში აისახება), აგრეთვე აწმყოთი ცხოვრების პრინციპს. "...სადაა ზღვარი სუფთასა და ჭჭუყიანს, ნათელსა და ბნელს შორის, რა არის კარგი და რა — ცუდი?" — წერდა ბუსონი. ჰაიკუს თხზვა, მისი აზრით, უნდა დაქვემდებარებოდა წამიერი მთავრობების პრინციპს, წარულისა და მომავლისათვის ყურადღების მიუქცევლად.

ბუსონისდროინდელი იაპონია მაინცდამაინც დაღვინებულიად არ ცხოვრობდა; მოსახლეობა მკვეთრად დაიყოფნებდა, ხალხი უკიდურესად გაღატაკდა. თვით ბუსონი ხშირად ავადმყოფობდა. მისი ქალიშვილის ოჯახური ცხოვრებაც არ აენყო. ასე რომ, ბუსონი პოეზიას და მხატვრობაში ეძებდა ჰარმონიას,

რომელსაც სინამდვილეში ვერ პოულობდა. მან დატოვა აგრეთვე შესანიშნავი პროზაული ნაწარმოებები.

1780 წლიდან ბუსონი ლოგინად ჩავარდა. 1783 წლის ოქტომბერში, სიკვდილამდე ორიოდე თვით ადრე, მან სთხოვა ერთ-ერთ მოსწავლეს, ჩაენერა უკანასკნელი შაიკუ:

ზამთრის ჩიტუნა, მგალობელი. დიდი ხნის წინათ, ვენ ვეის² სახლთან ის ასევე ტკბილად მღეროდა?!

25 დეკემბერს ბუსონი გარდაიცვალა. ის დასაფლავდა კოტორშივე, კომპოზიციის ტაძარში, ზემოხსენებულ ბასიოს ქობთან ახლოს.

ედოს ეპოქის უკანასკნელი დიდი პოეტი **ისა** იყო. კობაიასი ისა (იგივე იატარო) დაიბადა 1763 წელს, სინანოს პროვინციის სოფელ კასივბარაში. ის გლეხის ოჯახის პირველი შვილი იყო. ისას ცხოვრებაში ერთ უბედურებას მეორე მოსდევს: დედა ადრე გარდაიცვალა და ავი დედინაცვლის ხელში იზრდებოდა. მის ყოფას ალამაზებდა ბებია, რომლის სიკვდილის შემდეგ 14 წლის ისა სახლიდან მოიძორეს და ედოში გაგზავნეს. ისამ არ გამართლა მამის იმედი, ვაჭრობა ან ხელობა შეესწავლა და პროფესიონალ პოეტად იქცა. ის მოგზაურობდა სხვადასხვა პროვინციაში და სარჩოს შაიკუს თხზვით მოულოდნელად. 39 წლის ასაკში ისა მომზღვიურ სოფელში დაბრუნდა, სადაც მომაკვდავი მამა დაუხვდა. დაიწყო გრძელი და მიძიმე დავა დედინაცვალთან და ნახევარძმასთან მექვიდრობისთან დაკავშირებით. მხოლოდ 12 წლის შემდეგ ისამ მიიღო საკუთარი წილი მამის ქონებიდან და, 50 წელს გადაცილებული, ახალგაზრდა ქალზე დაქორწინდა. სოფელში ნაკვეთს ამუშავებდა და შაიკუს გაკვეთილებს ატარებდა. გაუჩნდა 4 ვაჟი და ერთი ქალიშვილი, მაგრამ ყველა მცირეწლოვანი გარდაიცვალა. მათ მიჰყვა კიკუც, ისას საყვარელი მეუღლე. ამის შემდეგ ისა ორჯერ დაქორწინდა, მაგრამ კიკუც არ დავინწყებია.

1827 წელს ისა გარდაიცვალა კასივბარაში. პოეტის სიკვდილის შემდეგ დაიბადა მისი ქალიშვილი იატა.

ისას პირველი ნაწარმოებები სხვადასხვა წიგნში 1790 წელს შეიტანეს. მათ ერთ-ერთი მეცენატის ყურადღება მიიქცევს და ისას აღმასვლაც დაიწყო. დაიწყო მისი მოგზაურობაც ქვეყნის სხვადასხვა რაიონში. 1792 წელს პოეტმა ფსევდონიმი იატარო ისათი შეცვალა. ისა "ფინჯან ჩაის" ნიშნავს.

ძველ იაპონელ პოეტებს შორის ისა გამონაკლისია: მან შაიკუში შემოიტანა მოქალაქეობრივი მოტივები, დემოკრატიული გახადა შაიკუს თემატიკა. ისას პოეზიაში ყველა სხვა პოეტზე მეტად აისახა საკუთარი პიროვნული ხვედრი. საერთოდ, იაპონური კლასიკური პოეზია გაურბოდა უშუალობას და კონკრეტულობას სინამდვილის ასახვას. მისი გზა იყო გულიდან სიტყვისკენ და არა სინამდვილიდან სიტყვისკენ. პოეტის ხელოვნება მდგომარეობდა უნარში, კანონიკურ სახეში აესახა სულის კანონიკური მდგომარეობა. ინდივიდუალობა გამოიხატებოდა მხოლოდ უფაქიზეს ნიუანსებში.

ისას პოეზია გამოირჩევა იუმორით, სიყვარულით ყოველივე სულიერსადმი. მისი ლექსები მცენარეებზე, ცხოველებსა და მწერებზე ყველა იაპონელმა მოსწავლემ იცის. აი, როგორ "უფრთხილდება" ისა მნივე ნესეს:

თუ ახლა ვინმე უცაბედად სტუმრად გვეწვია, სასწრაფოდ თავი მოაჩვენე ბაყაყად, ნესო!

ისამ შაიკუში შეიტანა აგრეთვე დილექტი, პოეზია დაუახლოვა რეალურ ყოფას. ეს არ ნიშნავს, რომ მისთვის უცხოა ფილოსოფიური განსჯა ცხოვრების შესახებ. როცა ვკითხულობთ:

გზად ბევრმა ვინმემ გადამისწრო. დაბინდა უკვე. საღამოა შემოდგომისა,

ცხადი ხდება, რომ პოეტის გამონათქვამი ორმაგი აზრის მატარებელია — ისა საკუთარ შემოდგომაზეც ნუხს, საკუთარ მწარე ხვედრზე დარდობს.

ისა პროზაზეც წერდა. მან დატოვა უზარმაზარი მექვიდრობა: 20 000-ზე მეტი შაიკუ, ასეულობით ტანკა, შესანიშნავი პროზა ჰაიბუნის ფანრში.

ისა არა მარტო ედოს ეპოქის, არამედ საერთოდ ფეოდალური იაპონიის შაიკუს პოეტების უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი აღმოჩნდა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იაპონიაში დაიწყო ე.წ. **მეიძის ეპოქა**, რომელიც მთელი სისტემის რეორგანიზაციით გამოირჩეოდა. კარნაკეტული ფეოდალური იაპონია თანდათანობით გადაიქცა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნად. გზა გაეხსნა ქვეყანაში

დასავლური კულტურის გავრცელებას. 1894-1895 წწ. ჩინეთ-იაპონიის ომის შემდეგ მთელი იაპონური ხელოვნება ორ ნაწილად გაიყო: ტრადიციული და ევროპული მიმართულებებისა. ასე გრძელდება დღემდე.

სწორედ ამ გარდამავალ ეპოქაში გამოჩნდა შაიკუს მეოთხე დიდი პოეტი — **მასაოკა სიკი**, რომელიც ერთდროულად გამოჩნდა ორი ფილოლოგი იყო. მან არა მარტო ახალი სიცოცხლე შესძინა შაიკუსა და ტანკას, არამედ შეისწავლა და გადააფასა წარსულის მექვიდრობაც. სწორედ ამიტომ იაპონურ კლასიკურ პოეზიაზე ლაპარაკისას სიკის გვიყვრება ვერ ავუვლით.

მასაოკა სიკი (მასაოკა ცუნენორი) დაიბადა ლარიში გადამდგარი სამურაის ოჯახში, პატარა ქალაქ მაცუიამაში, 1867 წელს.

სიკიმ 6 წლის ასაკში დაკარგა მამა. სწავლობდა ადგილობრივი ტადრის სამრევლო სკოლაში. დედამისი მასწავლებელი იყო. სიკიმ ჯერ კიდევ რვა წლისამ გადაწყვიტა, რომ მეცნიერი-ფილოლოგი გამხდარიყო, ხოლო 12 წლისამ ლექსების წერა დაიწყო ჩინურ ენაზე. ის ხელით იწერდა ძველ ჩინურ ტექსტებს. მათი გაგება კი იოლი არაა. ასე რომ, მოსწავლეობის ასაკშივე სიკი შესაშურ შეუძლოვობასა და შრომისმოყვარეობას ამჟღავნებდა.

16 წლის სიკი ტოკიოში გაემგზავრა და საიმპერატორო უნივერსიტეტის მოსამზადებელ განყოფილებაზე დაიწყო სწავლა. 1890 წელს მან ლიტერატურის ფაკულტეტზე ჩააბარა მისაღები გამოცდები. ამ დროს იგი უკვე ტუბერკულოზითა იყო დაავადებული. მასაოკა ცუნენორიმ სწორედ ამ ფაქტის გამო აირჩია ფსევდონიმი — სიკი, რაც "მთის გუგულს" ნიშნავს. თქმულება ამბობს, რომ მთის გუგულს გალობისას ყელიდან სისხელი მოსდის. სასიკვდილო სენით შეპყრობილი სიკი ფარხმალს არ ყრის: წერდა სხვადასხვა ჟანრის ლექსებს, სამგზავრო დღიურებს, ხატავდა, მოგზაურობდა, ეცნობოდა დედაქალაქის ნამყვან პოეტებსა თუ კრიტიკოსებს.

1892 წელს სიკი პირველად დასახლდა საკუთარ სახლში. ეს ერთსართულიანი პატარა სახლი მაშინ ტოკიოს გარეუბანში იდგა, ბუნების ნიაღში. სიკის მოსწონდა ბუნების ნიაღში ცხოვრება, მოსწონდა ცხარე პოეტური ტურნირებიც, ყველაზე მეტად კი წიგნები უყვარდა. ის გახლდათ ნიგინის კულტურის ადამიანი, ფუნჯისა და პოეტური სიტყვის აღდოსტატი. მაგრამ ეს ყველაფერი სიკისთვის ცოტა იყო: მას სჭირდებოდა მრავალათასიანი აუდიტორია, რათა გამოეთქვა თავისი მოსაზრებები.

1892 წელს, ისე რომ ამ სფეროში მნიშვნელოვანი არაფერი ჰქონდა გაკეთებული, სიკიმ გააცხადა გაწარმავა, გახდეს პოეტი. საოცარი, მაგრამ თითქოს ზეცაში ვიღაც უხილავმა გადაწყვიტა, რაც შემდეგ უნდა მომხდარიყო: კონსერვატულ იაპონიაში სიკის ავანსად უბოძეს პოეტური გვერდის რედაქტორის თანამდებობა ცენტრალურ გაზეთში "**ნიპონ სიმბუნი**". ამ დროს ის ჯერ კიდევ სტუდენტი იყო. მიღებული თანამდებობა ნიშანი იყო, რომელმაც სიკის პოეზიის რეფორმებისკენ უბოძა.

1895 წელს სიკი ფრონტზე წავიდა და ჩინეთ-იაპონიის ომის ბატალიებს აღწერდა თანამემამულეთათვის, მაგრამ მისთვის მთავარი საქმე მაინც ეროვნული ლიტერატურის აღორძინება იყო.

ფრონტიდან დაბრუნებულ სიკის ტუბერკულოზი გაუშნავდა და იძულებული გახდა, სამი თვე მაცუიამაში გაეტარებინა. სწორედ ამ დროს მან შეკრიბა თანამოაზრეები და შექმნა შაიკუს საკუთარი სკოლა.

ეს ტრადიცია გაგრძელდა ტოკიოში, სიკის პატარა სახლში, სადაც იკრიბებოდნენ პოეტები, კრიტიკოსები თუ ლიტერატურის უბრალო მოყვარულები. აქ დაიწერა ათასობით ლექსი, ათეულობით სტატია და ესე, ასეულობით გამომავლება და რეცენზია. დღეს ეს სახლი უზარმაზარი მემორიალური მუზეუმის ნაწილს შეადგენს.

"ნიპონში" მუშაობის დაწყებიდან ორი წლის განმავლობაში სიკიმ დაამთავრა ორი მნიშვნელოვანი შრომა: "**შაიკუს კლასიფიკაცია**" და "**შაიკუს ქრონოლოგია**". მისი აზრით, შაიკუმ და ტანკამ, შესაძლო კომპინაციათა ამონაწერის გამო, ზღვარს მიაღწიეს. სიკი მაინც უშვებდა ამ ორი ჟანრის აღორძინების შესაძლებლობას და სწორედ ამაში ხედავდა საკუთარ მისიას.

სიკიმ შეისწავლა უკანასკნელი 300 წლის განმავლობაში დაწერილი ყველა შაიკუ, გააერთიანა ისინი სეზონურ ციკლებად და გამოავლინა მათი

ლექსიკური და ტროპული თავისებურებანი. გააკრიტიკა უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში დამკვიდრებული სტერეოტიპები და შაბლონები, აგრეთვე ავტორები, რომლებიც ავტორიტეტებად მიჩნეული კრიტიკის გზას მიჰყვებოდნენ და ერთსა და იმავეს იმეორებდნენ.

26 წლის სიკიმ გამოაქვეყნა "საუბრები ბასიოზე", სტატიების ციკლი, რომლებშიც თამამად დააყენა ეჭვივე დიდი პოეტის ავტორიტეტი. სიკი მიიჩნევდა, რომ ბასიო დიდი პოეტი, მაგრამ ეს ეხება მისი შემოქმედების მცირე ნაწილს — 200 თუ 300 შაიკუს. ამგვარად, ბასიო, რომელიც გვევლინება შაიკაის რელიგიური სექტის პატრიარქად, ექვივალენტური არაა ბასიო-ლიტერატორისა. მისმა ადეპტებმა კი საკრალურად და ხელმეუხეზლად აქციეს ბასიოს ყოველი სიტყვა. ამან მხოლოდ ზიანი მოუტანა ლიტერატურას.

სიკი თავის მსჯელობაში იყო იმდენად თანმიმდევრული, განალიზებული ჰქონდა იმდენად მრავალრიცხოვანი მასალა, იმდენად კარგად ასაბუთებდა თავის თვალსაზრისს, რომ მასთან შედარება არავის გაუზოდავს.

საბოლოოდ სიკიმ ვერ შეძლო, ბასიოსთვის ჩამოეცილებინა დიდების შარავანდედი, მაგრამ შეძლო, შეერყია კულტისადმი თავიანთი ცემის ატმოსფერო და იაპონელთა ყურადღება მიაპყრო ბუსონისკენ, რომელიც უსამართლოდ იყო მივიწყებული. მან არა მარტო ხელახლა აღმოაჩინა ბუსონის ლირიკა, არამედ ბასიოზე მალაც დააყენა. სიკი თვლიდა, რომ: ბუსონი არის რომანტიკული, პოზიტიური, ბასიო კი — თავშეკავებული, ჩაკეტული, ზოგჯერ — ხელოვნური; თავის დროზე ბუსონმა დიდება ვერ მოიპოვა იმიტომ, რომ მისი პოეზია ფართო მასებში არაა განკუთვნილი, მის შემდგომ მოსული შაიკუს პოეტები კი განურჩევლები იყვნენ; ბუსონმა შეძლო, 17 მარცვალში მოქცეული ნებისმიერი თემისათვის ნოსტალგიური ჟღერადობა შეენიჭებინა. მის პოეზიას საოცრად ავსებს მისივე მხატვრობა.

სიკი არ უარყოფდა შაიკუს თხზვის ძირითად პრინციპებს, როგორცაა: ბოლომდე ართქმა, მრავალმნიშვნელოვნება, სუგესტიურობა, მაგრამ მან გადააფასა ძველი, შეცვალა ლიტერატურული იერარქია, უარყო ჟანრის მკაცრი ფორმალური შეზღუდულობა.

სიკი ძველსა და ახლის შუა შუამავლად მოგვევლინა და შაიკუს წინაშე ახალი პერსპექტივა დასახა — სინამდვილის რეალური ასახვა. მან განასხვავა სილამაზის ორი სახე: 1) აღმოსავლური, პასიური, ჩინური და იაპონური პოეზიისათვის დამახასიათებელი და 2) აქტიური, ევროპული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი.

1894 წელს ევროპული მიმართულების მხატვარმა ნაკამურა ფუსიკუმ სიკის გააცნო დასავლური რეალისტური ხელოვნების საფუძვლები. მანვე (ფუსიკუმ) სუნის დინამიკის დროინდელი ჩინური ტრაქტატებიდან ფერწერის თეორიის შესახებ ისედაც ტერმინი **სასეი**, რაც "ნატურიდან გადახატვას" ნიშნავს.

ამის შემდეგ სასეი გახდა სიკისა და მისი სკოლის ნამყვანი მხატვრული პრინციპი. ამ პრინციპით დიდება და ვალეობული თანამედროვე შაიკუცა და ტანკაც. სიკიმ ობიექტურობის პრინციპი გამოაცხადა შაიკუს თხზვის ძირითად პრინციპად. შაიკუ აღებული უნდა ყოფილიყო რეალობიდან და არა — წარმოსახვიდან. პოეტის განცდები, მოგონილი ეპითეტები შაიკუში არ უნდა გამოჩნდიყო.

სიკიმ გააფართოვა ტანკასა და შაიკუს თემატიკა და ლექსიკა. პოეზიაში გაჩნდა "არაპოეტური" სიტყვები: ორთქმავალი, ტელეგრაფის ბოძი, ბეისბოლი და ა.შ.:

მინაზე ყრია ტელეგრაფის ბოძები უხვად. ქარიშხალია შემოდგომისა.

წლების განმავლობაში სასეის პრინციპი რთულდებოდა და ზუსტდებოდა. 90-იანი წლების შუაში სიკიმ თავის მოძღვრებას დაამატა **ხეიტანის** ანუ უბრალოებისა და სირბილის პრინციპი. დამკვიდრდა უშუალო შთაბეჭდილებისა და გადმოცემის სიზუსტის უპირატესობა სილამაზესთან შედარებით.

სწორედ მასაოკა სიკიმ შემოიტანა ტერმინი შაიკუ, რითაც ოფიციალურად გამოიწერა სამსტრიქონედი რენგას თუ ტანკას დასაწყისისაგან, როგორც დამოუკიდებელი ლექსი. მანვე აღორძინა თითქმის ამონურვამდე მისული შაიკუს ჟანრი.

მიუხედავად ყველაფრისა, ძველი ჩინური მხატვრობის პრინციპის მისადაგება მეიძის ეპოქის იაპონური პოეზიისთვის სრული წარმატებით ვერ დაგვირგვინდებოდა. თვით სიკიც, რომლის ზოგიერთი შაიკუ მოთელა საოცრად ზუსტადაა ნა-

ტურიდან გადმოხატული (**დიდ ბუდას/ მხოლოდ ერთი მხრიდან/ შეადნა თოვლი**), გვევლინება იმ შაიკუთა ავტორადაც, რომლებიც მაინცდამაინც არ დასცილებია წინამორბედათა შემოქმედებას. მის პოეზიაში არის ბასიოს ძენ-ბუდიზმის, ბუსონის რომანტიკის, ისას და ჩაგრულისადმი თანაგრძობის გამოძახილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის თვითირონიაში გამოხატული შეუპოვრობა, რომლითაც გამოირჩევა უკვე სასიკედელი სარეცელზე მიჯაჭვული სიკი. ამ ფონზე სულაც აღარ ჩანს არაფრისმტყმელი მისი შაიკუ, რომელსაც აქვს წინათქმა: "**ჩემი სიკვდილის შემდეგ**":

დე, ჩემზე მოყვენე: მას უყვარდა შაიკუს შთოხზვა და ხურმის ქამა".

და კიდევ: "დაუნდობელი" სიკი ის პოეტი, რომელსაც შეუძლია, გულწრფელად ნუხდეს დამარცხებულზე:

დოლი. სულ ბოლოს ჩამორჩენილ მხედარზე ვდარდობ.

მიუხედავად ლიბერალური შეხედულებებისა, სიკი სრულიად სერიოზულად ეკიდებოდა სკოლის შექმნასა და მოსწავლეების აღზრდას. მან დატოვა ტანკასა და შაიკუს ახალი სკოლა, ხოლო რენგას სიკი საერთოდ არ მიიჩნევდა ლიტერატურის სერიოზულ ჟანრად.

1902 წელს მასაოკა სიკი გარდაიცვალა. მისი სიკვდილის მიზეზი ტუბერკულოზი გახდა.

სიკის გარეშე შაიკუ და ტანკა ფეოდალური იაპონიის ნაშთად თუ დარჩებოდა. მანვე თანამედროვეებს ხელახლა აღმოაჩენინა ბუსონი. ასე რომ, სიკის ღვაწლი შაიკუს განვითარებაში განუზომლად დიდია.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ შაიკუს ოთხივე დიდი პოეტი ეროვნულ ტრადიციას აგრძელებდა... ტრადიციის გადასინჯვის საშუალებით. პოეზიისადმი სწორედ ამგვარი მიდგომა განაპირობებს უძველესი იაპონური ჟანრების საოცრად სიცოცხლისუნარიანობას. სიცოცხლისუნარიანობასთან ერთად, შაიკუ — ეს უაღრესად ეროვნული ჟანრი — ზოგადასაკაცობრიო სათქმელსაც შეიცავს. სულ მარტივ მაგალითს მოვიყვან: 2010 წლის დადგომას ბათუმში შევხვდი. ახალწლის ღამეს ზღვაზე ფრანი შევნიშნე და უმაღვე თანამედროვე იაპონელი პოეტი, **ტანაკა** გამახსენდა:

ახალწლის ზღვაზე რუხ ბინდბუნდში ფარფატებს ფრანი.

მამინე გავიფიქრე, რომ შაიკუ შეჩერებული წამია, რომელიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება განმეორდეს.

რაც შეეხება შაიკუს ოთხი დიდი პოეტის ჩემულ თარგმანებს, ისინი სპონტანურად გაჩნდა (თუმცა, როგორც ამბობენ, ქვეყნად არაფერი ხდება უმიზეზოდ!): არც ისე დიდი ხნის წინათ გამოცა "აღმოჩენამ", რომ იაპონური პოეზიის ქართული თარგმანები რუსული იყიდან სრულდება. მამინე ჯერ კიდევ არ იყო გამოსული ირმა რატანის მიერ ორიგინალიდან ნათარგმნი "ასი უძველესი იაპონური ლექსი". ჰოდა, იმის გასარკვევად, თუ როგორ წერდნენ იაპონელები, რაკი იაპონური არ ვიცი, ჩემთვის გასაგებ ენებზე (რუსულზე, ფრანგულზე, ინგლისურზე) არსებული თარგმანების ურთიერთშედარება და შეჯერება დავინწყე. აღმოჩენდა, რომ თარგმანებში არსებითი განსხვავება გამომსახველობითი საშუალებების, ემოციების გადმოცემისა და თვით შინაარსის მხრივაც კი, რომ არაფერი ვთქვათ საკუთარი სახელების ორთოგრაფიაზე (ეს სრულიად ბუნებრივი პროცესია). ამასობაში ბევრი შაიკუ და შედარებით ნაკლები ტანკა ჩემს გონებაში ქართულად გახმოვანდა. განსაკუთრებით "ჩემიანი" აღმოჩნდა ბუსონი.

შაიკუს ბევრი ჩემეული თარგმანი პირველი ქართული თარგმანია, მცირე ნაწილი კი — მხოლოდ ერთ-ერთი ვერსია. შაიკუს ბევრი ვერსიის არსებობაც ბუნებრივი პროცესი მგონია: თითოეული მთარგმნელი ამ გზით მონაწილეობს იაპონური სამსტრიქონედის ჭეშმარიტებასთან მიახლოებულ ნაკითხვაში.

¹ კოტოს აღმოსავლეთით, ბუდისტური მონასტრის ახლოს იყო ადგილი, რომელსაც ყველა "ბასიოს ქოსს" ეძახდა. ბუსონი თვითონვე წერს, რომ სინამდვილეში არავინ იცის, ცხოვრობდა თუ არა ოდესმე ამ ქოშში ბასიო.

² ვან ვეი — ჩინელი პოეტი (701-761), რომელსაც ბუსონი დიდად აფასებდა.

ლელა მეტრეველის თარგმანებს უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

თონ მიჭირს ჩემი სახლის პოვნაო.
მე კი მგონია, მთავარი მიზეზი სულ სხვა იყო: მიხას ბევრი თაყვანისმცემელი ქალბატონი ჰყავდა და ეს ნითელ-ყვითელი ფანჯარა შესანიშნავ ორენტირს წარმოადგენდა სტუმარი ლამაზმანებისათვის.

რეზი

1997 წლის 25 ნოემბერს კულტურის ინსტიტუტში ლექციებს შორის შესვენებისას რეზი თვარაძემ მიაშინა: ერთი ჩემი ძველი ნაცნობის (გვარი არ დაასახელა) მოსალმების ხარისხი ხშირად და უმაღლესდება ხოლმე ჩემი თანამდებობის შეცვლისთანავე. არადა, რეზიმ ბევრჯერ გამოიცვალა დიდი თანამდებობა ჩვეულებრივ თანამდებობაზე და ამიტომაც არ გაუჭირდებოდა მავანი ნაცნობის ფერისცვალების შემჩნევა.

ადრე, როდესაც „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი იყო, ბორის პასტერნაკის პატარა ლექსის თარგმანი მივუტანე. გამომაცია და მადლობა გადამიხადა. ეს იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა ჩემს საავტორო პრაქტიკაში, ამიტომაც მაშინ გამიკვირდა და დღემდე მახსოვს. სხვათაშორის, იმ პერიოდში ვაზეთში მიმინვია სამუშაოდ და თავი შევიკავე. მოგვიანებით შემომთავაზა, ერთად შეგვედრონ ხალხური პოეზიის რჩეული და კვლავ თავი შევიკავე იმის გამო, რომ ასეთი რჩეულის შედგენას მურმან ლებანიძე აპირებდა და შეადგინა კიდეც.

გალაკტიონის არქივში ამოვიკითხე: — 1958. 14 მაისი. გამოცემულ იქნას „რჩეული“, წარდგენილი საბლიტგამში, ძალიან კარგად შედგენილი რევაზ თვარაძის მიერ.

გალაკტიონი მისი კერპი იყო. ძალიან საინტერესო წიგნი დანერგა გალაკტიონზე. ამიტომ ამოვიწერე ეს ციტატა, რათა რეზისთვის დამერეკა და გამეხარებინა. იმ დროს „უცნობის“ საბოლოო ვარიანტს ვამზადებდი და დარეკვა დამიგვიანდა. ცოტახნის შემდეგ პარლამენტარმა ნოდარ გრიგალაშვილმა მთავრობის სასახლეში თათბირი ჩაატარა მწერალთა კავშირის რეორგანიზაციის გამო. დაგვიანებით მივედი და დავინახე: რეზი დამრეცი აუდიტორიის ზედა რიგში იჯდა და ირგვლივ ადგილები დაკავებული იყო. მეზობელ სექტორში დავჯექი. დისკუსია დიდხანს გაგრძელდა. როცა დასრულდა, ზედა რიგებისაკენ მივბრუნდი, მაგრამ, სამწუხაროდ, რეზი ადრე წასულიყო. მალე გარდაიცვალა კიდეც და დამენანა, რომ ვერ გავახარე.

საბლიტგამს რეზის მიერ შედგენილი „რჩეული“ არ გამოუცია. ცხრაასგვერდიანი „რჩეული“ ჩვენ გამოვეცით („საბჭოთა საქართველოში“) 1977 წელს. ამ წიგნს რეზი ძალიან დიდხანს ადგენდა და ბევრი ტექსტობრივი, ტექნიკური და თარიღისმიერი შეცდომა გაასწორა.

ამ წიგნზე წამინერა: — ძვირფას კაცს, გალაკტიონის პირველ ჭირისუფალს – ჩემს ვახტანგს. შემდგენელისაგან. 31.X.77.

ეს ტექსტი მხოლოდ იმიტომ გავიხსენე, რომ მიკვირს: 1977 წლამდე მე გალაკტიონის მხოლოდ ერთი სასაჩუქრო მქონდა შედგენილი და გამოცემული ორ პატარა წიგნად, „უცნობი“ კი მოგვიანებით დაინერა და უნებლიეთ დაინერა.

ერთი წლის შემდეგ თეიმურაზ დოიაშვილმა შენიშნა:

— ვახტანგ ჯავახიძის პირველი პოეტური კრებული იმ წელს დაისტამბა, როდესაც გალაკტიონი „თავის ძეგლივით დააკლდა მინას“. ამ შემთხვევით ფაქტში იყო რაღაც სიმბოლური.

მოკლედ, ყველა გზა რომისაკენ მიდიოდა.

გაგვიბი გაგიბას!

„ყველაზე კარგი ის წიგნია, რომ წაიკითხავ და გული დაგწყდება, რა მალე დამთავრდაო“. — ეს სიტყვები ჩაიწერე კენ კიზის რომანის – „გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა“ – ნაკითხვის შემდეგ. რომანის მთარგმნელია ზაზა ოთარის ძე ჭილაძე. ახლა მამისსახელები მოდამი აღაარა, მე კი ხაზგასმით აღვნიშნავ. გამგებნი გამიგებს!

პრიონალური ქრონიკა

პოეტი დავით წერეთლიანი ეჭვმიტანილია საკუთარი ლექსების დამალვაში!

„ო, ქალბატონო...“

ოთხმოცდაათიან წლებში ყაზბეგიდან ჩამოვიდა და ლექსები ჩამოიტანა სრულიად უცნობმა ყმაწვილმა თენგი ავსაჯანიშვილმა. ნავიკითხე, მომენონა, შევარჩიე და ლევან თითმერიას სტამბაში დავბეჭდეთ პატარა კრებული.

2010 წელს ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში 2010 წლის ორიგინალური კალენდრის პრეზენტაცია გაიმართა. „პოეზიის 365 დღე“ – ასე ჰქვია ამ კალენდარს, რომელშიც ცალკეულ ფურცლებზე ფერად ილუსტრაციებთან ერთად დაბეჭდილია მეოცე საუკუნის პოეტებისა და ქართული ხალხური ლექსები, მათ შორის – ჩემი ლექსებიც.

გამიკვირდა და გამიხარდა: 15 მარტის გვერდზე ნავიკითხე თენგი ავსაჯანიშვილის – „ო, ქალბატონო“. მადლობა კალენდრის შემდგენლებს, რომ თენგი ავსაჯანიშვილი „აღმოაჩინეს“ და რომ ამ ლექსზე შეაჩერეს არჩევანი:

ო, ქალბატონო, თქვენ ისევ მანვდით მხოლოდ ყვავილთა რტოებს ეკლიანს, ყველაფრის მნახველს –

მეძახით ყმაწვილს, თქვენი სხეული ჩემი ნეკნია.

და მე ყოველთვის მტკივა და ველტვი ე მაგ შენს სხეულს ნაზს და ვნებანს: რა დაგიშავებ, რა გკადრეთ მეტი? მე ჩემი ნეკნი მომნატრებია.

316 თქვა?

ვინ თქვა, ლექსის თარგმნა შეუძლებელია? ეთარგმნა სანდრო ეულის ლექსი ბორის პასტერნაკს და მაშინ ნახავდით! ეულის ლექსი თარგმანში არაფერს კარგავს, რადგან პროლეტარიატივით დასაკარგავი არაფერი გააჩნია. მაგრამ არის კი ლექსი სანდრო ეულის სტრიქონები?

ყველა ჩემი საგნოვლოა!

გურიისა და იმერეთის საზღვარზე მდებარეობს პატარა ლამაზი სოფელი ნოლა, სადაც 1887 წლის 26 თებერვალს დაიბადა აკაკი შანიძე. საუკუნის მეცნიერი თავს გურულად თვლიდა, მაგრამ ასე არ ფიქრობდნენ სამტრედიელები. აჯობეს ჩოხატაურელებს, დროებით „დაითრიეს“ ნოლა და გურული ენათმეცნიერი გაიმერელეს. თუმცა გურულებმა ფარ-ხმალი არ დაყარეს და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დაიბრუნეს დაკარგული ტერიტორია. სამტრედიელები კი იმედს არ კარგავენ და რევანშისათვის ემზადებიან.

ნოლა – გურულად მოზარდ ხესაც ნიშნავს და ლელესაც, იმერულად კი – მდინარისპირის ნოყიერი ადგილია. ამდენად ამ დავას ეტიმოლოგები ვერ გადაწყვიტენ.

რაც შემეხება პირადად მე, დასაკარგავი არაფერი მაქვს: დედით გურული გახლავართ და მამით – იმერელი.

P.S. ჰომეროსის მშობლიური ქალაქის პრეტენზიას შვიდი ქალაქი აცხადებდა: სმირნა, ხიოსი, კოლოფონი, როდოსი, სალამინი, არგოსი და ათენი.

„დეები“

1998 წლის 30 ივლისს გამოცემლობაში მენვია თენგიზ მირზაშვილი და სხვათაშორის მიაშობო ეთერ თათარაიძის კარისმეზობლების – შინაბერა დების შესახებ (გვარს ყოველი შემთხვევისათვის ვერ ვასახელებ!): სამოციწლისანები არიან, აქვთ განსაკუთრებული და გასაოცარი ხატოვანი გურულ-იმერული მეტყველება. მე ეთერის ვურჩიე და იგი მალულად ინერს მათ ნაამბობს, მაგრამ წაკითხვა არ კმარა, ეთერის უნდა მოუსმინო, რომ მარილი არ დააკლდეს. ნავიდეო და ეხლავე მოგასმენინებო. მე ვუთხარა, ერთი საათის შემდეგ ჩემს ირაკლის ველოდები-მეთქი. მაშინ დაურეკა ეთერ თათარაიძეს, გაესაუბრა, გადმომცა ყურმილი და მოვისმინე, მაგრამ რა მოვისმინე? ეს იყო კილოკავებით შეზავებული ზეპირსიტყვაობის შედეგები. ერთი საათი ისე გავიდა, ვერ გავიგე. ირაკლი დამაძღვა თავზე და იძულელები გავხვი, მოსმენა შემეწყვიტა. ეთერის ვთხოვე, დიქტოფონით გააგრძელე მალული ჩაწერა და მერე კასეტაზე გადაიტანე-მეთქი.

სხვათაშორის, ეთერი შესანიშნავი იმ-იტატორი აღმოჩნდა. ჩუბჩიკამ შინაბერებს „დეები“ შეარქვა.

ლადო გრიგოლია

1998 წლის 8 აგვისტოს დამირეკა ბატონი ლადო გრიგოლია მეუღლემ ქალბატონმა ინა დინაგორცევა-გრიგოლიამ. მომიკითხა და მაცნობა, რომ ბატონი ლადოს გრაფიკულ ნახატებში იპოვა ჩემი პორტრეტის მრავალი ესკიზი. მიმინვია და დამპირდა, რამდენიმეს გისახსოვრებო.

ლადო გრიგოლიამ 1966 წელს გააფორმა ჩემი „ლირიკა“. თავისებურად დახატა სუპერი და გარეკანი. სუპერის ჩანაქვცზე მოათავსა ჩემი ორფეროვანი პორტრეტი, რომელიც ნატურიდანაც ჩაიხატა რამდენიმეჯერ და ფოტოც დაიტოვა. 1989 წელს გერმანიაში დაიბეჭდა ლადო გრიგოლიას ალბომი – წიგნი I. ალბომში შეტანილია ჩემი წიგნის გარეკანი, სუპერის ილუსტრაცია და ჩემი პორტრეტი.

15 აგვისტოს ვენეციე ქალბატონ ინას – ჩემსავთ ყაზბეგის ქუჩაზე, სადაც ადრეც რამდენიმეჯერ ვყოფილვარ. მანამდე მხატვარი ვაკეში ცხოვრობდა და ჩემი პორტრეტი იქ დახატა.

მაგიდაზე დახვდა ბატონი ლადოს ალბომის II წიგნის მაკეტი. აქ წარმოდგენილია ქართული შრიფტის მეტად მრავალფეროვანი ნიმუშები. აქვეა ბატონი ლადოს ტექსტი ქართული შრიფტის შესახებ. მეორე წიგნის გამოცემა დაყოვნდა. ქალბატონმა ინამ წამაკითხა პრეზიდენტ ე. შევარდნაძის განკარგულება ფინანსთა და კულტურის მინისტრებისადმი. ფინეთში 1000 ეგზემპლარის დაბეჭდვა ჯდება 145 ათასი დოლარი. მაგრამ პრაქტიკულად ჯერჯერობით არაფერი კეთდება.

შემდეგ მასპინძელმა გამოიტანა საქალაქი, რომელსაც ბატონი ლადოს ხელით აწერია „ვახტანგ ჯავახიძე“. თვითონაც გაკვირებული გახლდათ, ამდენი ესკიზი არცერთი პორტრეტისათვის არ დაუხატავსო. ეს ალბათ თქვენდამი დიდი სიმპათიის გამოხატულებააო. მეც გამიკვირდა. ოცდაათამდე ესკიზი დავთვალე, მათ შორის – რამდენიმე პროფილი. მე მხოლოდ ანფასები მახსოვდა. ქალბატონმა ინამ ორიგინალთან ერთად აირჩია რამდენიმე: გამოფენებისათვის, ლიტერატურის მუზეუმისათვის, მწერალთა პორტრეტების ალბომისათვის და შემომთავაზა, დარჩენილებიდან აიღეთ, რამდენიც გნებავთო. მე ოთხი ცალი ავარჩიე, ძირითადად პროფილები. გემოვნება მომინონა და მითხრა, ნუ გერიდებთ, კიდეც აიღეთო. ბოლოს და ბოლოს მაჩუქა ჩემი პორტრეტის 17 ესკიზი. დამიბრუნა ჩემი ფოტო, რომელიც 1966 წელს დავუტოვე მხატვარს. გადმომცა აგრეთვე ჩემი ხელით დანერგილი წიგნის ანოტაცია, რომელიც ბატონ ლადოს გადაუწერია და შუაში ორი სიტყვა ისე გაუთიშავს, რომ ტექსტის მართკუთხედი უკვე ნახატის შთაბეჭდილებას სტოვებს.

ნამცხვრისა და ხილის სუფრაზე მე ბატონი ლადო ვადღეგრძელებ. კარგახანს ვისაუბრეთ გამორჩეულ პიროვნებაზე, პატრიოტი მხატვრის გულისტკივილზე.

ქალბატონი ინა წარმოშობით პოლონელია. დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. იყო ბატონი ლადოს სტუდენტი.

სამწუხაროდ, მე – როგორც გამომცემელმა – ვერაფერი შევთავაზე მხატვრის მეუღლეს. მხოლოდ ჩემი „უცნობი“ ვაჩუქე და მივუთითე აბზაცები, სადაც ბატონ ლადოს ვიხსენიებ.

„ნაკადული“

როდესაც „გამომცემლობა“ „ნაკადული“ დაარსდა, მე ექვსი წლის გახლდით, ამდენად წერა-კითხვა „ნაკადულის“ წიგნებმა მასწავლეს და ახლა, როცა გამომცემლობას სამოცი წელი შეუსრულდა, მინდა მადლობა გადავუხადო მას – „ტომ სოიერის თავგადასავლისათვის“, „ბიძია თომას ქოხისათვის“, „მადანას ლურჯასათვის“, „ქართული ზღაპრებისათვის“, „გიქორისათვის“, რომლის ყოველი ნაკითხვაც ცრემლებს მგვრიდა... შემდეგ და შემდეგ მადლობა კიდეც – „ჩვენი საუნჯისათვის“, „ქართული პოეზიის ჩვიდმეტომეულისათვის“, „საბავშვო ბიბლიოთეკისა“ და „ქართული მწერლობისათვის“, რომელთა გამოცემა დღესაც გრძელდება... მინდა მადლობა მოვასხნო გამომცემლობას პირადად, როგორც ავტორმა. „ნაკადულმა“ ორჯერ დაბეჭდა ჩემი „უც-

ნობი“. სხვათაშორის, 1988 წლის პირველ გამოცემას, რომელიც 40 ათასი დაბეჭდა, მაშინ ცოტა გამბედაობაც სჭირდებოდა, რადგან ჯერ კიდევ ძალაში იყო ზემოდან დარეკვის პრინციპი და „უცნობის“ ბეჭდვა რამდენიმე წლით ადრე „მნათობის“ ფურცლებზე აკრძალეს...

დღეს მე „ნაკადულს“ უნდა მივესალმო აგრეთვე გამომცემლობა „საქართველოს“ სახელითაც. „ნაკადული“ „სახელგამის“ – დღევანდელი გამომცემლობა „საქართველოს“ – მემკვიდრეა, სახელოვანი მემკვიდრე. იგი ამ გამომცემლობის საბავშვო ლიტერატურის სექტორის ბაზაზე შეიქმნა. ჩვენ ათეული წლების მანძილზე ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით, კარის მეზობლები ვიყავით და, როგორც იტყვიან, ერთმანეთისთვის და ერთმანეთისგან მარილი გვისესხებია და ჩავგისესხებია...

ახლა ქართულ წიგნს უჭირს, განსაკუთრებით უჭირს „ნაკადულს“, რადგან მისი გამოცემები უფრო ძვირი ჯდება. ჩვენში ძალიან ნელა მკვიდრდება მეცენატობა, სრულიად არ არსებობს წიგნის მეცენატობა. ამ ცოტახნის წინათ „ნაკადულის“ დირექტორმა ბესიკ ხარანაულმა გულწრფელად მიმართა ქართველ ბიზნესმენებს და მე ხმას ვუერთებ მის თხოვნას: ქართველო ბიზნესმენებო, გახდით შესანიშნავი წიგნების თანაავტორები, გახსოვდეთ, წიგნის ავტორისა და მისი დამფინანსებლის – თანაავტორის სახელს საუკუნეები ინახავენ. გაიხსენეთ ქართველიშვილის გვარი, გაიხსენეთ ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“...

ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს ამერიკელი გენერალი მალხაზ ჯონ შალიკაშვილი ეწვია. აფხაზეთზე საუბრისას მან ერთი საგულისხმო ფრაზა წარმოსთქვა: ჩვენ უფრო მეტად უნდა ვიფიქროთ ჩვენს შვილებზე, ვიდრე ჩვენს წინაპრებზეო.

დღეს, როდესაც ქართული წიგნი გადასარჩენია, ჩვენ უფრო მეტად და ხშირად უნდა ვიფიქროთ ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების წიგნებზე, და არა მარტო უნდა ვიფიქროთ, არამედ უნდა ვიზრუნოთ კიდეც.

როდესაც გემი იძირება, უპირველეს ყოვლისა, ბავშვების გადარჩენაზე ზრუნავენ. დღეს ქართული წიგნის ხომალდი იძირება...

გიორგი ლეონიძე: წიგნი პოეტის აბანოა.

მე უფრო ორშაბათის ოპერა მიყვარს: სმენა მლალატობს.

როცა მწერალი დასრულებულ ნაწარმებს უბრუნდება, თავდაპირველად აღმავალი გზით მიდის, აუმიჯობესებს. მაგრამ დგება მომინაცოურ წერტილს მიაღწევს. თუ არ გაჩერდა, დაღმართი დაიწყება და უკვე გააუარესებს. ამ კულმინაციური წერტილის გამოცნობა ძნელია, ძალიან ძნელი.

ეს მოსაზრება ლევ ტოლსტოის უნდა ეკუთვნოდეს.

ანას მეორე ტომისათვის შევარჩიე და გადავბეჭდე მურმან ლებანიძის, გურამ ასათიანისა და თამაზ ჭილაძის წერილები. თამაზის წერილზე ანამ თავი შეიკავა. არ ეთანხმება შენიშვნას – პოეტის ენა ზოგჯერ ხელოვნურიაო. ანამ მითხრა: როგორ შეიძლება ეს მართალი იყოს: ყოველი სტრიქონი ზუსტად ისე იბადა ჩემს წარმოსახვაში, როგორც იწერებაო (თამაზს ეს შენიშვნა ამოღებული აქვს შემდგომ პუბლიკაციებში).

ამ სამი წერილით მინდოდა შემევესო მეორე ტომის მოცულობა, რადგან პირველის მოცულობა დიდად აღემატებოდა მეორისას. მაგრამ ანა ბოლოს და ბოლოს დავითანხმე გამოუქვეყნებელი ჩანაწერების გამოქვეყნებაზე და მეორე ტომმა აშკარად გადააჭარბა პირველს და არაფრის დამატება აღარ დამჭირდა.

დასასრული შემდეგ ნომერში

პოეტი



– ვინაიდან არატრადიციულ პოეზიასთან გვაქვს საქმე, ჩვენც არატრადიციულად – ბოლოდან დავიწყით. ახლახან გამოცემილი „დიოგენე“ გამოსცა შენი ნიგნი „უპირატესობა“.

– „უპირატესობა“ ალექსანდრე ბლუმი და საბჭოთა კავშირი შეიძლება ჩავანაცვლოთ ნებისმიერი ქვეყნით და ეპოქით. რეალურად არაფერი შეიცვლება. ძალაუფლება და ცალკეული ადამიანები – ეს ყველაფერი ერთია. უბრალოდ, საბჭოთა კავშირი ჩემთვის რაღაც გაუცნობიერებელი სიმბოლოა და რაკი არ მოვსწრებივარ ამ პერიოდს, მის გაგებას და „გახსენებას“ პოემის მეშვეობით ვცდილობ.

რაღაც შეეხება ტრადიციებს. ნებისმიერი ტრადიცია, საბოლოოდ, სტერეოტიპად ფორმდება და მის დაძლევას უფრო დიდი ენერჯია სჭირდება, ვიდრე მის შექმნას. მით უმეტეს, თუ ვსაუბრობთ ლიტერატურაზე, აქ ერთადერთი ტრადიცია არსებობს – წერა. თუმცა, შეიძლება, ჩვენ სხვადასხვანაირად გვესმოდეს ტრადიციები. მაგანი მწერლისთვის ტრადიცია და სინამდვილე არის მწერალთა კავშირი. ჩემი „სინამდვილე“ გახსნილია word 2007-ია.

– „უნდა გვესმოდეს, რომ პოეზია საგნებისთვის ადგილის შეცვლა და მეტი არაფერი მოუთხოვება. და როცა მეტს ვთხოვთ, ხდება კიდევ უფრო მეტი, მაგრამ უფრო ნაკლები – ვიდრე პოეზია.“ ასეთ, ერთი შეხედვით, პარადოქსულ დეფინიციას გვთავაზობ. ხშირად მიმართავ მოულოდნელ მეტაფორებს, უცნაურ შედარებებს, სადაც სიცოცხლე „საგზაო ნიშნებით აუცილებელი და თვალშისაცემია“, სადაც „კორპუსები ფანჯრებს ხუჭავენ“ და „მდინარეები ტალღებს იკაპინებენ“... ეს რეპრეზენტაციისთვის გჭირდება თუ ასე „გენერება“ უბრალოდ?

– ჩემთვის პოეზია არის სამყაროს გააზრება ენის გავლით. სხვა დანარჩენი ჟურნალისტიკაა. ჩემს ყველაზე „წმინდა“ სამუშაოდ ენის ყველაზე მიუდგომელ კუნძულში ჩხრეკა მიმაჩნია. ის, რასაც ხშირად გარეგან მიზეზებში, მოძრაობაში, ტკივილის ან სიკეთის ფორმალურ გამოვლინებებში ვეძებთ, სრული სახით მხოლოდ ენაში გვეძლევა.

– ვინ არიან შენი გმირები? ახდენ თუ არა მათთან იდენტიფიცირებას?

– მე არ ვწერ გმირებზე. საქართველოში ისედაც იმდენი გმირი და წმინდანია, ხანდახან მრცხვენია კიდევ, ჩვეულებრივი ადამიანი რომ ვარ. ჩემს შიშებზე და სიხარულებზე ვწერ, მარგინალურზე, ნაცნობებზე, ბომბებზე, დაცემულ ანგელოზებზე და მეზობლებზე ვწერ, რომელთა პრობლემები გაცილებით საინტერესოა, ვიდრე მოსიარულე ძველების და პარაფინიანი წმინდანების.

– შენს ბოლო კრებულს გამოსვლისთანავე დადებითი გამოხმაურებები მოჰყვა. კრიტიკოსი მალხაზ ხარბელია კი აღნიშნავს, რომ ეს შენი ყველაზე სრულყოფილი ნიგნი. ეთანხმები თუ არა და, საერთოდ, კრიტიკის ფორმებსაც შეეხებით. შენ გაქვს აკრისიული კრიტიკის გამოცდილება (ვგულისხმობ „ანტიტყაოსანს“, რომელიც გამოსვ-

პაატა შამუგია:

„ჩემი სინამდვილე“ გახსნილი word 2007-ია“

პაატა შამუგია ახალი ქართული პოეზიის გამორჩეული სახეა. მისი ბოლო ნიგნი „უპირატესობა“ კი – გამორჩეული ნიგნი, რომლის ნაკითხვის შემდეგ მკითხველს უამრავი საფიქრალი უჩნდება. თვითონაც ამბობს ინტერვიუში: „ხელოვნება პასუხებს კი არა, კითხვებს აჩენს“. კითხვები კი, მართლაც რომ, ბევრი დაგვიგროვდა და მათზე პასუხის გასაცემად „ლიტერატურული გაზეთის“ სივრცე თავად ავტორს დავუთმეთ.

ლისთანავე ნეგატიური ემოციების ობიექტად იქცა).

– მეც მიმაჩნია, რომ ამ ბოლო ნიგნში ყველაზე უკეთ შევძელი სათქმელის მაქსიმალურად „დაზიპვა“ და ასე გამოტანა. ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი მომენტი. რაც შეეხება „ანტიტყაოსანს“, ეს კარგა ხნის წინათ იყო და მას კრიტიკოსები კი არა, ალგზნებული მედია ლანდლავედა და უცნაურ კონსპიროლოგიურ თეორიებში ხვევდა. ვილაც სექსუალურად დაუკმაყოფილებელი ადამიანები ერის მოლაღატედ მაცხადებდნენ ერთი უწყინარი ტექსტის გამო. სრული შიზოფრენია იყო. ახლაც სიამოვნებით დავწერდი რამე უფრო პროვოკაციულს, და უფრო კარგადაც დავწერდი, რა თქმა უნდა. სხვათა შორის, „ანტიტყაოსანი“ სტუდენტობის დროს გამოვაქვეყნე სტუდენტურ ჟურნალში და მაშინ საერთოდ არ მოჰყოლია რეაქცია. ესეც რაღაცას ნიშნავს.

რაღაც შეეხება კრიტიკას, კარგი იქნებოდა, ჩვენც გვეკონოდა ასეთი რამე. არიან კარგი სპეციალისტები, მაგრამ მხოლოდ სამი-ოთხი პროფესიონალი კრიტიკოსის არსებობა ამ დარგს ვერაფერს შემატებს. კრიტიკა, როგორც სკოლა, როგორც მიმდინარეობა, ჯერჯერობით, გაჩერებულია.

– რატომ არის შენი პროტაგონისტი გაორებული? რადიკალურ პესიმიზმსა და ასეთსავე ოპტიმიზმს შორის მერყეობს. სინამდვილეში როგორი ხარ?

– ოპტიმიზტი ლექსებს არ წერენ, სხვა უფრო სასარგებლო და იმედისმომცემი საქმეებით კავდებიან. არ მიყვარს ძველივით შეუფერო ტექსტები, ყველა კითხვაზე მზა პასუხებს რომ „ყრის“. ხელოვნება პასუხებს კი არა, კითხვებს აჩენს. მე ჭკუშარიტების აღმრიცხველი არა ვარ, შეცდომებისა და აბრააციების შემგროვებელი ვარ. მიყვარს „ნაკლები“ საგნები და ნაგებული ადამიანები. არის მომენტები, როცა ვიმარჯვებ (ყოფით თუ სხვა ამბებში) და ასეთ დროს წერის უნარს ვკარგავ. თუ გინდათ, ვწერო, მისურვეთ ხშირი დამარცხებები.

– ასე ძალიან გიყვარს დამარცხება?

– პირიქით, პანიკურად მეშინია დამარცხებების. მაგრამ ვხვდები, რომ როცა ვეცემი, უფრო გაძლიერებული ვდგები.

– ცინიზმი მთავარი იარაღია შენს არსენალში? როგორც ვამჩნევ, ხშირად იყენებ მას, ზოგჯერ – თემატიკის ტრაგიკულობის დასაბალანსებლად, ზოგჯერ კი – თითქოს, თემის კომიკურობის ხაზგასასმელად.

– ცინიზმი სუსტი ადამიანების იარაღია. არაა გამორიცხული, მეც ასეთი ვიყო. თუმცა, მე მაინც სატირას დავარქმევდი იმას, რასაც ვწერ და არა – ცინიზმს. რაც უნდა სერიოზულ თემაზე ვწერდე, ყოველთვის ვირჩევ პოზიციას, საიდანაც ოდნავ მაინც სასაცილოდ მოჩანს კონკრეტული პრობლემა. ეს მეხმარება, რომ ლექსები ვწერო და არა პათეტიკური ტირადები. წერისას სერიოზულობა დანაშაულია. ასეთ შემთხვევებზე იუნგის „ანალიზურ ფსიქოლოგიაში“ მშვენიერი ტერმინი არსებობს – „პირუტყვიული სერიოზულობა“.

– არიან ახალგაზრდები, რომლებიც შენს გავლენას განიცდიან. ეს გამაღიზიანებელი ხომ არ არის? თითქოს, იდენტობის მითვისებასავით გამოდის. მეთანხმები?

– ასე არასდროს მიფიქრია. თანაც, მე თვითონაც ახალგაზრდა ვარ და ჩემი გავლენის შესახებ რომ მესმის, თავს უხერხულად ვგრძნობ. ზოგადად, გავლენა ერთგვარი რევერანსიაა, ამიტომ გამაღიზიანებელი ვერ იქნება, პირიქით. ეს სასიამოვნო შესტია ავტორის მხრიდან. არათუ ვლიზინდები, მომწონს კიდევ, შემთხვევით ჩემს

მეტაფორას თუ აღმოვაჩენ ვინმესთან. ამაში საერთოდ ვერ ვხედავ პრობლემას. არც ისე დიდი ხნის წინ მეც გავიარე ეს გზა და ყველა პოეტი ამ გზას გადის. მთავარია, სიცოცხლის ბოლომდე არ გაგრძელდეს სხვის ბოსტანში თესვა.

თანაც, გავლენა, მეტწილად, პროექციული ხასიათისაა, პოეტმა ხშირად არც იცის, რომ გავლენის ქვეშაა და ამ გავლენასთან საავტორო იდენტობას ამყარებს.

– გავლენებზე საუბრის შემდეგ დროული მგონია მომდევნო კითხვა. ვის მიიჩნევ უდიდეს პოეტად?

– უიტმენი, აპოლინერი, მათე, ლუკა, მარკოზი, იოანე...

– მორწმუნე ხარ?

– პირიქით.

– თუმცა, ხშირად მიმართავ ბიბლიურ სიუჟეტებს, ალუზიებს; ნერ ღმერთზე, რწმენაზე...

– მე თევზებზეც ვწერ, მაგრამ იქტიოლოგი არ ვარ.

– ილიას უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრაზე ისაუბრე თანამედროვე პოეზიის ტენდენციებზე. აღნიშნე, რომ არსებითად შეიცვალა სალექსო აზროვნება, მიდგომა თემებისადმი და განსაკუთრებით, ყურადღება გაამახვილე თანამედროვე მეტაფორაზე. ორი სიტყვით შეგხვობთ ამ საკითხსაც.

– თანამედროვე პოეზიის მთავარი ტენდენცია ისაა, რომ ის ჩიხშია. ზოგადი სურათია ასეთი, თორემ ცალკეული პოეტები სწორად ორიენტირებენ. კონკრეტულად, მეტაფორაზე თუ ვსაუბრობთ, თავიდანვე უთქვიათ, რომ მისი გამოყენება არც ისე უსაფრთხოა, ერთი ტლანქი მოძრაობა და პათეტიკა ხელში გიჭირავს.

მეტაფორა არის სუბტექსტული, რომელსაც პოეტი გამუდმებით დგამს ჩვენს ტენიებში. ამიტომ არის პოეტური „ნიუსის“ და მედია-ნიუსის ზემოქმედება სხვადასხვა ძალის მქონე (პირველად სასარგებლოდ). თანამედროვე მეტაფორა აღარ არის პომპეზური და ბრჭყვილა, მას გამოაკლდა სილამაზე და დაემატა მთავარი ფუნქცია – ირონია, რამაც, გარკვეულწილად, შეავსო მისი საზრისი.

ის, რომ დღევანდელ ლექსს აღარ აქვს კონვენციური „ეკიპირება“, აფერხებს ცრუ-ბეჭერების გამოშვებას. ლექსი „შიშველია“, განწყობა ხელისგულზე დევს და პატარა დისონანსიც კი უხერხულად თვალშისაცემი ხდება. მართალია, კლასიკურ ფორმებთან დაპირისპირება ჯერ კიდევ მეოცეში, მოდერნით დაიწყო, როცა დადა-ფუტურისტიკმა პოეზია ლინგვისტურ მიზოფრენიად აქციეს, მაგრამ დღეს ამ ყველაფერს მძაფრი ირონიზირებაც დაემატა.

– თანამედროვე ლიტერატურაში მომრავლებული არანორმატიული ლექსიკა რამდენად პრობლემურად მიგაჩნია? არის თუ არა ის, საერთოდ, საჭირო და თუ კი – რატომ?

– ძალიან მარტივად ვუყურებ ამას: თუ მწერალი აღწერს „ძველ ბიჭს“ და მას ააღაპარაკებს, როგორც პროფესორისმაგ გორდებიან, ესე იგი ტექსტი ყალბია (გამონაკლისია პაროდული ტექსტი). კონტექსტის ლოგიკა თუ ითხოვს სკაბრებს და მწერალი იყენებს კიდევ მას, როგორც ტექსტის საშენ მასალას, რა პრობლემაა?! სიტყვების შიში ერთ-ერთი გავრცელებული ფობიაა და ამ შიშის გამო იგლისურ ენაში დათვს დღემდე სახელი არ აქვს. თავის დროზე ამ ბუნჩულა ცხოველის იმდენად ემინოდათ თურმე, რომ მისი სახელის ხსენებაც კი საფრთხის შემცველად მიაჩნდათ, ამიტომ ის „არასამიში“ აღმნიშვნელით (bruin - ყავისფერი) „მონიშნეს“, აქედან შემორ-



ჩა bear, პირველადი სახელი კი არ ვიცი. მოკლედ, ეს გამალებული ევფემიზაცია ნიშნავს იმას, რომ მომავალში გვექნება საგნები, რომლებიც უსახელოდ იქნებიან გამოკიდებული იდეათა სამყაროში. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, საგანს ან ფაქტს მისი სახელით ვიცნობდე და არა სუროგატული აღმნიშვნელით.

მე მესმის, რომ რეალურ ცხოვრებაში მართლაც არსებობს „უხერხული“ კონოტაციის სიტყვები, რომლებსაც სოციალური შეთანხმების შედეგად თავს ვარიდებთ, მაგრამ ისიც უნდა გვესმოდეს, რომ ლიტერატურა არც სოციალური შეთანხმების შედეგია და არც უხერხულობის დასაძლევ მიქსტურა.

– თქვენი თაობა უკვე მოინათლეთ როგორც „2000-იანელები“. ვინ მოიზარებით მასში?

– რამდენიმეგან მეც ნაჯანყი ამ განსაზღვრებას, სადაც 2000-იანელ პოეტებზე მოგვისხენიებდნენ მე, გიორგი კეკელიძეს, ირაკლი კაკაბაძეს, დიანა ანფიმიადს, ნათია ნაცვლიშვილს... რა თქმა უნდა, ეს პირობითი დაყოფაა, მე ის ვიცი, რომ ეს პოეტები, ჩემი აზრით, კარგ თანამედროვე ტექსტებს წერენ და მთავარი ესაა.

– გარდა წერისა, სხვა რისთვის გრჩება დრო?

– სტილის რედაქტორი ვარ ერთ კარგ ჟურნალში. საბოლოოდ, მაინც ტექსტებთან მიწვევს შეხება და ამიტომ მიადვილდება მუშაობა. გარდა ამისა, მე და ჩემმა მეგობრებმა გავაკეთეთ არტ-პორტალი (demo.ge), რომელიც ალტერნატიულ ხელოვნებაზე ორიენტირებული ვთარგმნით უცხოელ „ალტერნატიულებს“, ანდერგრაუნდის მწერლებს, მოდერნის და პოსტმოდერნის საკულტო ავტორებს, ვდებთ ვიზუალურ მასალებს, ხანდახან ქართველ ავტორებსაც გავურევთ ხოლმე. ამას ენთუზიაზმით ვაკეთებთ...

– გავრცელებული აზრით, პოეტი საბოლოოდ მაინც ერთი ლექსით რჩება. უკვე დანერე ის „ერთი ლექსი“?

– როგორც კი „იმ ერთს“ დავწერ, წერა რუტინად იქცევა. ამიტომ მიწდა, ეს მომენტი გამიხანგრძლივდეს. ამ წუთას ჩემს საუკეთესო ლექსად „კანიბალის ბიბლიას“ მივიჩნევ და ყველა მომდევნო ლექსი მისი გადაღაზვის და განადგურების სურვილით იქმნება.

– დიდი მადლობა. შენივე ნათქვამიდან გამომდინარე, ასე მიწვევს დამშვიდობება: გისურვებ დამარცხებებს!

– ამინ! ძალიან კეთილი ხარ!

ესაუბრა ქეთი ნიჰარაძე

გამომცემელი ნანა ლუღუშაური:

„ჩვენი პრიორიტეტი კლასიკური ლიტერატურაა“

გამომცემლობა „ანბანი“ მკითხველს საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურას სთავაზობს, ყოველთვის ინდივიდუალურ პროექტებს ანხორციელებს, უცხოური გამომცემლობებისგან შექმნილი „სერიები“ მის „ნიგნსაცავში“ არ მოიძებნება. „ანბანის“ ნიგნები ფერადოვანებით, უხვი ილუსტრაციებით გამოირჩევა, უკვე ცნობილი თუ დამწყებ მხატვართა მთელი ჯგუფი მუშაობს იმაზე, რომ ნორჩებისთვის მიმზიდველი, საინტერესო სიუჟეტებად დასურათებული ნიგნები შეიქმნას.

გამომცემლობაში ხალხმრავლობა დამხვდა. „ჩვენთან სულ ასეთი ფუსფუსია“ — მითხრა „ანბანის“ მთავარმა რედაქტორმა, ნანა ლუღუშაურმა. გამომცემლობაში მისულს სწორედ ქალბატონი ნანა შემეგება ღიმილით, — ჩვენი მოკრძალებული შრომით რომ დაინტერესდით, დიდი მადლობა ამისთვისო...

— მკითხველისგან ხშირად მსმენია ნუხილი იმის გამო, რომ დღეს ნიგნის ფასი საკმაოდ მაღალია. მიუხედავად ამისა, ქართულ ბაზარზე ყველაზე ძვირადღირებული საბავშვო ლიტერატურაც კი უპირობოდ იყიდება... ალბათ ბუნებრივია, რომ გამომცემლობა „ანბანის“ შექმნას, შემოქმედებითი ინტერესის გარდა, კომერციული გათვლაც ედო საფუძვლად...

— ქართულ ბაზარზე საბავშვო ნიგნების რეალიზაციის პროცენტული მაჩვენებელი მართლაც მაღალია. ამის მთავარი მიზეზი მშობლების ინტერესი გახლავთ, მათ სურთ შეიძინონ საუკეთესო პროდუქტი შვილებისთვის. შესაძლოა უფროსებმა თავისთვის სასურველი ნიგნის შექმნაზე, მაღალი ფასის გამო უარი თქვან, მაგრამ შთამბეჭდავად დასურათებულ საბავშვო გამოცემას კი აუცილებლად იყიდებიან. მართალია გითხრათ, ჩვენც იგივე გვაძირავენ, გვიანდა ბავშვებს მივანოდოთ ისეთი ნიგნები — კარგი დიზაინით გაფორმებული, უხვად ილუსტრირებული საინტერესო ლიტერატურა — როგორც მათ ასაკში ცოცნებობდით

„ანბანი“ 2003 წელს დაარსდა. დამფუძნებლები არიან ბატონი გიორგი თაქთაქიშვილი და ქალბატონი თამარ ჯავახიშვილი. ჩვენს მიერ გამოცემული პირველი ნიგნი — სერიით „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ — იაკობ გოგებაშვილის „ისტორიული მოთხრობები“ გახლავთ. შემდეგ, სერია მეტ-ნაკლებად მივიწყებული მწერლების ნაწარმოებებით გავაგრძელეთ. მაგალითად, კონდრატე თათარაშვილის (უიარაღო) „მამულუქი“ გამოვეცით. ამას კი ცნობილი კლასიკოსების თხზულებები მოჰყვა... შემდეგ ახალ სერიებზე მუშაობა დავიწყეთ, სახელწოდებით „ნორჩი მკითხველის ზარდახმა“, სადაც მხოლოდ ქართული ავტორების ნაწარმოებებს — მოთხრობებსა და ლექსებს ვებეჭდვით. სერია მცირე ასაკის ბავშვებისთვისაა განკუთვნილი.

გამომცემლობის შექმნის დღიდან, მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ქართველ მხატვრებთან, საშუალებას ვაძლევთ მათ ქართველი და უცხოელი კლასიკოსების ნაწარმოებებზე იმუშაონ — შექმნან სახეები, სიუჟეტურად გააფორმონ ტექსტები. ამ ნახატებმა უნდა მიიზიდოს პატარა მკითხველი, კითხვის სურვილი გაუღვივოს, ნიგნი შეაყვაროს მათ.

კომერციული ინტერესს რაც შეეხება, მოგეხსენებათ, საგამომცემლო სფერო შემოქმედებისა და ბიზნესის გადაკვეთის ადგილია. საქმის წარმატება შემოქმედებითი კუთხით შრომასა და გონივრულ მენეჯმენტზე ერთდროულად დამოკიდებულია. მე კი, როგორც მთავარი რედაქტორი, ჩვენს შემოქმედებით მოტივაციაზე მოგახსენებთ: ჩვენი მიზანია ისეთი გამომცემები შექმნათ, პატარა მკითხველი საყვარელ ნიგნებად რომ გაიხდის და მივანოდოთ მას ისეთი ლიტერატურა, რაზეც თაობები გაიზარდა.

— დაახლოებით რამდენი დასახელების ნიგნს გამოსცემთ წელიწადში?

— დღესდღეობით ასეთი სურათია: ხელშეკრულება გავაფორმეთ ორ პერიოდულ ჟურნალთან, ესენია „სარკე“ და „სპორტსიახლენი“. ჟურნალების ყოველი ახალი ნომერი „ანბანის“ თითო გამომცემსთან ერთად იყიდება. ესენი შედარებით მცირე მოცულობის გამოცემებია და ფასიც შესაბამისად ხელმისაწვდომია მკითხველისთვის. ნიგნებს ვარჩევთ სერიებიდან — „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ და „ნორჩი მკითხველის

ზარდახმა“.

— თქვენი გამომცემები ნიგნის მაღალი ხარისხით მრავლად... —

— მაღალი ხარისხით, ძირითადად, დიდი მოცულობის ნიგნები გვაქვს წარმოდგენილი.

— ჩემთვის „ანბანის“ სერიებიდან მხოლოდ ორია ცნობილი — „ნორჩი მკითხველის ზარდახმა“, სადაც მხოლოდ ქართული ავტორების ნაწარმოებები იბეჭდება და „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“, რომელიც არამარტო ქართულ, არამედ უცხოურ კლასიკასაც აცნობს ახალგაზრდა მკითხველს. კიდევ რა სერიებს გამოსცემთ?

— გვაქვს ასევე სერიები — „ცხრა მთას იქით“ და „რეისი მსოფლიოს გარშემო“, სადაც მსოფლიოში შექმნილი საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებია წარმოდგენილი — ზღაპრები, სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოებები და ფანტასტიკა.

ახლა ხან გამოვეცით, ასევე, ხალხური ლექსების კრებული ძალიან შთამბეჭდავი ილუსტრაციებით.

— ძირითადად რა მიმართულებებზე მუშაობთ?

— ძირითადად სხვადასხვა ჟანრის მხატვრულ ლიტერატურას გამოვეცემთ. მომავალში შემიქნებთ-პოპულარული თემების და მუშაობა-მომზადებასაც დავეწყებთ და ალბათ, არაერთ საინტერესო ნიგნს შევთავაზებთ ჩვენს ნორჩ მკითხველს.

— სასკოლო სახელმძღვანელოები თქვენს გამომცემებს შორის არ არის?

— იცით რაშია საქმე, სახელმძღვანელოები — საკმაოდ რთული და საფრთხილო თემაა. მის მომზადებას გაცილებით სხვა მასშტაბები სჭირდება — მეტი ადამიანი უნდა რედაქტორს უნდა გქონდეს, მთელი ჯგუფები უნდა მუშაობდნენ. ზერეულედ და მოუზადებლად ამ საქმის წამოწყება უპასუხიმგებლობა იქნებოდა ჩვენი მხრიდან.

— თქვენ ბრძანეთ, ჩვენი მიზანია ისეთი ნაწარმოებები გამოვაცეთ, რაზეც მთელი თაობები აღიზარდნენ. ცხადია კლასიკურ ლიტერატურას გულისხმობდით. თანამედროვე ავტორებთან არ გაქვთ ურთიერთობა?

— არაერთ თანამედროვე ავტორთან ვურთიერთობთ. ახალგაზრდა მწერლებს შეუძლიათ მოზრდნენ გამომცემლობაში, გაგვაცნონ თავიანთი ნამუშევრები... ნიჭიერი ავტორის აღმოჩენა და მასთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია ნებისმიერი გამომცემლისთვის.

თუმცა, პრიორიტეტად მაინც კლასიკური ლიტერატურის გამოცემა რჩება. ჩვენი მკითხველის ბიბლიოთეკაში შეხვედრით მაცვალა მრეველიველი („გოჭანჭურის ოინი“), ნიკო ლორთქიფანიძის („ნოველები“), პოლიკარპე კაკაბაძის („ყვარყვარე თუთაბერი“), ვაჟა ფშაველას („ბუნების მგონები“), გალაკტიონ ტაბიძისა და იოსებ გრიშაშვილის ლექსთა კრებულებს, გურამ რჩეულიშვილის, ნოდარ დუმბაძის მოთხრობებს... გამომცემული გვაქვს, ასევე, უცნობი ავტორების ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები. ერთადერთი გამონაკლისი დაგუშვით და სერიაში „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ თანამედროვე მწერლის, გურამ დოჩანაშვილის მოთხრობები გამოვეცით. თუმცა, შეიძლება ითქვას, ბატონი გურამის ნაწარმოებები უკვე კლასიკაა. არც იმ ავტორებს ვიყენებთ, რომელთა თხზულებებიც კარგა ხანია აღარსად დაბეჭდილა. ესენია შიო არაგვისპირელი, ჭოლა ლომთათიძე, უკვე ვახსენე — კონდრატე თათარაშვილი... მათი ნაწარმოებები თითქოს შევასხენეთ ჩვენს მკითხველს.

— როცა საბავშვო ლიტერატურაზე საუბარი, თანამედროვე გამომცემლობები, ძირითადად, არჩევანს მაინც ახალ ავტორებზე აკეთებენ, უცხოურ საბავშვო ტექსტებსაც ძალიან აქტიურად თარგმნიან და გამოსცემენ. დღეს მაინც სხვა მოთხოვნებია, სხვა თაობა მოდის... რამდენად საინტერესოა, ან რამდენად გასაგებია მცირე ასაკის ბავშვებისათვის მოზარდებისთვის ის ტექსტები, რომელსაც გამოსცემთ?

— მიხდა დავარწმუნოთ, რომ ძველის მიმართ ინტერესი ნამდვილად არსებობს. საბედნიეროდ, ქართველ კლასიკოსებსა თუ წინა საუკუნეების ნაკლებად ცნობილ ავტორებს მკითხველი დღემდე ჰყავს.

დამეთანხმებით, ის ნაწარმოებები, რომელიც სერიით „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ გამოდის, ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის საინტერესოა, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც სიყმაწვილისდროინდელ, საყვარელ თხზულებებთან მიბრუნება უყვარს. გარდა ამისა ვაჟა, გალაკტიონი, პოლიკარპე კაკაბაძე თუ კიდევ სხვა, რა ასაკშიც უნდა წაიკითხო, ახალ-ახალ სიღრმეებს გაგიხსნიან. ასე არ არის?

— ლიტერატურული ენა, რომლითაც ზოგიერთ ზემოთ ხსენებული ნაწარმოებია დაწერილი, ნორჩი მკითხველისთვის ხომ არც ისე იოლი აღსაქმელია... ამ პრობლემას როგორ გაუმკლავდით?

— ლიტერატურული ენა ყველა შემთხვევაში შენარჩუნებულია. მართალია, დროსთან ერთად ენობრივი ფორმებიც იცვლება, მაგრამ დამეთანხმებით, ძნელია რამე შეცვალო ვაჟასთან, ან სხვა რომელიმე კლასიკოსთან. ამიტომაც ტექსტებს ხელუხლებლად ვტოვებთ, ოღონდ შთამბეჭდავი დიზაინით ვანახლებთ, მშვენიერი ნახატებით ვამდიდრებთ და ასე — როგორც თანამედროვე პროდუქტს — ვანვადით ჩვენს მკითხველს.

— „ანბანის“ ყველაზე მნიშვნელოვან გამომცემად რას დასახელებდით?

— ილუსტრირებული „ვეფხისტყაოსანი“ გამოვეცით. შეიძლება ითქვას, შევბედეთ დიდ შოთას... მართალია გითხრათ, ძალიან ბევრი ვიფიქრეთ, სანამ ამ პროექტის განხორციელებას შევუდგებოდით, მაგრამ ბოლოს გადავწყვიტეთ გამოგვეცა. პოემის დასურათება მხატვარ ლევან სილაგაძეს მივანდეთ. სხვათა შორის, ლიტერატურულ სრუებში გამოცემამ დიდი მონონება დაიმსახურა...

— გამოცემა რომელი რედაქციის მიხედვით მომზადდა?

— ნიგნი ნოდარ ნათაძის სასკოლო გამომცემის მიხედვით მოვამზადეთ. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ნათაძისთან, განმარტებები ყოველი თავის შემდეგ არის მოცემული, „ანბანის“ გამოცემაში კი — თითოეულ სტროფს მოსდევს. ვფიქრობთ, ეს ნიგნი კარგი საჩუქარია სკოლის მოსწავლეებისთვის.

მნიშვნელოვან გამომცემებს შორის, ჩვენს ერთ-ერთ სერიას, „ნორჩი მკითხველის ზარდახმა“ დავასახელებდი. ვთვლი, რომ თანამედროვე გამომცემლობების მიერ, აქამდე შესრულებულ ქართულ პროექტებს შორის „ნორჩი მკითხველის ზარდახმა“ ერთ-ერთი საუკეთესოა.

რაც შეეხება „საყმაწვილო ბიბლიოთეკას“, 2003 წელს, მაღალიათა ქსელმა „პარნასმა“ იგი „წლის სერიად“ დაასახელა.

— თუ არ ცვდები, ლიტერატურული კონკურსი, რომელიც თქვენმა გამომცემლობამ შარშან ჩაატარა, სწორედ ამ სერიის გარშემო „ტრიალებდა“...

— კონკურსისთვის მოვამზადეთ კითხვები იმ ნიგნებიდან, იმ მხატვრული ნაწარმოებებიდან, „საყმაწვილო ბიბლი-



ოთეკაში“ რომ გამოვეცით. ვიქტორინა მაისიდან სექტემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა, მასში მონაწილეობას იღებდნენ როგორც მოზარდები, ისე უფროსი ასაკის მკითხველი. ინტერნეტ გვერდზე ვაქვეყნებდით კითხვარს, რომელიც ყოველდღიურად იცვლებოდა. საოცრად მომზადებული, ნიგნიერი კონკურსანტები გვყავდა, პროექტის მიმართ საოცარი ინტერესი გამოიჩინეს. განცვიფრებული და აღფრთოვანებული ვიყავით. კონკურსი რამდენიმე ეტაპს მოიცავდა, ფინალი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში მომზადებული, გამარჯვებული სამოცი წლის რაულ კაპანაძე გახდა. პრიზის სახით, მას ფრანკფურტის ნიგნის საერთაშორისო ფესტივალის საგზური გადაეცა.

— ასეთი სახის კონკურსები საზოგადოებაში ნიგნის პოპულარიზაციის საქმეს მნიშვნელოვნად ემსახურება... ფრანკფურტის ნიგნის ფესტივალი ახსენეთ... ამბობენ, რომ იქ წარმოდგენილი უცხოური საბავშვო ნიგნები ხარისხობრივად ბევრად აღემატება ქართულ პროდუქციას. ეს ალბათ არცაა გასაკვირი. დასავლეთში საბავშვო ნიგნის შექმნაზე ინსტიტუციები მუშაობს, მთელი ინდუსტრიაა შექმნილი, პოლიტიკაც წინასწარ განსაზღვრულია...

— იქ გაცილებით დიდი რესურსებია საგამომცემლო საქმისთვის მობილიზებული, ბაზარიც გაცილებით დიდია. სიმართლე გითხრათ, უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობის აწყობას ახლა ცდილობთ... ისინი უპირატესობას ადაპტირებულ ტექსტებს ანიჭებენ, ჩვენც ასეთ ნიგნებს ვთავაზობთ პატარებს — მცირე ტექსტით და უხვი ილუსტრაციებით.

— საბავშვო ნიგნის გამოცემა, არაერთი მიზეზის გამო, გარკვეულ პასუხისმგებლობას შეიცავს. საინტერესოა, როგორ არჩევთ ლიტერატურას გამოსაცემად, ან ასაკობრივ კლასიფიკაციას რის მიხედვით ადგენთ? წინასწარ ჩატარებული შესაბამისი კვლევების შედეგებს ითვისებთ ნიგნებს თუ სხვა რამეზე გამომცემლობას ეყრდნობთ?

— ლიტერატურის შერჩევა, ძირითადად, შემოქმედებითი ჯგუფის მიერ ხდება. ამ ჯგუფს გამომცემლობის დამფუძნებლები და რედაქტორები წარმოადგენენ. ისინი განიხილავენ, გეგმავენ თუ რა ნიგნი უნდა გამოიცეს და ამის შემდეგ, სარედაქციო კოლეგია ახალ გამომცემებზე იწყებს მუშაობას.

— თქვენ ქართველი ავტორების გარდა, უცხოელ კლასიკოსებსაც გამოსცემთ. თარგმანის საკითხი როგორ გაქვთ მოგვარებული?

— ჯერ-ჯერობით უკვე არსებული, ძველი თარგმანებით ვმუშაობთ. თუმცა მომავალში თანამედროვე მთარგმნელებთან მჭიდრო თანამშრომლობას ვაპირებთ.

— უცხოური ლიტერატურის შერჩევა-ც იმავე შემოქმედებითი ჯგუფის მიერ ხდება?

— დიახ.

— ალბათ, ისინი არჩევანს იმ ნიგნებზე აკეთებენ, რომლის კითხვაც სიყმაწვილში უყვარდათ... — ასე მივიჩნით.

ესაუბრა თამარ ჟურული

შენსთან უხამსობა კეთილშობილესთან არის შეთავსებული, სიმდაბლე — ამაღლებასთან. ეს ობოლი, დაბადებული უცნობი მამისგან და ადრეულ ასაკში დედის მიერ უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში მიგდებული, რომლის ცხოვრებამაც გამოსასწორებელ სახლებში, ციხეებში და ჯურღმულებში გაიარა, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მისტიკოსი გახდა. შენეს სახე, მარად ახალგაზრდა და მსგავსი ანგელოზისა, ცხოველური სისასტიკის ბეჭდით არის დალდასმული. აი, როგორ აღწერს სვედენბორგი ანგელოზებს: „ცაში ანგელოზთა წყვილი — ანგელოზთა კავშირი არ არის, არამედ თითქმის ერთი ანგელოზია“. „ხეცაში ანგელოზების ქცევა, მხოლოდ მათ ურთიერთობებზეა დამოკიდებული“. „ანგელოზის სახე მუდამ აღმოსავლეთისკენ არის მიმართული“.

ეს მართლაც ასეა. შენესთან პართენოგენეზი ხდება. ბუნებასთან გამუდმებული ურთიერთობით, წმინდა სამების სახელით: ქურდობა, ჰომოსექსუალიზმი და გამცემლობა, შენე თავის საქმეს აკეთებს და მისი სახე მუდამ ნათლისკენ არის მიმართული. გასაოცარია, რომ მომავალში ყველაზე უარეს პირობებში ჩაყენებული შენე, გამოხატვის ყველაზე ამაღლებულ ფორმებს აღწევს. იაპონურ ავტობიოგრაფიულ რომანში, უკიდურესი დამცირების აღწერისასაც კი, ადამიანური ღირსებებია ხაზგასმულად გამოყოფილი, ეს განსაკუთრებულად ხშირად გვხვდება ტრადიციონალისტებთან, მეცხრამეტე საუკუნის რომანტიზმის სანყისს რომ დაუდეს სათავე. მაგრამ კულტურის ნამდვილი სიმძლავრე იმ მხარეებში შელწვის შესაძლებლობაში ვლინდება, რომლის გამოხატვაც შეუძლებელია ითვლება. ნებისმიერი მონიფუქტი კულტურა გონების უსიცოცხლო მოჩვენებებს წარმოშობს, მაგრამ იგი ველურ ცხოველებსაც ჰკვებავს. თანამედროვე ევროპამ ორი ასეთი ქმნილება მოგვცა: ერთი — ეს არის ნიჟინსკი, ველურობის გამოხატვა ველურობით; მეორე — შენეა, ბოროტების გამოხატვა ბოროტებით. სარტრი მართალი იყო, როცა ამბობდა — შენე ბოროტებაზე უბრალოდ არ წერს, იგი ხორცს ასხამს ამ ბოროტებასო.

შენეს არანაირი განათლება არ მიუღია, მაგრამ რალაც ამოუცნობი ძალით მის „ქურდის ჩანაწერებში“ ვეჯახებით ევროპული გაიძვერული რომანის გამოძახილს, ბუნების წარმართულ ალქიმისას — ლორენსის „აპოკალიპსის“ სულიკვეთებით, ფრანგულ მორალისტურ ტრადიციებს, ნიჟილიზმსა და ამბოხს, რაზეც კამიუ წერს თავის „მეტაფიზიკურ ჯანყში“, ასევე პასკალის აჩრდილს და აჩრდილს ბოდლერისას.

ცინი, შენე შენე სასჯელს რომ იხდიდა, ის ადგილი როდი იყო, სადაც რწმენისთვის უწყინარი ნამებულები იკრიბებოდნენ. იმ ადამიანის მსგავსად, მუსიკისადმი რომ აქვს მისწრაფება და მუსიკოსი ხდება, შენესაც ციხისკენ ჰქონდა მიდრეკილება და პატიმარი გახდა. ზოგს შეიძლება შენე გადაჭარბებულად ჩაკეტული ეჩვენოს. მისი ბლეკსიკა საკმაოდ ბნელია. თავის დროზე, ლელზაკმა ქურდული ჟარგონის დიდი ცოდნა გამოამჟღავნა და „ქურტიზანი ქალების ბრწყინვალეობასა და სიღარიბის“ მეოთხე თავში მასალად გამოიყენა, მარჯვედაც დაამახინჯა და მისგან ის შექმნა, რასაც, პირობითად, ობიექტური ჟარგონი შეიძლება ვუწოდოთ. შენე იყო პირველი, რომელმაც დაწერა რომანი და სუბიექტური ჟარგონი გამოიყენა.

შენეს განკიცხულობა და დაცემა, რალაც ხარისხით, პირველი ექსპერიმენტი იყო ისეთი სახისა, რომლის რაიმე ცნობილი ანალოგის პოვნაც ძნელია. ამიტომ ხომ არ თქვა უარი საერთოდ მიღებულ ლექსიკაზე და ის ლექსიკა გამოიყენა, რომელსაც ცხოვრებაში ხმარობდა და ამგვარად მიადგინა გასაოცარ მხატვრულ გამომსახველობას?

შენე გამუდმებული სურვილით იყო შეპყრობილი — აემულდებინა ადამიანის დაცემა, რომელიც თვითონ გამოსცადა. თავის მისწრაფებით გამოეყენებინა ის შესაძლებლობა, რასაც სიტყვის ხელოვნების საქმიანობა აძლევდა, იგი წარმოგიდგება უფრო პოეტად, ვიდრე



იუკო მისიმა

შან შენე

პროზაიკოსად. ის პატიმართა უხეში ხელებით გამოჭრილ ქაღალდის უბადრუკ არშიაშიც კი, დამცირების ნათელ გამოხატულებას ხედავდა, რომელთა ხილვისას, ჩვეულებრივ, ცდილობენ არ შეიმჩნიონ, და ზუსტად ადამიანების დამცირების ამ უკიდურესმა ხარისხმა წარმოშვა მასში სურვილი მათი ამაღლებისა. არმანს, ამ მძლავრ გიგანტს, რომლის ფიზიკური გარეგნობაც „კატორღასთან ასოცირდება და, რომელიც მისი ყველაზე მკაფიო წარმომადგენელი მგონია“, არ შეუძლია მშვიდად გაიხსენოს ის დრო, როცა თავისი მოუხერხებელი ხელებით ქაღალდის არშიებს აკეთებდა. „მხოლოდ სრული იდიოტი იფიქრებს, რომ შეუძლია ყველაფრის გაკეთება ისწავლოს“. როცა შენემ საპატიმრო სახლში ნახა, როგორ თხზავდნენ პატიმრები სათუთ და გულუბრყვილო ლექსებს სიყვარულზე, სხვა ტუსალებს რომ ალაფრთოვანებდა, პირველად აღეძრა სურვილი თვით მათთვის შეესხა ხობტა. ზუსტად მაშინ დაწერა „სიკვიდილისჯილი“. ოღონდ პატიმრებმა პოემა ვერ გაიგეს და ავტორი მრისხანე თავდასხმის ობიექტად აქციეს, მაგრამ ეს ნაწარმოები როგორცაა უნდა შეფასდეს — მოულოდნელობად თუ კანონზომიერად, — საბოლოო ჯამში, იგი, ალბათ, ერთიც არის და მეორეც, ერთად აღებულნი.

ბუნებრივია, ასეთი ვნებებით დაწერილი ლექსები, თანაც ჟარგონით, ობიექტულისთვის გაუგებარია, მაგრამ პატიმართა მიუხვედრელობა საიდან მოდის? შენე მარტობაში აღმოჩნდა, ასე ნაკლებად რომ ჰგავდა „ხელოვანის ჩვეულ მარტობას“. მაგრამ რალას ნიშნავს შემოქმედებითი თვითგამოხატვის აქტი ადამიანისთვის, რომელიც ამ სრულიად განსაზღვრულ სიტუაციაში მოხვდა? იგი ნაკარნახევი ხომ არ იყო ამ გარემოდან დასხლტომის მისწრაფებით? თუ, პირიქით, რაც შეიძლება ღრმად ჩაფლულიყო მასში?

შენე პოეზიას ასე განსაზღვრავს: „სიტყვა „ქურდი“ იმას აღნიშნავს, ვისი ძირითადი საქმიანობა ქურდობაა. ქურდობა ქურდის განმსაზღვრელია, ამასთან იმ მომენტს აღნიშნავს, როცა მას ასე ეძახის ყველა, ვინც ქურდი არ არის. თანაც ქურდობა როგორცაა ამარტივებს ქურდს. პოეზია კი გვეხმარება, უკიდურესად ნათლად შევიმეცნოთ საკუთარი თავი ქურდად. როცა ყველა სხვა თვისების შეცნობა თქვენთვის ასეთივე ხარისხით ხდება, მაშინ ეს შეცნობილი იქცევა პოეზიად“.

ბოდლერის კვალდაკვალ, XX საუკუნეში, მალროც ისწრაფოდა თავის რომანებში ადამიანის ისეთი ტიპი წარმოეჩინა, რომელიც მოქმედებს და თვითგამოხატვაც შეუძლია ერთდროულად, რომელსაც ასამართლებენ და ამავე დროს თვითონვეა მოსამართლეც, და რომელსაც, მომავალში, სიკვდილისჯილი, თვითონვე მოჰყავს განაჩენი სისრულეში. ზუსტად

ესაა ერთი ყველაზე რთული ამოცანა, თანამედროვე მწერლობის წინაშე რომ დგას.

აი, რას წერს შენე იმ გრძნობაზე, მან რომ განიცადა, როცა სამ ამხანაგთან ერთად მიდიოდა: „მე მათი ფიქრიანი ცნობიერება ვიყავი“.

გამოთქმა თუმცა ირონიულია, მაგრამ ძალიან დახვეწილი. შენეს შემოქმედებითი ნვლილი, დანყებული მისი გაუგებარი ლიტერატურული დებიუტიდან, „სიკვიდილისჯილიდან“, დღემდე, როცა იგი ყველგან აღიარებულია, ისიცაა, რომ მუდამ ისწრაფოდა „ხელოვნება ხელოვნებით“ გადაელახა, თანაც ისე, არ დაეკარგა მისთვის დამახასიათებელი ეროტიზმი. იგი თითქოსდა გვაჩვენებს, რომ, მას შემდეგ, რაც ამაღლებული დაემორჩილება, მისალწვევითი რჩება — წმინდანობა, შენეს აზრით, — ეს ისეთი ერთობაა ღმერთთან, როცა ის, ვინც ასამართლებს და ის, ვისაც ასამართლებენ, ერთიანია, თუმცა ადამიანური „მე“ ენი-ნაღმდეგება ასეთ ერთიანობას.



რაც შეეხება შენეს, მას ეს გამოუვიდა — იგი წმინდა შენე გახდა. რასაც ვერ ვიტყვით მის ნაწარმოებებზე.

როცა ბოდლერმა სიკვდილისჯილისა და ჯალათის როლში (ერთდროულად) საკუთარი თავი დაინახა, თითქოს წინასწარ იგრძნო რელატივიზმის! ის ჯოჯოხეთი, რომელიც ახლა ჩაიძირა შემოქმედება. მან წინასწარ განჭვრიტა ის პარადოქსული ეპოქა, როცა შემოქმედებითი თვითგამოხატვა თვითმკვლელობის ტოლძალოვანი ხდება.

შენეს ჰომოსექსუალიზმი სიმბოლურია. „ქურდის ჩანაწერებში“ მის მიერ აღწერილია სწრაფვა, თითქოსდა სულიერსა და ფიზიკურს შორის მერყეობს. ეს სწრაფვა ყველასათვისაა დამახასიათებელი. იგი წარმოადგენს რალაც საერთოს, რაც არ ექვემდებარება სქესის მიზიდულობას. სვედენბორგის „ანგელოზთა ქორნილი“ კავშირი ერთ სხეულში ხორციელდება. შენეს შეერთება თავის მიჯნურებთან ნაწილობრივ ამ ანგელოზთა ქორნილს გვახსენებს. სტილიტანოს ფიზიკური ნაკვთები, სინამდვილეში, მხოლოდ მისი წარმოსახვის ნაყოფია და არავითარი სტილიტანო არ არსებობს. აქ ფიზიკური წარმოშობს სულიერს, შემთხვევით კონკრეტდება ეროტიკული სურვილის ფორმაში, რასაც ორმაგ ეფექტამდე მივყავართ: ერთი მხრივ, მოჩვენებებთან შერწყმასთან, მეორე მხრივ კი — ამ მოჩვენებების ხორცშესხმასთან, რომლებიც ერთმანეთს არასოდეს ხვდებიან და რალაც ურყევ მეტაფიზიკურ კავშირს წარმოადგენს.

ამ კავშირის გარეშე სამყარო მოკლეს ბულია საფუძველს. რომანის დასასრულს შენე იმ სიყვარულს აღწერს, ქურდსა და პოლიციის ოფიცერს რომ აკავშირებს. უკეთესად ვერ არსად უჩვენებიათ არსებული საზოგადოების ღირებულებათა

მერყეობა, ვიდრე იმ სიტუაციაშია ნაჩვენები, როცა კარმენი ორ მამაკაცს შორის იმყოფება. შენე თავის მიჯნურ პოლიციელს ეუბნება:

„ჩემი დაპატიმრება რომ გიბრძანონ, დამაპატიმრებ?“ — ვკითხე ბერნარს.

ათ წამზე მეტი არ უფიქრია. წარბი შეყარა და მიპასუხა: „ისე მოვანყოფილი, რომ ეს მე არ გამეკეთებინა, ამხანაგს ვთხოვდი“.

„მისდამი ზიზღი არ მიგრძენია, მსგავსმა სიმდაბლემ მხოლოდ გააძლიერა ჩემი სიყვარული“.

ამ სცენაში სულიერი სიტუაციის ის არსი მჟღავნდება, რომელშიც ახლა ჩვენ ვიმყოფებით; ამ სიტუაციით განისაზღვრება ადამიანის სწრაფვა თვითგამოხატვისკენ, რომელზეც შენე ლაპარაკობს „ქურდის ჩანაწერებში“, რომ იგი „საკუთარი აბსოლუტური არაფრისობის გაცნობიერების შედეგს“ წარმოადგენს. როგორ ახერხებს შენე თანამედროვე სამყაროს ჯოჯოხეთის არსი ყველას, ყველაფერს შეუფარდოს და ასე ზუსტად აჩვენოს? მისი შემოქმედებითი მეთოდი ეროტიზმის ლოგიკას ემორჩილება. პოლიციელსა და ქურდს შორის ურთიერთობა საკმაოდ ირაციონალურია, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში შენე თითქმის მთლიანად აიგივებს საკუთარ თავს დამნაშავესთან, და მისი ეროტიკული სწრაფვა იმდენად მიუწვდომელია გონებისთვის, რომ მეორე მხრიდან რაიმე გამცემლობის თვითშესაძლებლობასაც კი გამორიცხავს. მსგავსი გამცემლობისა და შეუძლებლობის მიუწვდომლობა თვით ეროტიზმის არსებობის აუცილებელ პირობებს წარმოადგენს, რასაც სტილიტანოს ყურძნის მტევანი განასახიერებს. ნაწარმოებების ფაბულის რაციონალური აგებით, შენე XVIII საუკუნის მწერლებს გვაგონებს. პირველ მოულოდნელობას ამ მათემატიკური სიზუსტით შემოწმებულ სამყაროში ის მომენტი წარმოადგენს, როცა სტილიტანოს მომხიბვლელობა გაიფანტება, და ზუსტად ამ აღმოჩენას განიხილავს შენე, როგორც გონების გამოღვიძებას. „ასე მგონია, რკინის მავთულზე დაგვიწყებული თეთრეულის სამაგრის განყენებულად განხილვისას, უცბად კვლავ განვიცადე საკუთარი გონების სრული გამოღვიძების წამი. ამ პატარა ჩვეულებრივი საგნის სიღამაზე და უჩვეულობა მთელი სისრულით წარმოამდგა, მაგრამ სიმშვიდე შევიწარმე“. მეტამორფოზა სტილიტანომ რომ განიცადა, თეთრეულის სამაგრების ჭვრეტას ენათესავება: „როცა მოვიანებო, ცხადია არ დამავიწყდება ის ძლიერი აღლევება, მაშინ იმ მშვენიერი ჭაბუკის ხილვამ რომ მოახდინა ჩემზე, იგივე განდგომილებითა და სიმშვიდით შევხედავ მას და შეეძლებ, ბოლომდე შევიმეცნო ჩემი სიყვარული და ამ ცოდნაზე დაყრდნობილი, ავაშენებ ჩემს ურთიერთობას სამყაროსთან: აი, მაშინ, გაიღვიძებს ჩემი გონება“.

სიყვარულისა და გონების სიჭაბუკის ჰარმონიული შეთავსება შესაძლებელია მხოლოდ ხელოვნებაში. ამიტომ შენეს თანამედროველი მატერიალიზმი უნებურად თავისებური მისტიკა ხდება. ბუნების მისიულის აღწერა (აბსოლუტურად არ ჰგავს იმას, რაც შეიძლება პრუსტთან ვიპოვოთ) მეტოქეობას უწევს XX საუკუნის საუკეთესო ლიტერატურულ მიღწევებს: მზე, კადისში კაშხალის კლდეებს იქიდან ამომავალი; მარტორქა, ხორბლის უზარმაზარ მინდვრებში რომ ბლახანობს, სადაც ჩეხოსლოვაკისა და პოლონეთის საზღვარზე, — შენეს ეს მხატვრული ტილოები პირველქმნილ წარმართულ სამყაროში გვაბრუნებენ.

იმპერატორ ადრიანეს მსგავსად, რომელიც „წლის დროთა ცვლილებებსა და კლიმატურ პირობებს ვერ ამჩნევდა, შიმველი თავით მიუძღვოდა თავის არმიებს კალედონის თოვლში თუ ზემო ეგვიპტის უდაბნოებში“, ასევე, სადაც ეს პოლიგრიმი გამოჩნდება, ყველგან გვიტოვებს თავის სურათებს: მოცურავის თვალთ დასახულ ზღვებს; ქვიშიან ველებს, რომელთაც იგი, მიწაზე გართხმული, ბალახის ბლუჯებს შორის ჭვრეტს; სამყარო მთლიანად რომ შეცვალო, საკმარისია მინის დონიდან შეხედო მას, მაშინ ხვდები, რომ საზღვრებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ეს დიდი ხნის წინ ევროპის ყველა ქურდმა შეამჩნია. ამ

კუთხით დანახული სამყაროს უსაზღვროება არაფერს შეედრება.

ყენე ყველაზე ტოვებს თავის ქმნილებებს: საყვარელი ჭაბუკების შიშველ სტატუეტებს; ქალაქს, რომელიც მხოლოდ ზღვისგან შედგება; კლდეებს, ტყეებს, ხოდაბუნებს და ქვების გროვებს; ქალაქს დანახულს ყენეს წარმოსახვისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებულობით, ქვევიდან, დედამიწის დონიდან.

მეტამორფოზა შეუჩერებლად მიმდინარეობს, იმის მსგავსად, როგორც დაჭრილი ჯარისკაცის სისხლიდან ოდესმე ალუბლის ხეები აღმოცენდება. ადამიანის ფიზიკური არსებობა ნაწილია პანთეისტური ბუნებისა.

ჩვენი დრო მალაღმარებელია გაუცხოვდა. ყენე კი პათეტიკურ სტილს ალორძინებს მისი პირველქმნილი სახით: პათოსი და ამალღებელი გრძობა მასთან ყოვლისშთანთქმელი ვნების ფორმას იღებს, ამდენი დრო რომ მოანდომეს თავის დროზე ბალზაკმა და სტენდალმა. და ისევე როგორც არისტოტელესთან, ყენესთანაც პათოსი უცვლელად უპირისპირდება ეთოსს.

ყენესთვის მორალის დარღვევა, ხიფათი, რომელიც ახალი ადამიანისთვის არსებობს, დანაშაული არ არის, არამედ „გმირობა“. იგი თითქოსდა თვითონ ხდება აბსოლუტური ამორალობის განსახიერება. დასაწყისში, როცა გამოსასწორებელ სახლში ყოფნის შემდეგ სამხრეთ საფრანგეთში გლეხის ოჯახს მიიბარეს, კეთილი, ფაქიზი ბიჭი იყო, რელიგიური გრძობებით სავსე, მაგრამ მერე, ბინიერებაში რომ ჩაეფლო და ქურდული ცხოვრების უხეში სიხარული შეიქცინო, მკაცრი და ჭეშმარიტი სევდა ისწავლა. ამ სევდიანი სიხარულითაა ალბეჟდელი მისი შემოქმედებაც.

ანტიკურ თეატრში ტრაგედიის გმირები მხოლოდ ლეგენდარული პიროვნებები იყვნენ, ჩვეულებრივი ადამიანები მარტო კომედიის პერსონაჟებად დაიშვებოდნენ. მერე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ტრაგედიის გმირები მხოლოდ დიდგვაროვანნი გახდნენ. ეს მანამდე გრძელდებოდა, ვიდრე ბალზაკმა, პირველად თავის რომანში, პატიმარ ვოტრენს, სხვებისგან გონებითა და ფიზიკური ძალით გამოჩვენა, ვნებების უნარი არ მიანიჭა, აქამდე მხოლოდ ტრაგიკულ გმირებს რომ ჰქონდათ. ყენეს ნაწარმოებებში ეს ვნებები არ არის, მაგრამ იგი ტრაგიკულ თვისებებს ანიჭებს ადამიანებს, თანამედროვე საზოგადოების ფსიქოლოგია რომ არაინა მოხვედრილი. იგი არ ჰგავს პრუსტის მიერ აღწერილ ბურჟუაზიულ ფარსს. პირიქით, მან ყვე-

ლაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, რომ „ქურდის ჩანაწერების“ გმირი სერიოზულად აღექვათ.

რამა ამ პათეტიკური ძალის წყარო, რომელიც შიგნიდან თითქოსდა რაღაც იდუმალი სხივით არის განათებული? არის თუ არა იგი მხოლოდ პერსონაჟთა უჩვეულო გარემოცვის შედეგი? ცხადია, ეფექტური ხერხების ნაკლებობაც არ იგრძობა, მომხდარის საერთო უჩვეულო ფონს რომ ქმნის, მსგავსს „სიგიჟემდე მისული სხეულის ნაღველისა“, ქურდების სოლიდარობისა, თავიანთი გარდაცვლილი ამხანაგისთვის გვირგვინის გასაკეთებლად სასაფლაოზე ყვავილებს რომ იბარავენ, ან ნითელი მიხაკებისა, ახალგაზრდა კაცი



სხეულის ყველა ნახვრეტში რომ ირჭობს; თეთრეულიც კი, საკანში გაჭიმულ თოკზე რომ შრება, — ხერხია, რომელიც გვაიძულებს მძლავრად შევიგრძნოთ ამ საკანში ჩაკეტილი ორი ჭაბუკის გულისა და სხეულის სიფაქიზე.

მაგრამ პათეტიკა მხოლოდ მოსართავად როდი იხმარება. იგი თითქოსდა აერთიანებს ყველა პერსონაჟს. ყველა პერსონაჟი ამ ჯავშნით ისეა შემოსილი, როგორც რაინდთა საჭურველით. ყველა ისინი მძლავრი ფიზიკური აგებულების არიან და „გამსჭვალულნი ამორალიზმის სულით“. თუმცა თვით ყენეს არცა აქვს ნეგატიური მოტივაციები, ჭაბუკები მას რომ უყვარს, ყველა დამამზობელია. მათი პათეტიკა ფიზიკურ ენერჯიასთან არის დაკავშირებული და უარყოფაზეა მიმართული, მაგრამ უარყოფის ყველა ეს აქტი

— ქურდობა, გამცემლობა, მკვლელობა, — მოცემულ შემთხვევაში, სხეულშია მოთავსებული, რომელსაც ეს უარყოფა ძალას აცლის. პათეტიკის არსს განსაზღვრავს კიდევ ამ უარყოფის გლობალურ ენერჯიასა და ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობათა შეზღუდულობას შორის წინააღმდეგობა.

შენი პათეტიკის სცემს ფეთქებად ფიზიკურ ენერჯიას, მაგრამ საბოლოო ჯამში, რაც მასში უყვარს — ესაა მისი სისუსტე. მართლაც, ყველაფერი ფიზიკური მასთან, თანამედროვე სამყაროში, დამცირებული ადამიანის რაღაც მეტაფორას

ვლინდება. მე კი ვფიქრობ, ნაციზმი, თავისი ბუნებით რეალიზაციას წარმოადგენს, ანუ ნიჰილისტური კონცეფციის გაუფრთხილებელ პოლიტიზაციას. იგი სხეულის გაღმერთების, უძლეურობისა და დაცემის რელიგიის შედეგი გახდა, რაც ახლა უკვე აშკარაა. ისე არაფერი გვახსენებს ახალგაზრდობის ასაკში, ძალების გაფურჩქნის ხანაში, ფიზიკურ რღვევას, როგორც ნაციზმის მარცხი. თანაც ახალგაზრდული ძალების რღვევას არანაირი საერთო არ აქვს იდეების წარწევასთან.

ნაციზმის ესთეტიკა საკუთარ თავში უზარმაზარ საფრთხეს ფარავს. ჰომოსექსუალისტი დანიელი (სარტრის „თავისუფლების გზები“) ნაციზმის მიერ ოკუპირებული პარიზის ქუჩებში დახეხტება და ბუტბუტებს: „სილამაზე ჩემი ზედისწერაა“. სარტრი დანიელს აიძულებს მიიღოს ნაციზმი, ბოროტება და ძალადობა. ამას კარნახობს მწერლური ალღო.

ჯერ არ შევხებოვარ ყენეს მხედველობითი აღქმის განსაკუთრებულობას, პატიმრის ტანსაცმელი — ნითელი, თეთრი ზოლებით, ფერები უცვლელად ასოცირდება კატორღელებთან. ეს იმ დროიდან მოდის, როცა ყვავილი შრომანი დამცირების სიმბოლო იყო, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს შრომანს გაამართლებენ. ზნეობრივი დაცემის გამართლება. ეს დაცემა „არანაკლებ მიმზიდველად უნდა იქცეს, ვიდრე არისტოკრატიული საზოგადოების დახვეწილი გარყვნილება“.

პატარა ლირიკული სასწაულები: მუქი-ლურჯი სვირინგები, ცაზე პირველ ვარსკვლავს რომ ჰგავს. უცნაური სასახლე. მყიფე არქიტექტურული ანსამბლი. ფიზიკური სრულყოფილებისა და სამყაროს ყველა ფერის დიდებულების თანაფარდობა. ალმასი. მენამული ფერის ტანსაცმელი. სისხლი. სპერმა. ყვავილები. მოოქრული ფარჩის დროშა. თვალეები. ფრჩხილები. გვირგვინი. ყელსაბამი. იარაღი. ცრემლები. შემოდგომა. ქარი. ილუზიები. მეზღვარის ცისფერი ფორმა. წვიმა. კულტი. ლიტურგია. მედიუმი. მონარქია. მაგია.

ეს ყველაფერი ყენეს სამყაროა. ისე არაფერი გადმოსცემს კეთროვანის ჭრილობებში ჩაყინული სისხლის არმიაშემოვლებული ჩირქგროვის სილამაზეს, როგორც გამოთქმა, ასე ხშირად რომ ხმარობს ყენე: „დამცირების დიდებულება“.

სახელი იმ დროს გაითქვა ყენემ, როცა ისევე პატიმარი იყო. ციხიდან მეგობრების ძალისხმევით გამოშვებს. მისი განთავისუფლების ინიციატორი, რომელმაც რესპუბლიკის პრეზიდენტს შეწყალების თხოვნა გაუგზავნა, ჟან კოკტო გახლდათ, ეს ავადმყოფური და მუდამ უკმაყოფილო ვოტრენი.

თარგმანი ლაპიომ პახაპერმა

გამოსაშუაება

ჩემო შეილო, საგანგებოდ გიგზავნი „ლიტერატურული გაზეთის“ ამა წლის 14 იანვრის ნომერს, მინდა ტარიელ ჭანტურიას ახალი ლექსები წაიკითხო, რათა კიდევ ერთხელ დარწმუნდე — ეს პოეტი მართლაც განსაკუთრებულია და გამორჩეული ჩვენს სამწერლობო სივრცეში!

მახსოვს, ჯერ კიდევ ჩემს სტუდენტობაში, აბგით დაგვეკონდა მისი ლექსები და ერთმანეთს ვუკითხავდით:

- კონიაკს დალევ?
- მანგოს წვენს!
- უნდა გაკოცო!
- მაკოცე!
- შენ არ მაკოცებ?
- მე არა!
- მაშინ მე ორჯერ გაკოცებ!
- თვისტი და ტვისტი. როკი!
- დრო კი, ძვირფასო, დრო კი
- მიახრებიანებს ვნებებს,
- როგორც პარტიზანს დროგი!

ტარიელ ჭანტურია, მაშინ ფილოლოგის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ერთ-ერთი ყველაზე, ყველაზე, ყველაზე მეტად პოპულარული პოეტი იყო... რადგან უცნაურად გრძობდა და ფლობდა კიდევ დროსა და სივრცეს და... სიტყვას! ახლაც იგივე განცდა დამეფულა, როცა ეს ლექსები წავიკითხე: ბატონო ტარიელი ყველაზე ყველაზე თანამედროვეა და არ მინდა ვინმე გაგანაწყენო, მაგრამ... პოეტი ამ პუბლიკაციით თითქოს დუელში

წინო ჩხიკვიშვილი

ის ახლაც ყველაზე ახალგაზრდა პოეტი!

ციკლიდან — „წერილები ჩემს ემიგრანტ ვაჟს“

ინვევს ამ ჩვენს პრემირებულ (ახალგაზრდა) თავმომწონე პოეტებს, რომელთა შესახებაც ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონმა ზურაბ სამადაშვილმა ზუსტად შენიშნა: „ნიჭიერი პოეტები გვყავს, მაგრამ ახალი სუნთქვა არ იგრძნობა. პოეტი რომ გქვია, ლექსს რაღაც შენული ხომ უნდა ეტყობოდეს?! აქ კი გვარები რომ შეცვალო, ვერ მიხვდები, ვისი დაწერილია“.


თუმცა, ახლა ამაზე მსჯელობა შორს წამიყვანს და ისევე ბატონი ტარიელის ლექსებს დავუბრუნდეთ:

აი, თუნდაც ერთი შესანიშნავი დასტური ჩემი ნათქვამისა, „რელიკია პოეზიის ალქიმიკოსს“: ხომ წამიკითხავს ძალიან კარგი ბევრი ლექსი გალაკტიონისადმი მიძღვნილი, მაგრამ ასეთი გამორჩეული ვგონებ რომ არა!

და მხოლოდ ეს ერთი ლექსი? ყველა მათგანი „თავის სიმალღებე“ დგას. ის მუხტი მოაქვს შენამდე, რომლის გარეშეც პოეზია მხოლოდ მკვდრადმოხილი სიტყვებია და სხვა არაფერი!..

გახსოვს, პაოლო იაშვილის „ლირიკული მისამართებიდან“? ლექსში რომ შემოაქვს ისეთი სიტყვები, რომელიც თითქოს პოეზიის ლექსიკას არაფრით შეეთვისება, მაგრამ ისე „ხმარობს“ ამ სიტყვებს, რომ ყურს არა გჭრის, არ გეხამუშება:

- „ჯერ სიყვარული ასე ფართო და ასე მთელი მე არ მიგრძენია — და ეს სიბრძნე დამბუდებია, მოშვერილი ვარ შენზე გულით, და როგორც გელი — თვალეები ამის უკეთესი საბუთებია.“
- ახლა, ნახე, რა ხდება, ტარიელ ჭანტურიასთან, სიტყვა ტილს როგორ „იხმარს“ ლექსში:
- „სისხლი რომ წავსკდეს — სწორედ ისე წამსკდა სიტყვები ... ჯერ ალბათ მხოლოდ პასუხები... მხოლოდ კითხვები... ჯერ ცდა იმ ძველი ბრალდებების გაბათილების...“



სიტყვები, როგორც გაბნეული თმაში ტილები...“

და ასე ... მთელ ლექსს ვერ მოგწერ, უნდა წაიკითხო! აუცილებლად უნდა წაიკითხო და დარწმუნდე ამაში.

ჰო, გახსოვს ალბათ, ამ რამდენიმე წლის წინათ ვთქვი — ტარიელ ჭანტურია ყველაზე ახალგაზრდა პოეტი-მეთქი და კვლავაც იმავეს გავიმეორებ: ის მართლაც ყველაზე ახალგაზრდა პოეტი!

პოეტიკის პროზა განსაკუთრებული ფენომენია, მეტადრე ისეთი პოეტიკა, რომელსაც მხოლოდ დროდადრო ეწვევა პროზის მუხა. შემოქმედისა, რომელმაც არაორდინალური მეტაფორული ხელნერით, უაღრესად თვითმყოფი, მხედველობითი ხატებით დაყურსული ფერადოვანი ტროპებით, ღრმააზროვანი რეფლექსიებით და მხატვრული ციხე-კომპი ამოიშენა და შიგ გამაგრდა.

ეს პოეტი ლია სტურუაა. იგი იმ შემოქმედთაგანია, რომელმაც ახალგაზრდობიდანვე მიიღო ყოველი ხელოვანის სანადელს: „ლიტერატურული შეგირდობის“ გვერდის ავლით მიაგნო საკუთარ ხელნერას. უნდა ითქვას, რომ ლია სტურუას რამდენადმე მნიშვნელოვანი ევოლუცია ან, მით უმეტეს, მეტამორფოზები არ განუცდია: უთვალავი ფერის, უთვალავი ბგერის და უთვალავი სიტყვის სამყაროში მან მიაგნო თავის სტილს; თანამედროვე ქართული ვერლიბრის ერთერთმა მესაძირკვლემ, თავისუფალ მხატვრულ აზროვნებას თავისუფალი ლექსი მიუსადაგა. მალევე გახდა საცნაური მისი პოეზიის ერთგვარი ელიტარულობა და სირთულე; უაღრესი და ცხოველი განცდა, მტანჯველი მორალურ-ეთიკური ძიებანი, ეროვნული ტკივილი და მარადიული, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისადმი სწრაფვა.

ცხადია, ყოველივე ეს სოცრეალიზმის ადვოკატისაგან დაუსჯელი არ დარჩებოდა: სრულიად ახალგაზრდამ იწვინა ოფიციალური კრიტიკის სუსხიც და ჭეშმარიტი პოეზიის დამფასებელთა თანადგომაც. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არც საკუთარი მრწამსი დაუთმო და არც იოლ, გაკვალულ გზას დასდგომია მავანთ საამებლად.

21-ე საუკუნეში, გლობალიზაციის გადასახედიდან, მთელი სიმძაფრით გამოიკვეთა ლია სტურუას პოეზიის უნივერსალურობა და კოსმოპოლიტიზმი (ამ სიტყვის საუკეთესო, ვაჟასული გაგებით). უნდა აღინიშნოს, რომ მისი პოეზიის უნივერსალიზმი ვერ იქნებოდა და არც არის „საექსპორტოდ“ გათვლილი (რაც ეგზომ მოზმირდა ჩვენს „მასკულტურულ“ დროებაში), რადგან ეს ლია სტურუას მხატვრული სამყაროს ბუნებრივი ტენდენციაა.

„საბჭოური მენტალობისაგან“ სრულიად თავისუფალი პოეტი არასდროს ყოფილა მასობრივი მკითხველისათვის „კოჭის გორების“ მომხრე, თუმცა, ახალგაზრდობაში ევატაჟი არ აკლდა (რაც მაშინ „დასჯადი“ იყო).

ლია სტურუას ნახევარსაუკუნოვანი ნაყოფიერი შემოქმედება კი არ ამძიმებს, არამედ საკუთარი კრეატიულობის ცხოველმოსილებაში არწმუნებს.

ახლახანს დანერა: „მე რომ ცეცხლზე ვწერ და ზედ ნავთს ვასხამ, სულ არ ვფიქრობ მკითხველზე“ („ბედნიერი სიჩუმე“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2010); ეს არ არის ლიტერატურული პოზა, ეს მისი კრედაა.

ლია სტურუა პროფესიონალი ლიტერატურათმცოდნე გახლდათ და ამიტომაც ახალგაზრდობიდანვე მოუწია „პროზასთან“ შეხება; იგი ქართული მწერლობისადმი მიძღვნილი ესეებისა და მონოგრაფიის ავტორია. განსაკუთრებული რეზონანსი ჰქონდა მის სადისერტაციო ნაშრომს „ფერთა სიმბოლიკა გალაკტიონთან“; მაშინ თვით თემის ასეთი არჩევანიც კი გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ლია სტურუა უკვე აღიარებული პოეტი იყო და, ამასთან, ცენზურის სუსხიც განულებული.

ნიგნის, მნივობრობის და პოეზიის ტოტალური გაუფასურების ხანაში, ცალკე აღნიშვნის ღირსია ლია სტურუას პოეზიის საღამოები თუ სატელევიზიო საავტორო გადაცემები მწერლობასა და ხელოვნებაზე. (80-90-იანი წწ.), მჭევრმეტყველისა და იმპროვიზატორის

ლალი ავალიანი

მიახლოება ამაღლებულთან

ლია სტურუას „ბედნიერი სიჩუმე“

შესაშური უნარით დაჯილდოებულს, ფართო თვალსაზრისის მქონეს, შესწევს ძალა — მიიზიდოს ნებისმიერი აუდიტორია და თანაც ისე, რომ ოდნავადაც არ უღალატოს თავის სტილს — ინტელექტუალურს და ღრმად ემოციურს.

„როცა მოვედები, დამწვთ მხესუმზირების კრემატორიუმში, იქნებ სინათლედ მაინც გამოვადგე თვალდათხრილ ქალაქს“ — სწორედ სინათლედ წყვიდადში მოგვევლინა იმდროინდელ „თვალბდათხრილ“ საქართველოში ლია სტურუას საავტორო გადაცემათა ციკლი. 1994 წელს გამოცემული პოეტური კრებულის „შუქს ნუ ჩამიქრობთ!“ (გამომცემლობა „მერანი“) წინათქმამი პოეტი წერდა: „ეს ნიგნი დაინერა ჩემი ცხოვრების უმძიმეს პერიოდში, ომით, რევოლუციით განადგურებულ, დანგრეულ, მშიერ, ბნელ და ცივ, სიძულვილით გახლებილ საქართველოში, სადაც ემიგრანტივით ვცხოვრობ და სამშობლო მენატრება, რომელიც ისე ნაიბილნა, რომ ძნელი წარმოსადგენია, ამ ენაზე თუ ოდესმე ვაჟა, ბარათაშვილი, გალაკტიონი ლაპარაკობდნენ“... სწორედ ამ წლებში (1993-96) დაინერა „ბედნიერი სიჩუმეც“, უფრო ზუსტად, მისი პირველი, ტკივილითა და სევდით, ფრუსტრაციითა და უსასოობით გაჯერებული, პარიზისადმი მიძღვნილი ნარკვევი.

ლია სტურუას ამავე სახელწოდების ბოლო პროზაულ კრებულში ნარკვევი სრულიად სახეცვლილი, გადამუშავებული და დღევანდელი რეალიზმით შევსებული ნარმოვადგა. ამაზე მიგვითითებს თარიღიც: 1993-2006 წ.წ.

მეოცე საუკუნის ხელოვნების მექაზე ძალზე ბევრია დანერილი, მაგრამ საკუთრივ პარიზისადმი მიძღვნილი პირველი ქართული ნარკვევი მხატვრული ესეისტიკის უანრს რომ მიეკუთვნება — ლია სტურუას „ბედნიერი სიჩუმეა“.

პარიზიც, რომის მსგავსად, „მარადიული ქალაქია“, მისანდომიც და მიუნვდომელიც, მრავალპლანიანი და მრავალნაზნაგოვანი, პარიზი მოგვაცხადებს მზეს, რომელიც „თავის შარავანდედს სწორად მიაყენებს ყოველსავე, მაგრამ ნიშატსა, ძალსა და საქმეს ყველაკას სხვადასხვას მისცემს.“ ეს სიტყვები პირველ „სენადალულ“ დიდ ქართველ მწერალს სულხან-საბა ორბელიანს ეკუთვნის. ლია სტურუას პარიზიც მისი გონისმიერი, სულისმიერი და ყოფითი საგზლის, შემოქმედებითი ინტერესების, მისი „ნიშატის, ძალისა და საქმის“ ანარეკლია.

„ბედნიერი სიჩუმის“ პირველ ვერსიას უფრო აკაკი წერეთლის 1909 წლით დათარიღებული, ღიმილიან-ტკივილიანი ლექსის „პარიზის“ სტროფი მიესადაგებოდა:

*რომ შევადარე პარიზი
ამ ჩემ სამშობლო მხარესა,
კინალამ გული გამისქდა...
ფიქრებს მივეცი მწარესა!*

ახალ რედაქციაში თანამედროვე დისკურსი მძლავრობს: ეს უფრო გლობალური, ჩვენი აქტუალური დროების შესაფერისი ხედვაა და განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სწორედ თანადროული ასოციაციებით; გვინდა თუ არა, ახლა სრულიად სხვა რეალობაში აღმოვჩნდით და, სწორედ ესაა გათვალისწინებული „ბედნიერ სიჩუმეში“. ასეც უნდა იყოს: პარიზისადმი მიძღვნილი ნარკვევი სიხარულის, სიამოვნების და ესთეტიკური ტკობის მომგვრელია. ერთი „უტოპიური“ იდეაც ამეკვიტა, ლია სტურუას „ბედნიერი სიჩუმე“ ფრანგულად უნდა გამოიცეს; იქნებ, დიუმას ცენტრიც დაინტერესდეს ამ მშვენიერი ნიგნაკით.



„ბედნიერი სიჩუმე“ პროზისა და პოეზიის საზღვარზე მერყეობს. ეს არის პოეტის პროზაც და ის, რასაც საგანგებო სახელი „პოეტური პროზა“ ჰქვია, — უხვად გაჯერებული ლიტერატურული რემინისცენციებით, ფერთა სიმბოლიკით, უცხოელი თუ ქართველი პოეტებისა თუ მხატვრების სხარტი, ჭეშმარიტად პოეტური ხატებით; ეს არის ფერის, მუსიკის, სიტყვის თანაარსებობა, წარსული ჰარმონიის მონატრება, კლასიკის მიმართ ქედმობრა და ცხოველი ინტერესი თანამედროვეობისადმი.

კლასიკურ ჰარმონიას დანატრებული პოეტის ხედვა უაღრესად სიურეალისტური, ავანგარდისტული და, გნებავთ, აბსურდულიც არის. სწორედ კლასიკის ცოდნა და სიყვარული უწყობს ხელს პოეტს ღრმად ჩასწვდეს ჰარმონიის არსს.

გერონტი ქიქოძე, რომელიც პარიზში პირველად 1913 წელს აღმოჩნდა, მოგვიანებით წერდა: „ეროვნული კულტურისა და ტერიტორიის ერთიანობის პრობლემაზე დაფიქრებამ, ცოტა არ იყოს, ხელი შემეშალა სათანადოდ დამეფასებინა პარიზის მშვენიერება“.

სამუნებაროდ, ეს საკითხი არამცთუ მეოცე, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის კარდინალურ პრობლემად გვექცა.

ლია სტურუასაც სტანჯავს შეკითხვა: „როცა მეუბნებოდა, რომ ღმერთმა მოგვივლინა ეს რევოლუცია, რომელიც თავს დაგვატყდა XX საუკუნის ბოლოს, როგორ დავიჯერო?“

...მე ვხედავ ჩემს თავს პარიზში, პარიზს ჩემს გარშემო და რადგან სამყარო „არც მთლად რაციონალურია და არც იმდენად ირაციონალური“ (ა. კამიუ), მხრებით ლოკოკინას ნიჟარასავით დამაქვს ჩემი სახლი, ჩვეულებები, ტრადიციები, ნოტრ-დამის წინ პირიდან ზონარივით ამოვახვევ ჩემს სვეტიცხოველს, დავხედავ, ცოცხალია, ისევე ისეთი მშვენიერი, სრულიად განსხვავებული გოთიკისაგან და ორივე მიყვარს. დავეკვავ, ჩავაბრუნებ ნიჟარაში, გუმბათს ვერ ჩავატევ, შარავანდედად დამიმრგვალდება თავზე და მე, აბსურდის ადამიანს, ღმერთთან მიმასხლოვებს („ბედნიერი სიჩუმე“, გვ. 20, 23).

ღმერთთან სიახლოვეს გრძნობს ავტორი სვანეთშიც: „ნამის შეჩერება, ალბათ ბევრჯერ მომდომებია, მაგრამ ერთხელ ყველაზე მკაფიოდ აქ, სვანეთში, როცა ისე გამიფართოვდა მზერა, რომ ყველაფერი დაიბნა: კომპები, მთები, ლამა-

რია, მზე და მთვარე“ („miSgu ladeR si“, 2010). პროზის პოეტურობას მრავალი კომპონენტი განაპირობებს: ამაღლებული განწყობილება, ხატოვანი და ემოციური ენა, რიტმულობა, მუსიკალურობა... „მიშგუ ლადელ სი“ ყველა ამ მოთხოვნას ისე სრულყოფილად აკმაყოფილებს, რომ ესე ერთი ამოსუთქვით იკითხება. აქ არ არის ეგზოტიკა, ეს ბავშვობიდან განცდილი ესთეტიკური კატეგორიის — „ამაღლებულის“ ორგანული მოთხოვნილებაა.

ამაღლებულზე კანტის თვალსაზრისის განმარტებისას („ამაღლებული შეიძლება ეწოდოს ბუნების გრანდიოზულ საგნებს თუ მოვლენებს“) ბაჩანა ბრეგვაძეს მოხმობილი აქვს ამერიკელი მწერლისა და ფილოსოფოსის რალფ ემერსონის სიტყვები: „კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ ატმოსფერო იმიტომაა გამჭვირვალე, რათა, ციური მნათობების სახით, ადამიანს წარმოუჩინოს ამაღლებულის მარადიული პრეზენცია... მშვენიერების ეს მოციქული ყოველ ღამე გვევლინებთან და თავიანთი გრძნული ღიმილით აცისკროვნებენ სამყაროს“ (იხ. ბ. ბრეგვაძე, „ფსევდო-ლოგინე და მისი ტრაქტატი“).

ლია სტურუასათვის სვანეთი ამაღლებულის კლასიკური მაგალითია: „მთვარეც მრგვალია სვანეთში. კომპებს ასეთი უფრო უხდება. შეიძლება, რომელიმე სვანი შემეკამათოს, აქვს უფლება, მის სამშობლოზე ვლაპარაკობ, მაგრამ მე ასე ვხედავ, უფრო სწორედ, ასე მიყვარს და სიყვარული უკამათოა“.

„უპაბატიო სიყვარულით“ არის აღსავსე ლია სტურუას ესეებიც ქართველ პოეტებზე. მარინა ცვეტაევას „ჩემი პუშკინისა“ და მაკა ჯოხაძის მშვენიერი ნიგნის — „ჩემი დავით კლდიაშვილის“ დარად, ავტორს შეეძლო ასევე დაესათარებინა: „ჩემი რუსთაველი“, „ჩემი ვაჟა-ფშაველა“, „ჩემი გალაკტიონი“... აქვე აღვნიშნავ, რომ „ბედნიერ სიჩუმეში“ დასტაბუთებული ესეები პოეტებზე მხოლოდ მცირე ნაწილია ლია სტურუას ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომებისა.

სამომზაშრომ დღიურის, პოეზიისა და ესპანური ხელოვნების ასოციაციური ჯაჭვის სინთეზია ესპანეთისადმი მიძღვნილი ესე — „იქნებ მოკლულ ხარში ქალწულის ჩონჩხი ჭვივის“ (1985). მასში გადმოცემულია ესპანური მენტალობის, ფერწერის, არქიტექტურის, მწერლობის „გენიალური და შემოილი ექსტაზი“: „მადლს ვნირავ ღმერთს, რომ ესპანეთში კორიდის გარდა დონ კიხოტის კულტიც არსებობს, მე მგონი, ესპანეთის მშვენიერების არსი სწორედ მის კონტრასტულობაში, ერთი შეხედვით, მოურიგებელია და შეუთავსებლის შერწყმა-შენივთებაში მდგომარეობს. ევროპული და აღმოსავლური არქიტექტურის სინთეზი ქმნის ახალ სტილს, რომელსაც მოდუნარი ქვია, ფლამენკოს დაშნის მოქცევასავით მკვეთრი და მოკლე შექაბილი — ოლე! ნუგასავით ტკბილ და განვლილ ბიათში ესპანურ სისხლს ასხამს. აღჰამბრას შადრევნების, ოქროს თევზების, ბალების, მარმარილოს, მაქმანის გამომწვევ, მყვირალა ფუფუნებას ესკურიალის მკაცრი ასკეტიზმი ანელებს. ასკეტიზმი და ფუფუნება რიგდებიან ერთმანეთში და მშვენიერ სიმბოლოს ქმნიან“...

ღმერთს ვიყვამანე, რა მენოდებინა „ბედნიერი სიჩუმით მოგვრელი ჩემი პირველი, უშუალო შთაბეჭდილებისათვის; იქნებ, — „მიახლოება ამაღლებულთან“? — ასეც მოვიქცე.

ძალიან მინდა, ახალგაზრდობის სულის მცონარებით შეპყრობილი ერთი ნაწილი („ინტერნეტდამოკიდებულა“), ცოტა ხნით მაინც მოწყდეს ვირტუალურ სამყაროს და ლია სტურუას „ბედნიერი სიჩუმე“ ნაიკითხოს.

ლიტერატურული გაზეთი

გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტები ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული
ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com